# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№240(12615) 13 ოქტომბერი ორშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედნიერებამდე შორია




»»» 2

73-ე წუთი. ლევან კობიაშვილის გოლი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## გახსნილმა თამაშმა დაცვაში პრობლემები მოგვიმატა



მატჩის შემდეგ »»» 3

## ხიზანიშვილის დისკვალიფიკაცია და ლომაიას კაპილარი

»»» 4



### დიდი სტუმრის ერთი დღე

## გოლი 3 საქართველოსთვის



»»» 5

## დაგვიანებული ჯილდო

შოთა არველაძე



# №11 მჭედლიძეს ეკუთვნის

## ნაკრებს ასე სუსტად არასდროს უთამაშია

**3 ივნისს,** შოთა არველაძე ფეხბურთიდან რომ გააცილეს, ნოდარ ახალკაცმა განაცხადა - ამიერიდან, ეროვნულ ნაკრებში 11-ნომრიან მაისურას ველარავინ ჩაიცვამსო. თუმცა შაბათს, კვიპროსთან მატჩში, ვითომდა უკვდავყოფილი N11 ლევან მჭედლიძეს ეცვა. რა მოხდა? თავად შოთამ თქვა უარი? ამის გასარკვევად თავდაპირველად ფედერაციის გენერალურ მდივანს - უჩა უგულავას მივმართეთ.

„თავიდანვე, იდეა ის იყო, რომ 11-ნომრიანი მაისურა თავად შოთას უნდა გადაეცა იმ ფეხბურთელისთვის, რომელსაც ამის ღირსად მიიჩნევდა. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ ფიფამ ბრძანა, რომ ამ ორგანიზაციის ეგიდით გამართულ შესარჩევ მატჩებში ფეხბურთელებმა მხოლოდ 1-დან 24-ის ჩათვლით უნდა შეარჩიონ ნომრები. ასე რომ, ლევანი 99-ით ველარ ითამაშებდა და ამიტომაც ჩავაცვით 11-ნომრიანი მაისურა", - განმარტა გენერალურმა მდივანმა.

გუშინ შოთა არველაძესაც დავუკავშირდით. მას კვიპროსთან მატჩზეც ვკითხეთ აზრი:

**- შოთა, როგორც გავიგეთ, 11-ნომრიან მაისურაზე თავად გითქვამთ უარი...**

- დიახ, უარი ვთქვი, რადგან არასწორი იქნებოდა, ეს ნომერი მე დამეკანონებინა. საქართველოს ნაკრებში უნდა იყოს თერთმეტი ნომერიც, ათიც და სხვაც, რომელიც ფეხბურთში გამორჩეულ ნომრებად მიიჩნევა... მადლობა ყველას, ვინც ამხელა პატივი დამდო, მაგრამ იქვე ისიც ითქვა, რომ ეს მაისურა მე უნდა გადამეცა რომელიმე თავდამსხმელისთვის.

**- ანუ, მჭედლიძეს 11-ნომრიანი მაისურა საკუთარი სურვილით გადაეცი?**

- ფოსტით გავუგზავნე (იცინის). ხუმრობა იქით იყოს და, გულით მსურდა, ლევანისთვის ის საჯაროდ გადამეცა, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ მოვახერხე. მჭედლიძე აუცილებლად ითამაშებს დიდ ფეხბურთს. მას ყველა მონაცემი გააჩნია საიმისოდ, რომ საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი გახდეს... და სხვათა შორის, არა მხოლოდ საქართველოსი, არამედ ევროპისაც. უმნიშვნელო როდია, 18 წლის ბიჭმა სერია A-ში თავის მეორე მატჩში ბუფონს გოლი რომ გაუტანა და „პალერმოს" ტურინში მოაგებინა. ლევანს დიდ წარმატებებს ვუსურვებ.

**- საქართველოს ნაკრების მატჩი თუ ნახეთ?**

- ვნახე და ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დამრჩა. ჩვენს გუნდს ასე სუსტად არასდროს უთამაშია, ყოველ შემთხვევაში, ამაზე უარესს ვერ ვიხსენებ. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ... მეგონა, უკეთესი გუნდი გვეყოლებოდა... ლაპარაკიც მიჭირს.

**- თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

- ვიცი, რომ გუნდი მატჩისთვის თითქმის მთელი კვირა ემზადებოდა. ამის შემდეგ ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ დასჭირდათ ბიჭებს თამაშის დაწყებიდან ხუთ წუთში მთავარი მწვრთნელის მითითებები.

**- კი, მაგრამ ხომ შეიძლება, თამაშის დროს მწვრთნელმა ფეხბურთელებს მითითებები მისცეს?**

- შეიძლება, თუ კონკრეტულ ეპიზოდში რაიმეს შეცვლა დასჭირდება, მაგრამ თამაშის დასაწყისშივე კუპერი ფეხბურთელებს იმავეს უმეორებდა, რასაც მანამდე, შეკრების დროს. არ მესმის, რა შეიცვალა ამ ხუთ წუთში ისეთი, რომ ერთი კვირის განმავლობაში ათვისებული უცბად დაავიწყდათ? თუ ვერ გაიგეს, ეკითხათ მწვრთნელისთვის და უკეთ აუხსნიდა. არ ვიცი, რა...

**- თქვენი აზრით, რა არის ნაკრების მთავარი პრობლემა?**

- როცა მწვრთნელი მთელი თამაშის განმავლობაში მითითებებს გაძლევს და მერე რამდენჯერმე გიმეორებს, გამოდის, რომ სათამაშო დისციპლინა აშკარად მოიკოჭლებს.

**- მაღალკვალიფიციური შემსრულებლების დეფიციტიც გვაქვს, თანაც მეტისმეტად მწვავე...**

- ...კი, მაგრამ ამ მხრივ არც მთლად ღარიბები ვართ. თუმცა მაინც მიკვირს - ნუთუ სოლიდურ კლუბებში ნათამაშებ ფეხბურთელებს მწვრთნელის დავალება არ უნდა ესმოდეთ?! ჩემთვის ყველაზე მეტად საწყენი და ცუდის მანიშნებელი ეს ფაქტი იყო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა. VIII ჯგუფი. III ტური

# ბედნიერ დასასრულამდე შორია

## მადა გვქონდა, მაგრამ ლუკმა არ გვერგო

**11.10. თბილისი. ეროვნული**
**42 000 მაყურებელი**

**საქართველო-კვიპროსი**

**1:1**

0:1 მ. კონსტანტინუ (66. ალონეფტისის პასით), 1:1 კობიაშვილი (73)

საქართველო: ლომაია - ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, სალუქვაძე, შაშიაშვილი - მენთეშაშვილი, რაზმაძე, კობიაშვილი, - ყენია (64. გოცირიძე) იაშვილი - მჭედლიძე (75. ალექსიძე).

*სათადარიგოები: კვასხვაძე, კვახაძე, ხმალაძე, სირაძე, ოდიკაძე.*

კვიპროსი: გეორგალიდესი - გარპოცისი, ელია (82. ლამბრუ), ა. კონსტანტინუ ხარალამბუსი - ხარალამბიდისი , მიხაილი (37. ნიკოლაუ), მაკრიდესი, ალონეფტისი (90. პანაგი) - ოკასი, მ. კონსტანტინუ.

*სათადარიგო: ავგუსტი, პაპათანასიუ, მარაგკოსი, ქრისტოფი, პაპატანასიუ*

გაფრთხილება: ხარალამბიდისი (32), სალუქვაძე (52), ხიზანიშვილი (80), ალექსიძე (84), ა. კონსტანტინუ (90).

გამოუყენებელი პენალტი: მ. კონსტანტინუ (53 - მეკარე)

არბიტრი: რ. მატეჟეკი (ჩეხეთი)

საქართველოს ნაკრებმა პირველი ქულა აილო მიმდინარე შესარჩევში, **ექტორ კუპერის** ხელმძღვანელობით პირველად ითამაშა თბილისში და მატჩის შემდეგ გუნდი გასახდელში სტვენით არ გააცილეს - ასეთი აღმოჩნდა კვიპროსული მონაგარი.

საქართველოს ნაკრებმა არ ითამაშა მისთვის ჩვეული ფეხბურთი, არ იყო აქცენტი ბურთის გაგორებაზე. კუპერის გუნდმა ძალზე ხისტად, აგრესიულად ითამაშა და მატჩის ჩეხმა არბიტრმა **რადეკ მატეჟეკმაც** ხელი არ შეუშალა ჩვენს ფეხბურთელებს - ასეთ ლიბერალ მსაჯს ახლა იშვიათად წააწყდებით.

ისიც არ იყო ურიგო, საქართველომ თამაში რომ შემოაბრუნა. კუპერის ხელმძღვანელობით მან ეს უელსთან ამხანაგურ მატჩშიც მოახერხა, იქამდე კი, **პეტარ შეგრტის** თავკაცობისას - ესტონეთთან, წინა შესარჩევში კი უკრაინასთან გადაურჩა მარცხს... ზოგადად, კარგი ზნე არის, ბურთს რომ გაგიტანენ და გათანაბრების უნარი აღმოგაჩნდება, თუმც მოგება ძალიან მოგვენატრა და კვიპროსთან მატჩის შემდეგ ქომაგი დაოკებული მაინც ვერ იქნებოდა. შარშან, 17 ოქტომბერს, შოტლანდიას 2:0 რომ მოვუგეთ, მას მერე ოფიციალურ შეხვედრებში გამარჯვების გემო არ გაგვისინჯავს.

კუპერმა გარისკა და სასტარტოში გაამწესა ნაკრების დებიუტანტი **ლუკა რაზმაძე,** რომელიც რიგიანად გაისარჯა. „ვიტ ჯორჯიის“ შუახაზელი არ გამოირჩევა ეფექტური თამაშით, სამაგიეროდ, სტაბილური და საიმედოა. ასეთი იყო კვიპროსთანაც, თუმც ეტყობოდა, რომ სანაკრებო დონეზე გამოუცდელია.

კუპერმა ისევ 4-3-2-1 აირჩია, არადა, თავის სამწვრთნელო კარიერაში ხშირად 4-4-2-ს ეყრდნობოდა. მას უყვარს შემადგენლობის ცვლა, მაგრამ არ ცვლის განლაგებას. **ლევან მჭედლიძე** ვეფხვივით იბრძოდა და თითქოს მეორე თავდამსხმელის უკმარისობას განიცდიდა, რომელიც მის გვერდით ან ცოტა უკან იმოქმედებდა, მასთან ტანდემს შექმნიდა. ასე ჩანდა ტრიბუნიდან, მაგრამ ასე არ ჩანს კუპერის თვალებიდან...

კუპერმა **ლევან კობიაშვილი** ცენტრალურ ნახევარმცველად ათამაშა. ეს პოზიცია კობიაშვილისთვის ყველაზე კომფორტულია, ის დაცვით ფუნქციებსაც ასრულებდა და შეტევაშიც სასარგებლო იყო კობი ლიდერობას შეეჭიდა და ტვირთს გაუძლო.

ჩვენებმა პირველი წუთებიდანვე მოინდომეს სტუმრებისთვის მარწუხების მოჭერა, თუმც პირველი სახიფათო მომენტი აქეთ შეაქმნევინეს მეტოქეს - **ზურაბ ხიზანიშვილმა** ცუდად დაუგორა ბურთი **გიორგი ლომაიას, მიხაილ კონსტანტინუს** კი დიდი სისწრაფე არ აღმოაჩნდა, ბურთს რომ დასწეოდა, თან ლომაიაც დროულად გამოვიდა კარიდან და შეჯახების შემდეგ ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდა - გოლს გადავურჩით.

მალე ისიც გამოჩნდა, თუ ვინ ჰყავდათ კვიპროსელებს თამაშის ყველაზე კარგად გამამწვავებელი - **ეფსტატიოს ალონეფტისი.** ერთი თვის წინ სწორედ მან გაუტანა გოლი იტალიას. ალონეფტისი „ომონიის“ ფეხბურთელი გახლავთ, მანამდე „კოტბუსშიც“ უთამაშია (პირველი კვიპროსელი ბუნდესლიგაში), სწრაფი და მახვილია, თუ სივრცე მიეცი, არ დაგინდობს. ის შეტევის მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა, სადაც მისთვის წინააღმდეგობა **უჩა ლობჟანიძეს** უნდა გაეწია. ლობჟანიძეს დაზღვევაც სჭირდებოდა ამ საქმეში, მაგრამ რამდენჯერმე დაზღვევამაც უმტყუნა. პირველ ტაიმში ოდენ ორჯერ გამოირჩა ალონეფტისი - ჯერ მარცხენა ფლანგზე გაილაღა, ძალიან სახიფათოდ ჩააწოდა და ხიზანიშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი, მერე კუთხური ისე ჩააბზრიალა, **ანდრეას კონსტანტინუს** თავზე დაასვა ბურთი და ლომაიამ ითამაშა დიდებულად - მიწიდან ასხლეტილი დარტყმა მოიგერია.

გასატანი ჩვენს ნაკრებსაც ჰქონდა: პრესინგი მეტოქის საჯარიმო მოედანთან, კვიპროსელებს ბურთს ართმევს რაზმაძე, რომელიც კობიაშვილისგან იბრუნებს პასს, სახიფათო ჩაწოდება და ოდენ კუთხური; **რაზმაძე-ყენია-მჭედლიძის** კომბინაცია ამ უკანასკნელს უნდა დაესრულებინა, მაგრამ რიგიანად ვერ ამოკრა ბურთს ფეხი, შეტევის დაგვირგვინება **ალექსანდრე იაშვილს** შეეძლო, თუმც ძალიან არაზუსტად დაარტყა; **ანტონის გეორგალიდესი** კარიდან შორს გამოვიდა მაღალ ბურთზე, მაგრამ შეცდა, ბურთი რაზმაძეს მიუვიდა, მოჭრილი დარტყმით შემოატარა მცველს, მაგრამ მეორე მცველმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა...

ნერვიული პირველი ტაიმის შემდეგ კატაბალახას წვეთები არც მეორე ნახევრისთვის გამოუყენებიათ ფეხბურთელებს. შმაგი ბრძოლა იყო. შეტევის მარცხენა ფლანგზე იაშვილი გააქტიურდა, თუმც ისეთი თანაგუნდელი ვერ გამოძებნა, ვისთანაც „კედელს“ ეფექტურად გაითამაშებდა, ბოლო პასი ან გვიანდებოდა, ან არაზუსტი იყო. ალონეფტისი კი აქშიტინდა. მისი ჩაუქობის მერე კონსტანტინუმ დაარტყა და ბურთს ლომაია დაუხვდა, კუთხურის შემდეგ გადმოვარდნილ ბურთზე კი **კონსტანტინოს ხარალამბიდისს** უნდა ეხეირა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. ხიზანიშვილმა კარგი შორეული პასი გაჭრა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ ბურთი რაზმაძემ და მჭედლიძემ ვერ გაიყვეს, არადა, საგოლე მომენტი იქმნებოდა. მოკლედ, შესვენების შემდეგ თამაში გაიხსნა...

ცალკეა გამოსარჩევი საპენალტო ეპიზოდი. ბერძნებმა მარცხენა ფლანგზე გადაიტანეს ბურთი, **ელიას ხარალამბუსმა** და ალონეფტისმა ლობჟანიძეს აჯობეს, ჩვენი მარჯვენა მცველის დაზღვევას **ლაშა სალუქვაძე** შეეცადა, მაგრამ დააგვიანა, სისწრაფეში დაეჩაგვრინა ალონეფტისს, რომელსაც ბურთი ფეხებიდან ვერ ააცალა და საპენალტოდ დაჯარიმდა. ლომაიამ კი გვიხსნა - კონსტანტინუს აული.

თითქოს ფსიქოლოგიური უპირატესობა საქართველოს მხარეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ალონეფტისმა ერთხელაც იყოჩაღა, დიდებულად ჩაუწოდა კონსტანტინუს, რომელმაც ლომაიას შორეულ კუთხეში თავურით გაუტანა. ხუთი წუთის შემდეგ ისევ გამოიდეს თავი კვიპროსელებმა - იმავე ალონეფტისის მიერ 18 მეტრიდან დარტყმულს ჩვენმა კიპერმა თითები შეაშველა და ბურთმა ხარიხას სანტიმეტრებში გადაუფრინა.

ჩვენი ნაკრები არ დათრგუნვილა, ისევ მხნედ იყო, თავის შანსსა და მეტოქის შეცდომას ელოდა. მჭედლიძემაც იმდენი ქნა, ცენტრალურ მცველებს შეცდომა დააშვებინა, ბურთი კობიაშვილს მიუვიდა, დასარტყმელად დერეფანი გახსნილი იყო, კაპიტანმაც ცოტა წინ წაიწია და ასე 17 მეტრიდან საგოლედ გაისროლა - 1:1.

კარგად ჩაერთო თამაშში **ბექა გოცირიძე** და ერთხელ გვარიანად შეატოტრტმანა კიდეც კვიპროსელთა დამცავი ჯებირები. გამარჯვების მადა უცბად მოვიდა, თუმც კინალამ აქეთ გავუშვით გოლი - ხიზანიშვილის შეცდომის შემდეგ **იოანის ოკასმა** საშუალო დისტანციიდან ვერ დაუმიზნა კარს.

მატჩის მიწურულს **რატი ალექსიძემ** იბრძოლა კარგად, ბურთი იაშვილს მიუვიდა, ვისაც მახვილი კუთხიდან გატანა გაუჭირდა - სანტიმეტრებით ააცილა შორეულ ძელს.

სხვა რა გითხრათ... მძაფრსიუჟეტიანი თამაში აღმოჩნდა „ჰეფი ენდის“ გარეშე. საქართველოს ნაკრები ისეთ გუნდს ჰგავს, ჯერ რომ არ ეტყობა მკვეთრი სტილი, სათამაშო კონცეფცია... ჩამოყალიბებული ჯერაც არ არის, კუპერმა ხელახლა უნდა შექმნას გუნდი.

**დავით თავართქილაძე**

**საქართველო-ბულგარეთი**

# ლომაიამ ივარჯიშა, ლვინიანიძემ ვერა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა კვიპროსი მოიგლია და ბულგარეთთან ოთხშაბათის მატჩისთვის მზადებას შეუდგა. **ექტორ კუპერმა** გუშინ მხოლოდ ერთხელ ავარჯიშა გუნდი. წვრთნა დილის 10 საათზე, საგურამოს ბაზაზე შედგა. იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც კვიპროსთან ითამაშეს, აღდგენითი პროცესი და შედარებით მსუბუქი წვრთნა ჰქონდათ. ნაკრებში მყოფი 23 ფეხბურთელიდან გუშინდელ წვრთნაში ყველა მონაწილეობდა, ერთის გარდა - **მათე ლვინიანიძე** კვლავ ტრავმირებულია, თუმც ჯერ კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ ბულგარეთამდე გამოჯანმრთელება მოასწროს.

ივარჯიშა **გიორგი ლომაიამაც,** რომელსაც კვიპროსთან მატჩის შემდეგ მუხლი გაუსივდა, მაგრამ ექიმებმა ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ ნაკრების პირველი მეკარე ტკივილებს აღარ შეეწუხებინა.

ვარჯიშის შემდეგ კუპერმა ფეხბურთელები რამდენიმე საათით გაათავისუფლა, საღამოს კი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეკრიბა. დღეს ნაკრები ორ ვარჯიშს ჩაატარებს. დილის და საღამოს წვრთნები კვლავ საგურამოში გაიმართება.

**დავით ცაბაძე**



| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ბულგარეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. ჩერნოგორია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 5. კვიპროსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 6. საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

**15 ოქტომბერი**

საქართველო-ბულგარეთი
ირლანდია-კვიპროსი
იტალია-ჩერნოგორია

სახიფათო მომენტი კვიპროსის ნაკრების კართან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია




ექტორ კუპერი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ექტორ კუპერი:
# გახსნილმა თამაშმა დაცვაში პრობლემები მოგვიმატა
## ანასტასიადისი: ქართველები უხეშობისთვის მეტ სასჯელს იმსახურებდნენ

ანგელოს ანასტასიადისი

- თამაშითაც და შედეგითაც კმაყოფილი ვარ. მოგების შანსი ჩვენც გვქონდა და მეტოქესაც. ორივე გუნდი ტექნიკურია და ამიტომაც იყო, დაცვითი ფუნქციების შესრულება რომ უჭირდათ ფეხბურთელებს და ბევრი ყვითელი ბარათიც მიიღეს. არბიტრმა რამდენიმე ისეთი ჯარიმაც დანიშნა საქართველოს სასარგებლოდ, რომელიც, ალბათ, არ იყო დასანიშნი. რამდენჯერმე მსაჯს ყვითელი ბარათის ამოღება კიდევ მართებდა, მაგრამ მეტოქის უხეშობას იგნორირება გაუკეთა. ოდნავ მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, გოლს არ გავუშვებდით.

ექტორ კუპერი

- პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, სიტუაციას ჩვენ ვაკონტროლებდით, დიდი ფიზიკური ძალაც დავხარჯეთ. მეორეში კი გახსნილი თამაში წავიდა და დაცვაში გაგვიჭირდა, თამაშის სადავეები დავკარგეთ. მეტოქის ყოველი კონტრშეტევა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. გაგვიმართლა, გიორგი ლომაიამ პენალტის მოგერიება რომ მოახერხა, თორემ...

მნიშვნელოვანია, რომ გაშვებული გოლის შემდეგ გუნდი შეტევაზე გადავიდა და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ მოგების დიდი სურვილი გაგვიჩნდა და ბოლო წამზე იაშვილს რომ გაეტანა...

კმაყოფილი ვარ რაზმაძით. ის ერთობ თავდაჯერებული იყო, მაღალ დონეზე ითამაშა. ყენიას გოცირიძით შეცვლა ტაქტიკური ხასიათის იყო. ლევანს ტრავმა აწუხებდა და 100 პროცენტით არ იყო მზად, გოცირიძე კი კარგად ჩაერთო თამაშში...

ერთი ქულით კმაყოფილი ვერ ვიქნები, თუმცა თამაშის მსვლელობით თუ ვიმსჯელებთ, ის მაინც მოვახერხეთ, რასაც ბევრი გუნდი ვერ ახერხებს - გაშვებულის გოლის შემდეგ ფსიქოლოგიურად არ გავტყდით. მოკლედ, ფრე ცოტაა და ვალდებულნი ვართ, ოთხშაბათს მოვიგოთ.

დავით თავართქილაძე

საქართველო კვიპროსთან

გიორგი ლომაია

11-მეტრიანი მოიგერია და კიდევ არაერთხელ იხსნა კარი. კარგის მეტი მასზე არაფერი ითქმის. სასიხარულოა, რომ კუპერმა ტოპმიოლერივით არ დაიჟინა უთამაშებელი თინეიჯერების კარში ჩაყენება. ლომაიამ ერთხელაც დაამტკიცა, რომ ამ დროისთვის საქართველოს საუკეთესო მეკარეა.

უჩა ლობჟანიძე

მისი ფლანგი ააწიოკეს, არადა, დაზღვევას მაინც რომ ემარჯვა, იქნებ ასე არ მომხდარიყო. კუპერს აქამდე მოსწონდა ლობჟანიძე და კარგად იცის, რომ ფეხბურთელი ერთი მატჩით არ ფასობს. ლობჟანიძე საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს, სადაც თითქმის არ არიან ალონეფტისის მსგავსი ფლანგელები.

ზურაბ ხიზანიშვილი

კახა კალაძის შემდეგ ის ჩვენს ნაკრებში ყველაზე გამოცდილი მცველია. კვიპროსთან კი ალბათ, სანაკრებო კარიერაში უსუსტესი მატჩი ითამაშა. მას შეუძლია, მალე დაივიწყოს ჩაგდებული თამაში და მომდევნო შეხვედრისთვის ისე მოემზადოს, რომ მეტოქე თავდამსხმელებს ფეხი არ გაანძრევინოს.

ლაშა სალუქვაძე

ჩვენი ნაკრების მეორე ცენტრალურ მცველს კურიოზული შეცდომები არ დაუშვია. მას მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში და ვინ იცის, იქნებ ახლა გუნდს ყველაზე უფრო იქ სჭირდებოდეს.

გიორგი შაშიაშვილი

მის ფლანგზე შედარებით სიმშვიდე იყო. შაშიაშვილს შეტევაში კარგად ჩართვაც შეუძლია, რაც კვიპროსთან ვერ ვიხილეთ. შესაძლოა, მწვრთნელს ეს მისთვის არც დაუვალებია.

ლუკა რაზმაძე

ლევან კობიაშვილსა და ზურაბ მენთეშაშვილთან ერთად ნახევარდაცვის ჯაჭვს ქმნიდა და ამ ჯაჭვიდან არ ამოვარდნილა. რამდენჯერმე იმარჯვა ორთაბრძოლაში და ერთიორი კარგი გადაცემითაც დაგვამახსოვრა თავი. არაფერი გაუფუჭებია, ერთი საგოლე მომენტის გარდა.

ზურაბ მენთეშაშვილი

ჩვეულად გაისარჯა, თუმც თამაში უკეთესადაც შეუძლია. მეტი ორთაბრძოლის მოგება მართებდა. ეს ნამდვილად არ იყო მისი საუკეთესო მატჩი.

ლევან კობიაშვილი

კაპიტნის სამკლავური ტყუილად არ ეკეთა, გოლი გაიტანა და მითითებებსაც დროულად აძლევდა თანაგუნდელებს. ბევრი მოდავე, ალბათ, არ გვეყოლება, თუ საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესოდ მას დავასახელებთ.

ლევან ყენია

რამდენიმე დღეში ის 18 წლის გახდება. მის ასაკში არასტაბილურობა ჩვეულებრივი ამბავია. მიუხედავად ამისა, ის ყველა სანაკრებო შეხვედრაში ინარჩუნებს რაღაც დონეს. კვიპროსთან ვერ ბრწყინავდა, თუმც გუნდისთვის მაინც სასარგებლო იყო.

ალექსანდრე იაშვილი

გარემარბობა მისთვის არაკომფორტულია, მაგრამ კლუბშიც და ნაკრებშიც ეს ევალება. რამდენჯერმე გაამწვავა თამაში, მეორე ტაიმი პირველზე უკეთ ითამაშა, შეეძლო, მატჩის გმირიც გამხდარიყო, მაგრამ ბოლო წამებზე რთული სიტუაციიდან გოლი ვერ გამოადნო.

ლევან მჭედლიძე

მაგრად იბრძოლა, მცველები სულ დაძაბული ჰყავდა და ისეთი შეცდომაც დააშვებინა, გოლით რომ დამთავრდა. მისი თამაში კარგად უნდა შეფასდეს.

ბექა გოცირიძე

ყოჩაღი ბიჭია, რიხით შევიდა მოედანზე. ბურთს კარგად იჭერს, თუმც დროულად ვერ თავისუფლდება მისგან. საერთო ჯამში სასარგებლო აღმოჩნდა გუნდისთვის. მას შეუძლია თამაშის გამწვავება.

რატი ალექსიძე

თავის გამოსაჩენად ცოტა დრო ჰქონდა. რამდენჯერმე მოიგო საჰაერო ორთაბრძოლა, თუმცა როცა თავდასხმაში მეწყვილე არ ჰყავს, მისი საუკეთესო თვისებები თითქოს იკარგება.

დავით თავართქილაძე



მატჩის შემდეგ

ბექა გოცირიძე

- დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო. ყველას ძალიან გვინდოდა მოგება, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ბურთის გატანა მეც შემეძლო, მაგრამ კვიპროსელთა მეკარემ მოიგერია. ყენია შევცვალე და კუპერმა იმ სამუშაოს შესრულება დამავალა, რასაც ლევანი ასრულებდა.

ლევან მჭედლიძე

- უკმაყოფილო ვარ. გამარჯვება გვინდოდა. სტადიონი თითქმის სავსე იყო და გული დამწყდა, რომ ხალხი ვერ გავახარეთ, მოლოდინი გავუცრუეთ... ახლა მთავარია, ეს ფრე დავივიწყოთ, თორემ ფსიქოლოგიურად, შესაძლოა, გუნდზე ცუდად იმოქმედოს. ოთხშაბათის მატჩზე უნდა მოვახდინოთ კონცენტრაცია. ბულგარეთი გაცილებით ძლიერი მეტოქეა, მაგრამ შინ ვთამაშობთ და ყველაფერი შესაძლებელია. უნდა მოვიგოთ, ჩვენ ეს შეგვიძლია.

ზურაბ მენთეშაშვილი

- მოსაგები თამაში იყო და ძალზე გულდაწყვეტილი ვარ, რომ 3 ქულა ვერ ავიღეთ. დღეს პირველი გამარჯვება უნდა გვეზეიმა, მაგრამ ერთი გოლის მეტი ვერ გავიტანეთ და 2 ქულა დავკარგეთ. არადა, რომ მოგვეგო, საბულგარეთო განწყობილება ბევრად უკეთესი იქნებოდა.

დავით ცაბაძე

## ტრიბუნიდან დანახული. ინტერვიუ კახა კალაძესთან
# ყველაფერი იყო, მოგების გარდა

კახა კალაძე ნაკრებს ტრავმის გამო დააკლდა. ის მაინც ჩამოვიდა თბილისში და კვიპროსთან ნაკრების მატჩს დაესწრო. მოგეხსენებათ, ფეხბურთის გარდა ის ბიზნესითაცაა დაკავებული. „შერატონ მეტეხი პალასში" შაბათს გამართული პრესკონფერენციაც სწორედ კალაძის ბიზნესსაქმიანობას მიეძღვნა. კვიპროსთან მატჩის შემდეგ კი კახას თამაშის შეფასება ვთხოვეთ...



კახა კალაძე

**- ნაკრების კაპიტანი ეროვნული გუნდის თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. საინტერესოა მატჩის თქვენეული შეფასება...**

- ვერ ვიტყოდი, რომ თამაში სანახაობრივად მდიდარი იყო. კარგი იქნებოდა, მოგვეგო და შეგვეძლო კიდეც, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ.

**- დაცვის ხაზის თამაშით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- ყველაფერი შედეგით ფასდება. ჩვენ მოგებას ვგეგმავდით. რაკი შინ კვიპროსის დამარცხება ვერ შევძელით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვერ ვიქნები.

**- როგორ ფიქრობთ, რა აკლდა ჩვენს ნაკრებს?**

- ბიჭებმა იბრძოლეს, იყო შეცდომებიც... ფეხბურთელებს გარჯა არ უნდა დავუკარგოთ. ამ ბრძოლასა და მოლოდინს მოგება ნამდვილად დაამშვენებდა, მაგრამ...

**- ბულგარეთთან მატჩსაც დაესწრებით?**

- სამწუხაროდ, ვერა. მილანში უნდა გავფრინდე, რათა მკურნალობის კურსი გავაგრძელო. ბულგარეთთან მატჩს ტელევიზიით ვნახავ.

**- ნაკრებს ტრავმის გამო გამოაკლდით. პაუზა დიდხანს გაგრძელდება?**

- „ციურიხთან" გასვლით მატჩში მყესი დავიზიანე. როგორც ჩანს, სამკურნალოდ სამი კვირა მაინც დამჭირდება. ალბათ, ერთ კვირაში სირბილს შევძლებ და მერე ნელ-ნელა მოვუმატებ დატვირთვებს.

**- გამოდის, რომ ამ თვეში მოედანზე ვერ გიხილავთ...**

- ვერა. ალბათ, ფეხბურთს ნოემბრის შუა რიცხვებისთვის დავუბრუნდები.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

# ჩემი გამოცდილების მცველს ასეთი შეცდომები არ უნდა მოსდიოდეს

**ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული შეხვედრებიდან, კვიპროსთან მატჩი ზურაბ ხიზანიშვილისთვის, ალბათ, ყველაზე სუსტი იყო. გარდა, უხეში შეცდომებისა, ხიზანიშვილი გააფრთხილეს კიდეც, რაც იმას ნიშნავს, რომ ბულგარეთთან მატჩის გამოტოვება მოუწევს. „ბლექბერნის“ მცველს მატჩის დასრულებისთანავე გავესაუბრეთ...**

- სამწუხაროდ, სამი მიუტევებელი შეცდომა დავუშვი, ისეთი, რომლის დაშვება ჩემი დონისა და გამოცდილების მცველს არ უნდა მოსდიოდეს. თუნდაც, თავით რომ დავუბრუნე ბურთი მეკარეს... კიდევ იყო... ასეთ შეცდომას არავინ გაპატიებს. დიდი იყო იმის ალბათობა, რომ იმ ეპიზოდებში მეტოქეს გოლები გაეტანა...

**- შეიძლება ითქვას, რომ გაგიმართლათ...**

- დიახ, გამიმართლა... ბოლო შანსი მეკარის რეაქცია იყო და ლომაიამ სწორედ იმ მომენტში იმარჯვა. თუმცა ხომ გაგიგიათ - კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო... ლომაიამ რომ იმარჯვა, სწორედ ესაა გუნდური სულის გამოვლინებაც. დღეს მე შევცდი, ხვალ შესაძლოა, სხვა შეცდეს, მაგრამ ერთმანეთი თუ არ დავაზღვიეთ და შეცდომები არ გამოვასწორეთ, ისე გუნდური თამაში არ გამოგვივა. ამ ნათქვამს თავის მართლებად ნუ მიიღებთ - ვგრძნობ ჩემს პასუხისმგებლობას.

**- როცა კარში საიმედო გოლკიპერია, მცველებიც და, საერთოდ, გუნდიც, უფრო მშვიდად გრძნობენ თავს...**

- კი, მაგრამ ის გაშვებული გოლი მხოლოდ მეკარის ბრალი არ არის. გუნდი იგებს და გუნდი აგებს - სწორედ ესაა გუნდური ერთსულოვნება, რომელიც ძალიან გვჭირდება.

**- მატჩის ბოლოს ძალიან კი მოინდომეთ, მაგრამ მეორე გოლი ვერ გაიტანეთ...**

- იმას ნამდვილად ვერავინ უარყოფს, რომ მოგებაზე ვიყავით დაგეშილები, მით უმეტეს, მეტოქემ პენალტი ვერ გამოიყენა და ფსიქოლოგიური უპირატესობა მივიღეთ. ეს უპირატესობა გვქონდა მაშინაც, როცა ანგარიში გავათანაბრეთ, მაგრამ შანსები ვერ გამოვიყენეთ.

**- ჯგუფის მეტოქეებს შორის კვიპროსი შედარებით სუსტია, მაგრამ შინ ეს გუნდიც ვერ დავამარცხეთ...**

- სხვათა შორის, იტალიას კვიპროსთან ძალიან გაუმართლა, კუნძულელები მოგებას იმსახურებდნენ. ვფიქრობ, კვიპროსი ქულებს ბულგარეთსა და ირლანდიასაც დააკარგვინებს.

**- თამაში დაძაბულიც იყო და ხისტიც...**

- მეტოქეც უხეშობდა და რიგ ეპიზოდებში გაფრთხილებები ჩვენც დავიმსახურეთ. იყო მომენტები, როცა საჭირო იყო მეტოქის შეტევის ჩაშლა და ცალკეულ ეპიზოდებში ეს უფრო ხისტად გამოგვდიოდა, ვიდრე სხვა დროს. როცა გუნდს სჭირდება და სხვა გზა არ არის, ყვითელი ბარათის მიღებას არ უნდა მოერიდო.

**- მომდევნო მატჩი ბულგარეთთან გვიწევს...**

- ...და უფრო რთული მატჩიც გველის. უნდა დავივიწყოთ კვიპროსი და ბულგარეთზე გადავერთოთ. იმედია, ტრავმების გამო, სხვა აღარავინ დაგვაკლდება.

**- ...მაგრამ მორიგ დანაკლისს მაინც ვერ ავცდით. დისკვალიფიკაციის გამო ბულგარეთთან შეხვედრა თქვენს გარეშე ჩაივლის...**

- სამწუხაროდ ასეა და გული ძალიან მწყდება... ოთხშაბათს გაცილებით მძიმე თამაში გვაქვს გადასატანი და მინდოდა, გუნდთან ერთად ვყოფილიყავი, მაგრამ რას ვიზამ...

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

# ბულგარეთი ასეთ შეცდომებს არ გვაპატიებს

**კვიპროსთან მატჩის შეფასება ნაკრების კაპიტანსა და ერთადერთი ქართული გოლის ავტორ ლევან კობიაშვილს ვთხოვეთ. მრავალთა აზრით, ექტორ კუპერის გუნდში საუკეთესო სწორედ ის იყო...**

**- საუბარი საერთო შეფასებით დავიწყოთ...**

- ორივე გუნდისთვის ძალიან რთული მატჩი იყო. კვიპროსთან თბილისში მხოლოდ ქულის აღება ნამდვილად ცოტაა.

**- უმრავლესობის აზრით, ქართველთაგან საუკეთესო სწორედ კობიაშვილი იყო...**

- პირადად ჩემთვის, ეს მთავარი არ არის. უნდა მოგვეგო, ხალხი მხოლოდ ამას ელოდა, მაგრამ... პირველ რიგში, სწორედ ქულების მოპოვება გვჭირდება, რათა გუნდმა უფრო თავდაჯერებულად და ლაღად ითამაშოს, მით უმეტეს, ბულგარეთთან მატჩის წინ კვიპროსთან გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა.

**- ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ ორი დავკარგეთ. ცხრილში ბოლო ადგილზე ვართ...**

- სამ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ და ასეთ დროს ძნელია ჯგუფიდან გასვლაზე ლაპარაკი. ფაქტია, ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შევძელით. ჩემი აზრით, ნაკრების თითოეული წევრი დღეს უფრო მეტად თვითკრიტიკული უნდა იყოს. უნდა ვეცადოთ, რომ ის შეცდომები, რომლებიც განსაკუთრებით მეორე ტაიმში დავუშვით, მომდევნო თამაშებში აღარ გავიმეოროთ. საერთოდ, ამგვარი შეცდომებისთვის გოლით ისჯებიან ხოლმე და თუ კვიპროსმა ეს რამდენჯერმე გვაპატია, მერწმუნეთ, ბულგარეთთან ამის იმედი აღარ უნდა გვქონდეს. ოთხშაბათს გაცილებით ძლიერი მეტოქე გვეყოლება, ასე რომ...

**- რაც შეეხება გოლის ეპიზოდს...**

- შემეძლო პასის გაკეთებაც, მაგრამ გადავწყვიტე დამერტყა, რადგან ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა. რაკი გოლი გავიდა, ესე იგი გადაწყვეტილება სწორი იყო. დასანანია, რომ სხვა საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. მომდევნო მატჩში უფრო მეტი მონდომება და ყურადღება გვმართებს.

**- კვიპროსთან დაკარგული ქულები გუნდზე რამდენად იმოქმედებს?**

- კვიპროსი უკვე წარსულია და უნდა დავივიწყოთ, თუმცა დასკვნების გაკეთება აუცილებელია. დროა, ბულგარეთთან თამაშზე უნდა გადავერთოთ. კიდევ ერთხელ ვამბობ - ბულგარელებთან მსგავსი შეცდომები აღარ უნდა დავუშვათ.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გიორგი ლომაიასთან

# პენალტის დროს ინტუიცია დამეხმარა

**შაბათს გიორგი ლომაიამ რამდენჯერმე გადაგვარჩინა, მარტო პენალტის მოგერიება რად ღირს... რაც შეეხება ჩვენს კარში გასულ გოლს, ვფიქრობთ, ამაში „ლომას“ ყველაზე ნაკლებად მიუძღვის ბრალი. ეგებ, ამ სიტუაციაშიც იყო ხსნა, მაგრამ მეკარეს მთელი მატჩის ტვირთს ვერ ავკიდებთ...**

**მატჩის შემდეგ ლომაიამ მუხლზე ყინულდადებულმა დატოვა გასახდელი. იქვე, მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ. პირველ რიგში, სწორედ მუხლის ამბავმა დაგვაინტერესა...**

**- რამდენად სერიოზულია ტრავმა?**

- მეტოქესთან ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მუხლის მიდამოებში კაპილარი გამიწყდა. ვფიქრობ, საგანგაშო არაფერია. დაზიანებული ადგილი ცოტა შესივებულია და ექიმებმა ყინული დამადეს.

**- ბულგარეთთან თამაშს შეძლებთ?**

- იმედია, ტრავმა არ გამირთულდება და ოთხშაბათსაც ვითამაშებ.

**- თამაშზე რას იტყოდით?**

- გახსნილი თამაში იყო და საგოლე მომენტები ორივე კართან შეიქმნა. მოგება ჩვენც შეგვეძლო და სტუმრებსაც. ჩემი აზრით, ფრე ლოგიკური შედეგი იყო.

**- მოგერიებულ პენალტზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა...**

- კუთხე გამოვიცანი. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მოგვეგო, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ.

**- მოძრაობით მიხვდით, რომელ კუთხეში აპირებდა დარტყმას კონსტანტინუ, თუ, უბრალოდ, გაგიმართლათ?**

- პენალტის დროს მეკარე ან ინტუიციით ირჩევს კუთხეს, ან მეტოქის მოძრაობას აკვირდება... ხან როგორ ხდება და ხან - როგორ. კარგია, რომ ინტუიციამაც არ მიღალატა, ეს კი გამოცდილებას მოაქვს.

**- ნაკრებს გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდით. ხომ არ გაგიჭირდათ?**

- პატარა აღარ ვარ, გამოვედი იმ ასაკიდან. ასე რომ, არ გამჭირვებია. ძნელი არა, მაგრამ სასიხარულო კი იყო ნაკრებში დაბრუნება.

**- ბულგარეთთან მატჩში რას ელით?**

- უშელავათო ბრძოლას. ბულგარეთი კვიპროსზე გაცილებით ძლიერი გუნდია. წესით, ამ ფრემ ჩვენი გუნდი კი არ უნდა გატეხოს, პირიქით, უნდა გამოაცოცხლოს. მომდევნო შეხვედრაში ბევრად უკეთ უნდა ვითამაშოთ. ბულგარელები ამდენ შეცდომას არ გვაპატიებენ.

**დავით ცაბაძე**

გამოხმაურება კვიპროსულ და ბერძნულ პრესაში

# მეტს ვიმსახურებდით

„მეტს ვიმსახურებდით“ - ასეთი სათაური ამშვენებს კვიპროსის საუკეთესო სპორტული ინტერნეტ-პორტალის, „შუთ ენდ გოლის“ მოწინავე სტატიას, რომელიც საქართველო-კვიპროსის მატჩს ეძღვნება:

**„თბილისური მატჩი 1:1 დასრულდა, თუმცა კვიპროსის ნაკრები მატჩის უმეტეს დროს უკეთ თამაშობდა. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში იგრძნობოდა. თამაშს ჩვენი გუნდი აკონტროლებდა და რომ არა ორი შეცდომა, მოვიგებდით კიდეც. პირველად, გოლის ავტორმა მიხალის კონსტანტინუმ პენალტი გააფუჭა, 73-ე წუთზე კი საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს მოულოდნელად დავკარგეთ ბურთი და ლევან კობიაშვილს გათანაბრების შანსი ვაჩუქეთ“.**

კვიპროსელები კიდევ რამდენიმე დეტალზე ამახვილებენ ყურადღებას - რომ მატჩს ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი** ესწრებოდა, რომ პირველი ტაიმი ძალზე მოსაწყენი იყო, ხოლო ქართველები ხშირად უხეშობდნენ.

**„პირველ ტაიმში მეტოქე მეტისმეტი სიხისტით, შეიძლება ითქვას, უხეშობით გამოირჩეოდა. ამის გამო, უკვე 35-ე წუთზე ხრისტოს მიხაილი დავკარგეთ“** - წერს ვებგვერდი.

**„ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი 50 ათასამდე ქართველი მეკარე გიორგი ლომაიას კარგმა თამაშმა გამოაცოცხლა. მან რამდენჯერმე შეგვიშალა ხელი გოლის გატანაში“.**

აი, რას წერს „ი-კიპროსი“: **„ზედიზედ მეორე მატჩია, კვიპროსის ნაკრები ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ არ უმართლებს. ამჯერად, თბილისში ფრედ დასრულებული მატჩი გვიტოვებს სინანულის გრძნობას. ჩვენ ხომ პენალტიც გავაფუჭეთ და ერთი უაზრო შეცდომაც დავუშვით, რისი წყალობითაც ქართველებმა ანგარიში გაათანაბრეს“.**

ბერძნული „კონტრაც“ იმას აღნიშნავს, რომ კვიპროსის ნაკრები მასპინძელთა გუნდზე კარგად თამაშობდა. **„კვიპროსი უკმაყოფილოა“** - წერს კიდევ ერთი ბერძნული საიტი „სპორტს ექმენი“. „გოლ დეის“ მტკიცებით კი - **„პირდაპირ საოცარია, რომ ამ თამაშით ანგელოს ანასტასიადისის გუნდმა საქართველოდან ქულაზე მეტი ვერ წაიღო“.**

73-ე წუთზე სტუმართა მიერ ბურთის დაკარგვას, რასაც კობიაშვილის გოლი მოჰყვა, „გოლდ დეი“ **„ტრაგიკულ შეცდომას“** უწოდებს. ამავე დროს, თითქმის ყველა კვიპროსული და ბერძნული წყარო ერთხმად აღნიშნავს მარცხენაფლანგელი **ეფსტატიოს ალონეფტისის** ბრწყინვალე თამაშს, რომელმაც თავისი ვიზავი (უჩა ლობჯანიძე - ავტ) უმოწყალოდ დაჩაგრა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბერბატოვი (№9) კანავაროს წინააღმდეგ

მეტოქეები

# უფერული ფრე

## ...და კმაყოფილი მწვრთნელები

**ბულგარეთი-იტალია 0:0**

**ბულგარეთი:** ივანკოვი, მილანოვი, ილიევი, ტუნჩევი, ვაგნერი (36. ივანოვი), იანკოვი, ს. პეტროვი, დიმიტროვი, გეორგიევი, მ. პეტროვი (90. პოპოვი), ბერბატოვი.

**იტალია:** ამელია, ძამბროტა, კანავარო, კიელინი, დოსენა, გატუზო, დე როსი, მონტოლივო (67. პეროტა), პეპე, ჯილარდინო (72. ტონი), დი ნატალე (67. როსი).

**მაყურებელი:** 40 000

იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ორი გამარჯვებით დაიწყო და ჯგუფს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. მიუხედავად ამისა, „სკუადრა აძურას“ თამაშით კმაყოფილი არავინ დარჩენილა. ტიფოზები და ჟურნალისტები ვერც ბულგარულმა მატჩმა აღაფრთოვანა. აპენინელებმა მეტისმეტად პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული ფეხბურთი ითამაშეს, შედეგიც შესაფერისი აღმოჩნდა.

არადა, **მარჩელო ლიპიმ** ისეთ ფეხბურთელებს ანდო ძირითადში ადგილი, აბსოლუტურად სხვა სცენარს რომ მოასწავებდა. თავად განსაჯეთ, სასტარტოში იყო ცენტრფორვარდი **ალბერტო ჯილარდინო**, გარემარბები - **ანტონიო დი ნატალე** და **სიმონე პეპე**, მათ უკან კი **რიკარდო მონტოლივო** მოქმედებდა. მოგეხსენებათ, ფლორენციელი შეტევაზე ორიენტირებული ნახევარმცველია. მიუხედავად ამისა, წინა ხაზზე „აძურას“ ბევრი არაფერი გამოუვიდა. ყველაზე მეტად „ჯილა“ აქტიურობდა და რამდენიმე მომენტი გაატანა კიდეც ქარს. კარგი იყო **დანიელე დე როსიც** - პროდუქტიულად ითამაშა და ექსპერტთაგან ყველაზე მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. მეორე ნახევარში დე როსი ცოტა დაიღალა და ლიპიმ მას **სიმონე პეროტა** შეაშველა...

სანამ ბულგარელებზე ვიტყოდეთ, ტრიბუნებზე მომხდარ ინციდენტზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. მატჩის მსვლელობისას იტალიელი და ბულგარელი ფანები ერთმანეთს დაერივნენ და რომ არა პოლიცია, კაცმა არ იცის, ეს ყველაფერი რით დასრულდებოდა. ბულგარელი ჟურნალისტების თქმით, სტუმარი ქომაგები მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძელთა პროვოცირებას ცდილობდნენ. ინციდენტი რამდენიმე ტიფოზის დაკავებით ამოიწურა...

დავუბრუნდეთ ფეხბურთს. რა შეიძლება ითქვას ბულგარეთის ეროვნულ გუნდზე, რომელიც ზეგ ჩვენს ნაკრებს დაუპირისპირდება. აქტიურობდა **დიმიტარ ბერბატოვი** და შეეძლო კიდეც გატანა. იყო ეპიზოდები, როცა **ფაბიო კანავაროსა** და **ჯორჯო კიელინის** მისი შეჩერება ძალიან უჭირდათ, თუმცა მთლიანობაში მცველებმა ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს. **ჯანლუიჯი ბუფონის** დუბლიორ **მარკო ამელიას** ბევრი საქმე არ ჰქონია, თუმცა, როცა საჭირო იყო, დამაჯერებლად გამოიყურებოდა და ნამატჩევს ლიპისგან სამადლობელი სიტყვებიც დაიმსახურა.

ზოგადად კი ლიპიმ ასეთი შეფასება გააკეთა: *„ძალიან რთული მატჩი იყო. ვფიქრობ, შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა. ხასიათის სიმტკიცე გამოვავლინეთ და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბულგარეთს რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს და გასვლითი ფრე სულაც არ არის ურიგო შედეგი. ხშირად არ ვურტყამდით კარში, მაგრამ, სამაგიეროდ, სათამაშო უპირატესობას ვფლობდით. საერთოდ, ისეთ მატჩებში, როცა მეტოქე ორგანიზებულად იცავს თავს და ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავს, გოლის გატანა ძალიან რთულია. ახალგაზრდებისა და გამოცდილი ფეხბურთელების ჩინებული სინთეზი გვაქვს. კარგად ითამაშა ძამბროტამ, რომელმაც მარტინ პეტროვს გასაქანი არ მისცა, ბრწყინვალე იყო დოსენაც, როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. სამომავლოდ მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. ჯგუფში კვლავაც ლიდერები ვართ და ეს ძალიან კარგია. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში სტარტზე დაკარგული ქულები კინაღამ ძვირად დაგვიჯდა და ეს შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ“.*

უკმაყოფილო არც ბულგარელთა თავკაცი გახლდათ. **პლამენ მარკოვმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *„იტალიის ნაკრები, პირველ რიგში, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდა, უკანმოუხედავად არც ჩვენ წავსულვართ წინ და შედეგიც ლოგიკური მივიღეთ. ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ, მეტოქეს არაფერი დაუთმეს და რამდენიმე კომპონენტში აჯობეს კიდეც. „სკუადრა აძურა“ ჯგუფის აშკარა ფავორიტია და ასეთ მეტოქესთან მოპოვებული ქულა აქტივში უნდა ჩავინეროთ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი კონკურენტები იტალიასთან თუნდაც საკუთარ კედლებში არ დამარცხდებიან. საინტერესო იყო ლიპისთან დუელიც. მარჩელო დიდი მწვრთნელია და ეს ამ შეხვედრაშიც დაამტკიცა“.*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სტუმრობა

# რას მოხმარდება ფიფას ახალი გრანტი?

## ბაზების მოწესრიგება თუ მწვრთნელთა სკოლა?

პროექტი „გოლი 2"-ის გრანტით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საგურამოში ხელოვნურსაფრიანი მოედანი დააგო. რა იქნება შემდეგში? ამის თაობაზე ევროპაში ფიფას პროექტების კოორდინატორ ევა პასკიეს გავესაუბრეთ...



ევა პასკიე

### ევა პასკიე
### ხომ არ აჯობებს მწვრთნელთა სკოლა?

**- ქალბატონო პასკიე, როდის დაიწყება პროექტი „გოლი 3" და არის თუ არა მასში საქართველო ჩართული?**

- ამ პროექტების სერია ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის იდეა გახლდათ. მისი სურვილი იყო, ყველა ფედერაციას საკუთარი სახლი და ტექნიკური ცენტრი ჰქონოდა. „გოლი 2" სწორედ საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. რაც შეეხება „გოლი 3"-ს, სხვა ქვეყნებთან ერთად მასში საქართველოც მიიღებს მონაწილეობას.

**- რა იქნება ამ პროექტით გათვალისწინებული?**

- ეს თავად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სურვილზე იქნება დამოკიდებული. ძველის მსგავსად, ეს მიზნობრივი პროექტი არ არის - ანუ, ქართულ ფეხბურთს დავეხმარებით მიმართულების განვითარებაში, რომელსაც თავად ფედერაცია მიიჩნევს საჭიროდ. რომ ხომ არ აჯობებდა ინფრასტრუქტურის გაცოცხლება?!

**- ანუ...**

- ანუ, ნაკრების ტექნიკურ ცენტრში ახალგაზრდა მოთამაშეთა აკადემიის, მწვრთნელთა სკოლის ან მსგავსი დაოსტატების კერების გახსნა და დაფინანსება. ნებისმიერ შემთხვევაში, თანხა მთლიანად თქვენი ფედერაციის შეხედულებით დაიხარჯება და ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით განვითარებას მოხმარდება.

**- საქართველოში სპეციალისტების სერიოზული პრობლემაა...**

- დიახ, და ამიტომაც გვსურს, ფედერაციასთან ერთად ვიმსჯელოთ და საუკეთესო ვარიანტი შევარჩიოთ. ორი კვირის შემდეგ ფიფაში გაიმართება ჩვენი კომიტეტის სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს პროექტების განხორციელებაზე და „გოლი 3"-ში საქართველოს ჩართვაც ამ სხდომაზე მოხდება.

**- პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, როდის დაიწყება მისი განხორციელება?**

- დამტკიცებისთანავე, ანუ პროექტი 2009 წლიდან ამოქმედდება. კიდევ ერთხელ ვამბობ - ყველაფერი ქართულ მხარეზეა დამოკიდებული, დროულად უნდა გვითხრან, რა მიმართულებით აპირებენ თანხის დახარჯვას.

### უჩა უგულავა
### საგურამოს ბაზა და ბასას ცენტრი დასამთავრებელია

**ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გაგვიმხილა, თუ რა წინადადებები შესთავაზეს იოზეფ ბლატერს...**

**- ქალბატონი პასკიეს თქმით, „გოლი 3"-ს განხორციელება და დაფინანსების მიმართულება დამოკიდებულია ფეხბურთის ფედერაციის ხედვასა და წინადადებებზე. თქვენ რა პროექტის წარდგენას აპირებთ?**

- „გოლი 2"-ით ხელოვნურსაფრიანი მოედანი დავაგეთ. ახალი პროექტით გამოყოფილ თანხას კი საგურამოს ბაზის დასამთავრებლად, ასევე, „ბასას" ტექნიკური ცენტრის განვითარებისთვის გამოვიყენებთ.

**- „ბასაზე" რა შეიძლება აშენდეს? ის თითქოს უკვე დავიწყებულია...**

- ვერ დაგეთანხმებით, არ არის დავიწყებული. შესაძლოა, იქაც ბალახის საფარი დაიგოს.

**- ადრე ითქვა, თითქოს, „ბასაზე" მოედნის მოწყობას გრუნტის წყლები აბრკოლებდა...**

- უკვე დავიწყეთ სამუშაოები, რომლის მეშვეობითაც ამ პრობლემას მოევლება. მოედანი ბუნებრივ სიმაღლეზე მაღლა ავწიეთ. საირიგაციო სისტემა აგვისტოში უნდა ჩამოგვეტანა, მაგრამ ომის გამო შეფერხდა, თუმცა მალე ჩამოვა, დამონტაჟდება და ბალახის საფარიც დაიგება.

**- საგურამოს ბაზის ერთ-ერთ მოედანთან ტრიბუნების მშენებლობაც იგეგმებოდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ მისი საფუძველია ჩაყრილი...**

- ტრიბუნები ორი მხრიდან აუცილებლად აშენდება და დაახლოებით 3 500 მაყურებელს დაიტევს, იქნება სტანდარტული განათებაც და ისეთი ლამაზი სტადიონი აშენდება, ჩვენი უმაღლესი ლიგის ნებისმიერი გუნდი სიამოვნებით ითამაშებს. ტრიბუნები დამონტაჟდება ხელოვნურსაფრიან მოედანთანაც, ოღონდ, მხოლოდ 500 მაყურებელზე იქნება გათვლილი.

**- ხელოვნურსაფრიანი მოედნის სერიოზულ მინუსებზე „ლელოსთან" ინტერვიუში გოჩა ჯამარაულმა ილაპარაკა. იქნებ, მართლა სჯობდეს ნატურალური მოედნების მოვლა-პატრონობა?**

- მესმის ჯამარაულის შეშფოთება... ჩვენთან ბევრია მოძველებული მოედანი, რომელზეც მართლა არ შეიძლება ვარჯიში, მაგრამ სულ სხვაა ბოლო თაობის ხელოვნური საფარი. ფიფას პრეზიდენტმაც აღნიშნა - მომავალი სწორედ ხელოვნურსაფრიანი მოედნებისააო და ამაში ნამდვილად ვეთანხმები.

### ნოდარ ახალკაცი
### ბავშვთა ფეხბურთი და ინფრასტრუქტურა

**ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა „გოლი 3"-ის მიმართულება ჯერ ვერ დააკონკრეტა, თუმც მიახლოებითი ვარიანტი მაინც გაგვიმხილა.**

- ეს მრავალფეროვანი თემაა და საფუძვლიანი განსჯა სჭირდება.

**- თანხის ასათვისებლად კონკრეტული მიმართულება ჯერ არ შეგირჩევიათ?**

- ჩვენი მთავარი მიზანი, მოლაპარაკების დაწყება იყო. უამრავი მონაზახი გვაქვს ბავშვთა ფეხბურთისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით. უკეთეს ვარიანტზე აუცილებლად შევთანხმდებით. მანამდე კი კონკრეტული მიმართულების დასახელება არასწორად მიმაჩნია.

**მერაბ მამულაშვილი**

## იოზეფ ბლატერი

# იმედია, წლის ბოლოსთვის მეორე სტადიონის მშენებლობაც დასრულდება

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი საქართველოს მესამედ ესტუმრა - პირველად, 1985 წელს, საბჭოთა პერიოდში, როცა თბილისი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფს მასპინძლობდა. მაშინ ის ფიფას გენერალური მდივანი გახლდათ. მეორედ, „რკინის ზეპმა" პატივი დაგვდო 2004 წელს - აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მან ფიფას გრანტით აშენებული ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრი „ბასა" გახსნა...



იოზეფ ბლატერი და ნოდარ ახალკაცი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გასულ შაბათს ბლატერმა მეორე სანაკრებო ბაზაც გაგვიხსნა. თუმცა „გახსნა" - გარკვეულ უხერხულობას იწვევს, რადგან შარშან საგურამოს ბაზაზე წითელი ლენტი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაჭრა...

თუმცა ამას აქვს თავისი ახსნა: რეალურად, საგურამოს ტექნიკური ცენტრი თბილისის „ლოკომოტივის" აშენებულია. ფეხბურთის ფედერაციასა და „ლოკომოტივს" შორის შეთანხმებით, ბაზას ეროვნული გუნდი გამოიყენებს და ამის საფასურად, „ქართული ფეხბურთის სახლმა" ორი ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგება „გოლი 2"-ის პროექტიდან ივალდებულა.

ფიფას გრანტით ერთი მოედანი უკვე დაგებულია და ბლატერი სწორედ ამ ფაქტის დასაფიქსირებლად ჩამოვიდა. ფიფა საკუთარი პროექტების განხორციელებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ბაზაზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ჯერაც არ დასრულებულა - მეორე სართული და კიდევ ერთი ხელოვნურსაფრიანი მოედანი დასაგებია...

„დღეს ჩვენთვის განსაკუთრებული დღეა, - ბრძანა ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა**, - ტექნიკური ცენტრის ინაუგურაციაზე თვით ფიფას პრეზიდენტი გვესტუმრა. ამ ცენტრის მშენებლობაში ფიფამ პროგრამა „გოლის" პროექტით მიიღო მონაწილეობა".

„მოხარული ვარ, რომ საქართველოში კიდევ ერთხელ ვიმყოფები. ტექნიკური ცენტრი ბავშვთა და, მთლიანად, ქართული ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. ხელოვნურსაფრიანი მოედნის დასაგებად ფიფამ ქართული მხარე 400 ათასი დოლარით დააფინანსა. ყველასთვის ცნობილია, თუ რამხელა მიღწევებია ხელოვნური გაზონის წარმოებაში, ის ძალზე სასარგებლოა ვარჯიშისა და თამაშისთვის, ნატურალურს ხარისხით არ ჩამორჩება. ჩინებულია, რომ ამ ყველაფერში ფიფა მონაწილეობს" - აღნიშნა ბლატერმა.

საგურამოდან ბლატერმა სასტუმრო „თბილისი მერიოტში" გადაინაცვლა, სადაც მას და მის თანაშემწე **გი-ფილიპ მატიოს** „ლელოს" ფოტოკორესპონდენტმა **ალექსანდრე კოტორაშვილმა** პატარა სიურპრიზი მოუმზადა - 1985 წლის ვიზიტის დროინდელი ფოტოები გადასცა. უკვე ასაკში შესული ჩინოსნების თვალებში ახალგაზრდული ცეცხლი შეინიშნებოდა...

ბლატერმა სათქმელი პრესკონფერენციაზე განავრცო:

- ჩემი ვიზიტი სამი მოტივითაა განპირობებული. პირველი: უნდა გაგვეხსნა საქართველოს ნაკრების ტექნიკური ცენტრი. ჩამოსვლა ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ მსურდა, მაგრამ მიზეზთა გამო გადაიდო... დღეს წილად მხვდა პატივი, გამეხსნა საგურამოს ცენტრი. იმედია, წლის ბოლოსთვის მეორე სტადიონის მშენებლობაც დასრულდება. მეორე მიზეზი: დავესწრები საქართველო-კვიპროსის მატჩს, რომელიც მოვლენაა. ირლანდიასთან თამაში ხომ მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო გადაიდო. მესამე მიზეზი: ქართული ფეხბურთის დიდ მოამაგეს, ნოდარ ახალკაცი-უფროსს, გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ ფიფას უმაღლესი ჯილდო - ღირსების ორდენი მიენიჭა. ასე რომ, ვიზიტისთვის სამი შესანიშნავი მიზეზი მქონდა. ღირსების ორდენი წელიწადში ორჯერ გადაეცემათ გამორჩეულ საფეხბურთო მოღვაწეებს. თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ყველა ნომინანტი დაჯილდოებაზე ვერ ჩამოვიდა და ამიტომ, გადავწყვიტეთ, ყველა გამორჩეული ადამიანი თავის სამშობლოში დაგვეჯილდოებინა.

**- რას ფიქრობთ სადავო ეპიზოდებში, ეგრეთ წოდებული ვიდეორეფერის გამოყენებაზე?**

- ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ყველას გვახსოვს 1966 წლის პრეცედენტი, რაზეც დღემდე დაობენ. მსაჯი ყველაფერს ვერ გააკონტროლებს. ამიტომ, ფიფამ ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო. შემოთავაზებული იყო კონტროლის სამი მექანიზმი: ჩიპიანი ბურთი; ჩოგბურთის მსგავსი სისტემა, როცა ბურთის მიერ ხაზის გადაკვეთას ვიდეოფირი აფიქსირებს; და ეგრეთ წოდებული იტალიური სისტემა. ვფიქრობდი, რომ ჩიპებიანი ბურთი გამოგვადგებოდა და ის ტოკიოში, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის დროს გამოვცადეთ. თუმცა აქ ფინანსური პრობლემა იჩენს თავს - მილიონობით ასეთი ბურთის დამზადება შეუძლებელია. ვიდეოფირის დახმარებით ხაზის გადაკვეთის მცდელობა ერთ-ერთი ქვეყნის მეორე ლიგაში ვცადეთ. თუმცა, ჩოგბურთისგან განსხვავებით, ფეხბურთში სამი განზომილებაა და ვიდეო მას სრულად ვერ აკონტროლებს. სტადიონზე დამონტაჟებული 12 კამერის საშუალებით მაინც ვერ დადგინდა სადავო ეპიზოდი. უბრალოდ, ბურთი ზუსტად ვერ ფიქსირდება.

**- საქართველოსნაირ ქვეყნებს განსაკუთრებით აღელვებთ კლუბებისა და ფედერაციების ურთიერთობა. მდიდარი კლუბები ცდილობენ, ეროვნულ გუნდებში მოთამაშეები არ გაუშვან...**

- ეს აქტუალური თემაა, რომელზეც ჩვენ ყოველდღიურად ვფიქრობთ. ამიტომაც გადავწყვიტეთ ადგილობრივი და უცხოელი მოთამაშეების ბალანსის დაცვა 6+5 სისტემით.

**- რუსეთის საფეხბურთო კავშირი სეპარატისტული აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის გუნდების საკუთარ ჩემპიონატში ჩართვაზე ალაპარაკდა. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში რა პოზიციას დაიკავებს ფიფა?**

- ეს საკითხი პოლიტიკურ ჭრილში განიხილება და მოდი, მე მხოლოდ ფეხბურთზე ვისაუბრებ.

**ნოდარ ახალკაცი:** - სეპარატისტულ რეგიონებს ფიფაში მოთხოვნა ჯერ არ გაუგზავნიათ, ამიტომ ამ თემაზე საუბარი ახლა არ ღირს...

პრესკონფერენციის შემდეგ ფიფას პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **დავით ბაქრაძეს** შეხვდა, სალამოს კი საქართველო-კვიპროსის მატჩს დაესწრო, სადაც ფედერაციის პრეზიდენტს უფროსი **ნოდარ ახალკაცისთვის** განკუთვნილი ფიფას უმაღლესი ორდენი გადასცა.

სტუმრები თბილისიდან გუშინ დილით გაემგზავრნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

### საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. VII ტური

**აღმოსავლეთი**

**12 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| კახეთი-ჩიხურა | 0:2 |
| ამერი-ნ/დინამო | 2:1 |
| გაგრა 2-ვიტ ჯორჯია 2 | 1:1 |
| დილა-დინამო 2 | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 7 | 4 | 2 | 1 | 18-6 | 14 |
| 2. დინამო 2 | 6 | 4 | 2 | 0 | 11-4 | 14 |
| 3. ამერი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| 4. ვიტ ჯორჯია 2 | 6 | 3 | 3 | 0 | 9-2 | 12 |
| 5. დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 10 |
| 6. თბილისი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 7. სიონი 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 9-13 | 7 |
| 8. ნ/დინამო | 6 | 1 | 1 | 4 | 8-13 | 4 |
| 9. გაგრა 2 | 7 | 1 | 1 | 5 | 8-16 | 4 |
| 10. კახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-12 | 3 |
| 11. ჰერეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-11 | 3 |

**დასავლეთი**

**12 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| სამტრედია-ხობი | 5:2 |
| კოლხეთი-ბათუმი | 5:2 |
| მეშახტე-ტორპედო | 0:1 |
| ჭიათურა-ზესტაფონი 2 | 2:0 |
| გურია-მარტვილი | ხვალ |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჭიათურა | 7 | 5 | 1 | 1 | 16-4 | 16 |
| 2. კოლხეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 10-3 | 16 |
| 3. ბაია | 5 | 4 | 1 | 0 | 10-1 | 13 |
| 4. სამტრედია | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 5. მარტვილი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-0 | 8 |
| 6. გურია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-8 | 5 |
| 7. ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-9 | 5 |
| 8. ბათუმი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-9 | 5 |
| 9. ზესტაფონი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 2-8 | 5 |
| 10. ტორპედო 2008 | 7 | 1 | 1 | 5 | 1-6 | 4 |
| 11. მეშახტე | 6 | 0 | 1 | 5 | 3-13 | 1 |

მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა

# ფავორიტების ტური

## უქმეები სენსაციების გარეშე


ბალაკს გააქვს მეორე გოლი რუსეთის კარში

### I ჯგუფი

**დანია-მალტა 3:0**

**დანია:** სორენსენი, ლაურსენი, აგერი, ტ. რასმუსენი, ბოგელუნდი, პოულსენი, დ. იენსენი (82. ტ. კრისტენსენი), კალენბერგი (60. კრონ-დელი), ნორდსტრანდი, რომედალი, ლარსენი (76. მ. რასმუსენი).

**მალტა:** ჰაბერი, კარუანა, აზოპარდი, დიმეში, ბრიფა, ქსერები, აგიუსი (80. ნვოკო), ვუდსი, შემბრი (60. ბარბარა), პეისი, მიფსუდი (87. სკერი).

**გოლები:** 1:0 ლარსენი (9), 2:0 აგერი (31-პენ), 3:0 ლარსენი (47)

**მაყურებელი:** 32 124

**უნგრეთი-ალბანეთი 2:0**

**უნგრეთი:** ფულოპი, შელეში, იუჰაში, ვანჩაკი, ბოდნარი, ჰალმოში, დარდაი, ჰუშტი (86. ვადოში), ჰაინალი (61. ბუჟაკი), ჯუჯაკი, ტორგელე (90. რუდოლფი).

**ალბანეთი:** ბექაი, კური, ვანგიელი (55. ჰიკა/84. ბულკუ), დალკუ, ბექირი (74. კაპლანი), კანა, დურო, ლალა, აგოლი, შკელა, ბოგდანი.

**გოლები:** 1:0 ტორგელე (49), 2:0 იუჰაში (81)

**მაყურებელი:** 14 756

**შვედეთი-პორტუგალია 0:0**

**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი, მაისტროვიჩი, ჰანსონი, საფარი, დ. ანდერსონი, ს. ლარსონი, ჰოლმენი, კალსტრიომი, იბრაჰიმოვიჩი, ელმანდერი.

**პორტუგალია:** კუიმი, ბრუნო ალვეში, პაულო ფერეირა, ბოსინგვა, პეპე, მუტინიო, ფერნანდო მეირა, რაულ მეირელეში, ნანი (86. დანი), უგო ალმეიდა (65. კვარეშმა), კრისტიანო რონალდო.

**მაყურებელი:** 33 241

შვედეთმა პორტუგალიასთან საპატიო შედეგს გამოჰკრა ხელი, მაგრამ **ლარს ლაგერბაკის** შეგირდებს გამარჯვებაც შეეძლოთ. პირველ ნახევარში **იოჰან ელმანდერმა** სამი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. „ბოლტონის" თავდამსხმელს სტუმართა დამწუხრება მე-7 წუთზე შეეძლო. მას **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** საუცხოო პასი გაუკეთა. ცნობისათვის, ამ უკანასკნელს კაპიტნის სამკლაური ეკეთა. იბრა შვედების კაპიტანი პირველად იყო. მას ამგვარი პატივი **ჰენრიკ ლარსონის** ტრავმის გამო დააკისრეს. დავუბრუნდეთ ელმანდერს. იოჰანს მეორე მომენტი 27-ე წუთზე ჰქონდა. მან ახლო მანძილიდან არაზუსტად დასცხო. ტაიმის მიწურულს კი თავური დარტყმაც აცილა. შვედეთმა სამი მატჩის შემდეგ ხუთ ქულას მოუყარა თავი და მეორე ადგილზე იმყოფება. პორტუგალიას ერთი ქულით ნაკლები აქვს და მესამე საფეხური უკავია.

მასპინძლები ორგანიზაციისა და დისციპლინის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. ამის ხარჯზე **კრისტიანო რონალდოს** გაუვნებელყოფა იოლად მოხერხდა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი სართოდ დაიკარგა - განსაკუთრებით, პირველ ტაიმში. შვედმა მაყურებელმა რონალდო სტვენით აიკლო. შესვენებამდე, პორტუგალიელთა ყველაზე სახიფათო მომენტის ავტორი ის იყო. 33-ე წუთზე რონალდომ საუცხოო პასი გაუკეთა უგო ალმეიდას. ალმეიდამ კარგად დაარტყა, მაგრამ **ანდრეას ისაკსონმა** აულო. მეორე ნახევარში პორტუგალია გააქტიურა. **ჟოაო მოუტინიომ** მასპინძელთა კარს ოდნავ აცილა. რაულ მეირელესის შეტევას კი ისევ ისაკსონი აღუდგა წინ.

უნგრეთმა ალბანეთთან დამსახურებული სამი ქულა მოიპოვა. **შანდორ ტორგელემ** და **როლანდ იუჰაზმა** ორივე გოლი თავით გაიტანეს. ალბანეთი ბუდაპეშტში ჯგუფის ლიდერის რანგში ჩავიდა. სტუმრებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და 36-ე წუთზე კინაღამ ანგარიში გახსნეს - „კოტბუსის" ნახევარმცველმა **ერვინ შკელამ** ხარიხა შეაზანზარა. უნგრელებმა გოლი 49-ე წუთზე შეაგდეს. ტორგელემ მარცხენა ფლანგიდან **ჟაბოშ ჰუშტის** უნაკლო პასი მიიღო და ექვსი მეტრიდან გაიტანა.

ალბანელებმა ანგარიშის გათანაბრება სცადეს. "სანდერლენდის" მეკარე **მარტონ ფულოპს** რამდენიმე რთული ბურთის მოგერიება მოუხდა. შეტევით გართულ სტუმრებს მეტოქის მორიგი იერიში გაეპარათ. მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე „ანდერლეხტის" მცველმა იუჰაზმა შეცვლაზე შესული **აკოშ ბუჟაკის** პასით ისარგებლა და წერტილი დასვა. ეს მატჩი ჰოლანდიელი მწვრთნელების დუელი იყო. მოგეხსენებათ, უნგრელებს **ერვინ კუმანი** წვრთნის, ხოლო ალბანელებს - **არი ჰაანი**. სამი მატჩის შემდეგ კუმანისა და ჰაანის შეგირდებს 4-4 ქულა აქვთ.

დანიელებს მალტასთან დაგეგმილი სამი ქულის მოპოვება არ გასჭირვებიათ. **სიორენ ლარსენმა** დუბლი მიითვალა. მესამე გოლი **დანიელ აგერის** ანგარიშზეა. მალტას მეტოქის კართან ერთი მომენტიც კი არ შეუქმნია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 6-3 | 4 |
| 4. უნგრეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 5. ალბანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 6. მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-10 | 0 |

**15 ოქტომბერი**

მალტა-უნგრეთი
პორტუგალია-ალბანეთი

### II ჯგუფი

**საბერძნეთი-მოლდოვა 3:0**

**საბერძნეთი:** ხალკიასი, სეიტარიდისი, დელასი, კირიაკოსი, პაპადოპულოსი, ბასინასი, კაცურანისი (73. პაცაცოღლუ), ტოროსიდისი, სამარასი (70. ამანატიდისი), ხარისტეასი, გეკასი (46. სალპინგიდისი).

**მოლდოვა:** კალანჩეა, არმასი, რებეჟა, სავინოვი, ეპურეანუ, ბორდიანი, კორნეენცოვი (78. ანდრონიკი), ჩებოტარუ, ტიგირლასი, ალექსეევი (46. პიკუშაკი), ბუგაიოვი (67. სუვოროვი).

**გოლები:** 1:0 ხარისტეასი (31), 2:0 კაცურანისი (40), 3:0 ხარისტეასი (51)

**მაყურებელი:** 12 000

**ლუქსემბურგი-ისრაელი 1:3**

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, კინციგერი, პაიალი, რაიტერი, ვაგნერი, პეტერსი, ბოსი (66. მოტა), ბეტმერი, ლევეკი, ბენსი (46. ჟოაკიმი), მუტში.

**ისრაელი:** ავატი, საბანი, ბენ ჰაიმი, ალბერმანი (90. ოჰაიონი), ტოამა (83. ბენ საჰარი), კაიალი, ბენ დაიანი, გოლანი, კეინანი, ბარდა, ბენაიუნი (88. ბუზაგლო).

**გოლები:** 0:1 ბენაიუნი (2-პენ), 1:1 პეტერსი (14), 1:2 გოლანი (53), 1:3 ტოამა (82)

**მაყურებელი:** 3 400

**შვეიცარია-ლატვია 2:1**

**შვეიცარია:** ბენალიო, შპიხერი, გრიხტინგი, ჯურუ (46. ეგიმანი), ლიხტშტაინერი, ბარნეტა (84. ფერნანდესი), ინლერი, ჰუგელი, ბეჰრამი, ფრაი (78. იაკინი), ნკუფო.

**ლატვია:** ვანინსი, სავჩენკოვსი, ივანოვსი, გორკსი, კაჩანოვსი, სოლონიცინსი (82. ვიშნიაკოვსი), ასტაფიევსი, ლაიზანსი, კაუნა (60. რუბინსი), პერეპლოტკინსი (70. კოლესნიჩენკო), კარლსონსი.

**გოლები:** 1:0 ფრაი (63), 1:1 ივანოვსი (71), 2:1 ნკუფო (72)

**გაძევება:** ლაიზანსი (69. ლატვია)

**მაყურებელი:** 18 000

შვეიცარიამ ტალახი ჩამოირეცხა. ერთი თვის წინ **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდებმა ლუქსემბურგთან წააგეს. ამჯერად, მათ ლატვიას უმასპინძლეს და პირველი გამარჯვება შემატეს აქტივს. მასპინძლები შესვენებამდეც დომინირებდნენ, მაგრამ ანგარიში მხოლოდ 63-ე წუთზე გახსნეს. გოლი შვეიცარიელთა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა **ალექსანდრ ფრაიმ** შეაგდო. 69-ე წუთზე ლატვიელები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. **იურის ლაიზანსმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ნაადრევად გამოეთხოვა მინდორს. ორ წუთში სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს. **დენის ივანოვსმა** საჯარიმო საუცხოოდ შეასრულა. შვეიცარიამ გამარჯვების გოლი 73-ე წუთზე გაიტანა. ფრაის ჩაწოდებას **ბლაისე ნკუფო** გამოეხმაურა და მეტოქე თავური დარტყმით დაამწუხრა.

საბერძნეთს სამიდან სამი მოგება აქვს. შაბათს, ევროპის ყოფილმა ჩემპიონებმა მოლდოველებს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. **ანგელოს ხარისტეასმა** დუბლი შეასრულა. ერთი გოლი **კონსტანტინოს კაცურანისის** ანგარიშზეა. ოთხშაბათს, **ოტო რეჰაგელის** შეგირდები შვეიცარიას უმასპინძლებენ.

ხარისტეასმა ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა. გოლი საჯარიმოს გათამაშებას მოჰყვა. მოლდოველმა მცველებმა ხარისტეასი უმეთვალყურეოდ დატოვეს. ანგელოსმა ბურთი დაუბრკოლებლად მიიღო და **ნიკოლაი კალანჩეა** ძლიერი დარტყმით დაამწუხრა.

რვა წუთში თეოფანის გეკასმა კაცურანისს გადაუგდო ბურთი. ამ უკანასკნელმა საჯარიმოს კიდიდან შეუჩერებლად დასცხო და მაღალ კუთხეში გაიტანა. მეორე ტაიმი ექვსი წუთის დაწყებული იყო, როდესაც ხარისტეასმა თამაშს წერტილი დაუსვა.

შვეიცარიელთა ძლევის შემდეგ, ლუქსემბურგი სიხარულით ცას ეწია, მაგრამ ისრაელმა ის უმალ მიწაზე დააბრუნა. სტუმრებმა ანგარიში მეორე წუთზევე გახსნეს. ლივერპულელმა **იოსი ბენაიუნმა** 11-მეტრიანი გაიტანა. მე-14 წუთზე მასპინძლებმა წონასწორობა აღადგინეს. ეს **რენე პეტერსმა** გააკეთა. ებრაელებმა მეტოქეს მეორე ტაიმში გატანილი ორი გოლით უპასუხეს და სამი ქულით ხელდამშვენებულები გაემგზავრნენ შინ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2. ისრაელი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 3. შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 4. ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 5. ლუქსემბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| 6. მოლდოვა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

**15 ოქტომბერი**

ლუქსემბურგი-მოლდოვა
საბერძნეთი-შვეიცარია
ლატვია-ისრაელი

### III ჯგუფი

**პოლონეთი-ჩეხეთი 2:1**

**პოლონეთი:** ბორუცი, ვავრინიაკი (43. კრჟინოვეკი), ვასილევსკი, ჟევლაკოვი, დუდკა, მურავსკი (90. იოდლოვიცი), ბლაშჩიკოვსკი, მ. ლევანდოვსკი, სმოლიარეკი, გერეირო, ბროჟეკი (69. რ. ლევანდოვსკი).

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა (58. ზიონკო), როზენალი, უიფალუში, იანკულოვსკი, კოვაჩი, პოსპეში, პლაშილი, შირლი, სლეპიჩკა (58. სვერკოში), ბაროში (81. ფენინი).

**გოლები:** 1:0 ბროჟეკი (27), 2:0 ბლაშჩიკოვსკი (53), 2:1 ფენინი (87)

**მაყურებელი:** 45 000

**სლოვენია-ჩრ. ირლანდია 2:0**

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, ბრეჩკო, კომაჩი, ზულერი, ჩესარი, შიშიჩი (81. ბირსა), კორენი, ნოვაკოვიჩი, დედიჩი (69. ლუბიანკიჩი), კირმი (90. მატიჩი), ილიჩი.

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, მაკოლი, მაკარტნი, ევანსი, ბერდი, გილესპი, დევისი, ჰილი, ლაფერტი, მაკკანი (73. მაკგივერნი), ჰიუზი.

**გოლები:** 1:0 ნოვაკოვიჩი (84), 2:0 ლუბიანკიჩი (85)

**მაყურებელი:** 12 385

**სან მარინო-სლოვაკეთი 1:3**

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, კ. ვალენტინი, ვანუჩი, დ. სიმონჩინი (84. ვიტაიოლი), მიკ. მარანი, ბერეტი (72. ბონინი), ბაჩოკი (46. ალბანი), დელა ვალე, მან. მარანი, მაურ. მარანი, სელვა.

**სლოვაკეთი:** კამენარი, მ. პეტრაში, კრაიჩიკი, ჩეხი, კრატოხვილი, კოზაკი, ბორბელი (46. კარჰანი), შეშტაკი (85. პ. პეტრაში), ვიტეკი, მინტალი (62. იაკუბკო), იენდრიშეკი.

**გოლები:** 0:1 შეშტაკი (33), 0:2 კოზაკი (38), 1:2 სელვა (45), 1:2 კარჰანი (50)

**გაძევება:** კრატოხვილი (72. სლოვაკეთი)

**მაყურებელი:** 1 500

პოლონეთმა ჩეხეთს **იაკობ ბლაშჩიკოვსკის** წყალობით მოუგო. დორტმუნდის "ბორუსიის" ნახევარმცველმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა. მისი გადაცემით **პაველ ბროჟეკმა** ისარგებლა და 27-ე წუთზე ანგარიში გახსნა. თავად ბლაშჩიკოვსკიმ 53-ე წუთზე შეაგდო.

სტუმრებმა ერთი ბურთი თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გაქვითეს. გოლი შეცვლაზე შესული ფეხბურთელების კომბინაციას მოჰყვა. **ვაცლავ სვერკოშმა მარტინ ფენინი** მოძებნა, მან კი **არტურ ბორუცი** ძლიერი დარტყმით დაამწუხრა. ჩეხებს მეტის გასაკეთებლად დრო არ ეყოთ.

პოლონელებს შვიდი ქულა აქვთ და ჯგუფში პირველი ადგილი უჭირავთ. ჩეხეთმა შესარჩევი ტურნირი უსახურად დაიწყო, ამიტომ ორ თამაშში მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლო. ჩეხები მესამე ადგილზე მყოფ სლოვაკებს ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

ჩრდილოეთმა ირლანდიამ მესამე მატჩში მეორე მარცხი იწვნია. სლოვენიამ მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანა, თუმცა სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 84-ე წუთამდე ანგარიში 0:0 იყო. **მილივოიე ნოვაკოვიჩმა** და **ზლატან ლიუბიანკიჩმა** ორ წუთში ორჯერ აილეს **სტიუარტ ტეილორის** კარი. ირლანდიელთა დაცვამ 84 წუთის განმავლობაში ისე გამართულად ითამაშა, რომ თამაშის მიწურულს ორი გოლის გაშვება დიდი უსამართლობა იყო. სტუმრები ერთ ქულას მაინც იმსახურებდნენ.

სან მარინოსა და სლოვაკეთის მატჩში სენსაცია არ მომხდარა. სტუმრებმა მეტოქეს დამაჯერებლად სძლიეს და ექვსი ქულით მესამე ადგილზე დაფუძნდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. სლოვენია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 4. ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 5. ჩრ. ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 6. სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**15 ოქტომბერი**

ჩრ. ირლანდია-სან მარინო
ჩეხეთი-სლოვენია
სლოვაკეთი-პოლონეთი

### IV ჯგუფი

**ფინეთი-აზერბაიჯანი 1:0**

**ფინეთი:** იაასკელაინენი, პასანენი, კალიო, ჰიიპია, ტიჰინენი, ვაირინენი, ერიომენკო (79. ლიტმანენი), ტაინიო (90. ჰეიკინენი), ფორსელი, როჰია (62. პოჰია), სიოლუნდი.

**აზერბაიჯანი:** აგაევი, მალიქოვი, იუნისოღლუ, შუქუროვი, ჩერტოგანოვი (79. ა. აბდულაევი), აბასოვი, სუბაშიჩი (73. პონომარიოვი), სადიგოვი, მამადოვი (59. ჰუსეინოვი), ზეინალოვი, ლეანდრო გომეში.

**გოლი:** 1:0 ფორსელი (62-პენ)

**მაყურებელი:** 22 124

**უელსი-ლიხტენშტაინი 2:0**

**უელსი:** ჰენესი, განტერი, ბეილი, მორგანი, უილიამსი, დეივისი, ფლეტჩერი (56. რობინსონი), კუმასი, ედვარდსი, ვოუკსი (51. ევანსი), ბელამი (82. კოლინზი).

**ლიხტენშტაინი:** იელე, რიტცბერგერი (67. კრისტენი), დ'ელია, გერშტერი, მარ. შტოკლაზა, ფიშერი, ბურგმაიერი, თ. ბიუხელი, პოლვერინო (80. რ. ბიუხელი), თ. ბეკი, მ. ფრიკი.

**გოლები:** 1:0 ედვარდსი (42), 2:0 მ. ფრიკი (80-საკ. კარში)

*44-ე წუთზე ბელამიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**მაყურებელი:** 12 500

**გერმანია-რუსეთი 2:1**

**გერმანია:** ადლერი, ფრიდრიხი, მერტეზაკერი, ვესტერმანი, ლამი, შვაინშტაიგერი, ჰიტცლშპერგერი (90. როლფესი), ბალაკი, ტროხოვსკი (84. ფრინგსი), პოდოლსკი, კლოზე (71. გომესი).

**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ჟირკოვი, დენისოვი, ზირიანოვი, სემაკი (85. სიჩოვი), იანბაიევი (46. ძაგოევი), არშავინი, პოგრებნიაკი.

**გოლები:** 1:0 პოდოლსკი (9), 2:0 ბალაკი (28), 2:1 არშავინი (51)

**მაყურებელი:** 65 600

გერმანიამ ცხრილში პირველი ადგილი შეინარჩუნა. **ლუკას პოდოლსკიმ** და **მიხაელ ბალაკმა** რუსეთი პირველსავე ტაიმში დაამწუხრეს. რუსებმა ერთი ბურთი გაქვითეს, მაგრამ მასპინძლებს უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ. მატჩი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. **გუუს ჰიდინკის** შეგირდებმა შესარჩევ ტურნირში პირველი მარცხი იწვნიეს.

პოდოლსკიმ ანგარიში მე-9 წუთზე გახსნა. მან საჯარიმოს კიდესთან **მიროსლავ კლოზეს** პასი მიიღო, იოლად ჩამოიტოვა **ვასილი ბერეზუცკი** და **იგორ აკინფეევს** შანსი არ დაუტოვა. 20 წუთში თვით ბუნდესკაპიტანმა გაიტანა. **ბასტიან შვაინშტაიგერმა** მეკარის მოედანში ჩააწოდა. აკინფეევმა ბურთზე რეაგირება ვერ მოასწრო. ბალაკმა კი შანსი ხელიდან არ აგუშვა.

შესვენების შემდეგ, რუსეთი საგრძნობლად გააქტიურდა. ანდრეი არშავინს ერთი ბურთის გასაქვითად ექვსი წუთი დასჭირდა. სტუმრებმა ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერეს. გერმანელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. დებიუტანტმა **რენე ადლერმა**, რომელმაც დაშავებული **რობერტ ენკე** შეცვალა, მთელი მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა.

ადლერი თამაშში პირველად მეოთხე წუთზე ჩაერთო. მასპინძელთა კარს **პაველ პოგრებნიაკმა** შეუტია. გერმანიამ ბალაკის ძლიერი დარტყმით უპასუხა. აკინფეევმა ბურთი კუთხურზე გადააგდო. ამას **თომას ჰიტცლშპერგერისა** და კლოზეს კომბინაცია მოჰყვა, რომელიც პოდოლსკის გოლით დაგვირგვინდა. „ბაიერნის" თავდამსხმელმა ნაკრების მაისურით 31-ე ბურთი შეაგდო. შემდეგ იყო ბალაკის გოლი. მეორე ტაიმმა რუსების უპირატესობის ფონზე ჩაიარა.

არშავინს საგოლე პასი **ალექსანდრ ანიუკოვმა** გაუკეთა. გოლიდან ოთხ წუთში **სერგეი სემაკმა** კინაღამ გაათანაბრა. ადლერი რომ არა, რუსები მეორედ აილებდნენ გერმანელთა კარს. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე არშავინმა კვლავ სახიფათოდ შეუტია. 87-ე წუთზე გერმანელ გულშემატკივარს კიდევ ერთხელ შეეკრა სუნთქვა. **ალან ძაგოევის** დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია.

ჯგუფის სხვა მატჩებში ფინეთმა აზერბაიჯანი მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. ერთადერთი გოლი **მიკაელ ფორსელმა** შეაგდო. უელსმა კი ლიხტენშტაინს ორი უპასუხო გოლი გაუტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 11-4 | 9 |
| 2. უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. ფინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 4. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 5. აზერბაიჯანი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-8 | 1 |

**15 ოქტომბერი**

გერმანია-უელსი
რუსეთი-ფინეთი

# უცხოური ფეხბურთი

## V ჯგუფი

### თურქეთი-ბოსნია 2:1

**თურქეთი:** ვოლქანი, სერვეთი, ჰაქან ბალთა, იბრაჰიმი, საბრი, არდა, მეჰმეთ აურელიო, ქაზიმ-რიჩარდსი, აიჰანი (63. ჰალილ ალთინთოფი), მევლუთი (79. იუსუფი), ბათუჰან ყარადენიზი (38. ნური შაჰინი).

**ბოსნია:** ჰასაგიჩი (73. ბრასნიჩი), ბერბეროვიჩი, სპაჰიჩი, დამიანოვიჩი, რადელიჩი, სალიჰოვიჩი, მურატოვიჩი (81. პიანიჩი), რაჰიმიჩი, იბრიჩიჩი (63. იბიშევიჩი), მისიმოვიჩი, ჯეკო.

**გოლები:** 0:1 ჯეკო (27), 1:1 საბრი (51-საჯ. კარში), 2:1 მევლუთი (66)

**მაყურებელი:** 23 628

### ბელგია-სომხეთი 2:0

**ბელგია:** სტიინენი, სიმონსი, კომპანი, ჟილე, ვან დამი, დეფური (73. ჰუისეგემსი), ვერტონგენი, ფელაინი, დემბელე, ვიტსელი, სონკი (88. დე სუტერი).

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ჰოვსეპიანი, არზუმანიანი, არაქელიანი, პაჩანიანი, ვოსკანიანი, არმ. ქარამიანი (87. მხითარიანი), მკრტჩიანი, თათევოსიანი, ზებელიანი (81. მელქონიანი), ალექსანიანი (64. ჰაკობიანი).

**გოლები:** 1:0 სონკი (22), 2:0 ფელაინი (38)

**მაყურებელი:** 20 994

### ესტონეთი-ესპანეთი 0:3

**ესტონეთი:** ლონდაკი, იააგერი, ბარენგრუბი, პიიროია, კრუგლოვი, კინკი (59. პურიე), დმიტრიევი, ლინდპერე (75. კლავანი), ვუნკი, ვასილიევი, ვოსკობოინიკოვი (73. სააბი).

**ესპანეთი:** კასილიასი, რამოსი (53. იარაოლა), პუიოლი, ხუანიტო, კაპდევილია, კასორლა, ჩავი, ჩაბი ალონსო, ინიესტა (79. რიერა), ვილია (70. ფაბრეგასი), ტორესი.

**გოლები:** 0:1 ხუანიტო (34), 0:2 ვილია (38-პენ), 0:3 პუიოლი (69)

**მაყურებელი:** 8 500

ევროპის ჩემპიონებს ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვთ. ესპანელებმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს. ამჯერად მათი მეტოქე მოკრძალებული ესტონეთის ნაკრები იყო. სტუმრებმა მას სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. ანგარიში მცველმა **ხუანიტომ** გახსნა. მან საჯარიმო თავური დარტყმით დააგვირგვინა. ოთხ წუთში **დავიდ ვილიამ** პენალტი გაიტანა. 69-ე წუთზე მორიგ საჯარიმოს ესტონელთა კარში გატანილი მესამე გოლი მოჰყვა. თავდამსხმელის ფუნქცია ამჯერადაც მცველმა, **კარლეს პუიოლმა** შეითავსა. ესპანელთა წაუგებელი სერია უკვე 26 მატჩს მოიცავს.

ესტონელებმა მრისხანე სტუმრებს იმდენი წინააღმდეგობა გაუწიეს, რამდენიც შეეძლოთ. მე-15 წუთზე **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვმა** სახიფათოდაც შეუტია. **იკერ კასილიასმა** ბურთი კუთხურზე გადააგდო. ანგარიშის გახსნა **ფერნანდო ტორესს** შეეძლო. ესტონელთა მეკარე **პაველ ლონდაკმა** მის იერიშს შთამბეჭდავი სეივით უპასუხა. 34-ე წუთზე ხუანიტო **ჩავი ერნანდესის** საჯარიმოს გამოეხმაურა - ესპანელები დაწინაურდნენ. ოთხ წუთში **ალო ბარენგრუბმა** ტორესი საჯარიმოში წააქცია. მსაჯმა უყოყმანოდ 11-მეტრიანი ნიშნულისაკენ მიუთითა. დავიდ ვილიამ სხვაობა ორამდე გაზარდა.

ესტონელებმა ისევ გაიბრძოლეს. ვოსკობოინიკოვი მეტოქის მცველებს დაუსხლტა და კასილიასიც მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ააცილა. 69-ე წუთზე ჩავი ერნანდესმა მეორე საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში - პუიოლმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ბელგიამ სომხეთს **ვესლი სონკისა** და **მარუან ფელაინის** გოლებით მოუგო. **რენე ვანდერეიკენის** შეგირდებმა სამ მატჩში შვიდ ქულას მოუყარეს თავი და მეორე ადგილზე იმყოფებიან. სომხებმა სამივე მატჩი უიმედოდ წააგეს. მათ არც ერთი გოლი არ გაუტანიათ. სამაგიეროდ, უკვე რვა გოლის გაშვება მოასწრეს. რა გასაკვირია, რომ ისინი უიმედო აუტსაიდერები არიან.

თურქებს ბოსნიელთა დამარცხება ძალიან გაუჭირდათ. სტუმართა თავდამსხმელმა **ედინ ჯეკომ** ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა. **ფათიჰ თერიმის** შეგირდებმა პირველ ნახევარში არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ყველა ქარს გაატანეს. შესვენების შემდეგ, 51-ე წუთზე, **საბრი სარიოღლუმ** მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა. 15 წუთში მევლუთ ერდინჯმა გამარჯვების გოლი გაიტანა, რომლის თანაავტორად კვლავ ბოსნიელი მცველები შეგვიძლია მივიჩნიოთ.

სამი მატჩის შემდეგ თურქეთმა შვიდი ქულა დააგროვა. ის ბელგიას მხოლოდ ერთი გოლით ჩამორჩება. ოთხშაბათს ჩვენი მეზობლები ტალინს ესტუმრებიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2. ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 3. თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 4. ბოსნია | 3 | 1 | 0 | 2 | 8-3 | 3 |
| 5. ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-13 | 0 |
| 6. სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-8 | 0 |

**15 ოქტომბერი**

ბელგია-ესპანეთი
ესტონეთი-თურქეთი
ბოსნია-სომხეთი

## VI ჯგუფი

### ინგლისი-ყაზახეთი 5:1

**ინგლისი:** ჯეიმსი, ბრაუნი, ფერდინანდი, აპსონი, ე. კოული, ბერი (46. რაიტ-ფილიპსი), ლემპარდი, ჯერარდი, უოლკოტი (79. ბექჰემი), ჰესკი, რუნი (87. დეფო).

**ყაზახეთი:** მოკინი, კუჩმა, კიროვი (85. საბალკოვი), კისლიცინი, ნუსერბაიევი, ბალტიევი, ლოგვინენკო, ოსტაპენკო (76. მალცევი), სკორიხი, იბრაიევი, კუკიევი.

**გოლები:** 1:0 ფერდინანდი (52), 2:0 კუჩმა (65-საჯ. კარში), 2:1 კუკიევი (68), 3:1 რუნი (77), 4:1 რუნი (86), 5:1 დეფო (90)

**მაყურებელი:** 89 107

### უკრაინა-ხორვატია 0:0

**უკრაინა:** პიატოვი, მიხალიკი, იარმაში, შევჩუკი, ჩიგრინსკი, ალიევი, გოლაიკო, ტიმოშჩუკი, ლევჩენკო (83. კრავჩენკო), ნაზარენკო, შევჩენკო.

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმუნიჩი, კრიჟანაცი, ჩორლუკა, პრანიჩი, ვუკოიევიჩი, სრნა, ნ. კოვაჩი, რაკიტიჩი (82. მანჯუკიჩი), მოდრიჩი, ოლიჩი.

**მაყურებელი:** 33 000

ინგლისმა დაგეგმილი სამი ქულა მიამატა აქტივს. ანგარიშიც შთამბეჭდავია, მაგრამ მან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. მასპინძლებს სასურველი შედეგის მისაღწევად დიდი მონდომება და ცოტა ნერვიულობა დასჭირდათ. სამი ქულა სამი ქულააო, იტყვის მავანი. ერთი წლის შემდეგ, როდესაც შესარჩევი ციკლი შეჯამდება, ყოველ ქულას და ყოველ გოლს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმოაჩნდეს.

**ფაბიო კაპელოს** შეგირდებმა ხუთიდან სამი გოლი ბოლო 12 წუთში გაიტანეს. იქამდე ყაზახებმა მრისხანე მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. სტუმრები მაშინაც არ გატყდნენ, როდესაც ინგლისი ორი ბურთით დაწინაურდა. მათ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს. მაგრამ ბოლოს გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

ზაგრებში გამარჯვებამ ინგლისელი გულშემატკივარი ეიფორიაში ჩააგდო. ისინი ყაზახეთთან იოლ გასეირნებას მოელოდნენ. შესვენებისას, პირთამდე გავსებულ „უემბლიზე" ბევრ გაკვირვებულ ადამიანს ნახავდით. 45 წუთის შემდეგ ანგარიში ისევ 0:0 იყო.

ყაზახეთი არ იყო ანდორა. სტუმრები ცდილობდნენ შეეტიათ, როცა ამის საშუალება ეძლეოდათ. ინგლისელები ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ. ამიტომ მათ ბანაკში დაბნეულობა შეინიშნებოდა. სხვა როგორ ავხსნათ ის, რომ პირველ ტაიმში ყაზახთა მეკარე **ალექსანდრ მოკინს** საქმე არ ჰქონია.

ინგლისელთა დაცვა მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა. **ჯონ ტერის** ნაცვლად, დაცვის ცენტრში გამწესებულ **მეტიუ აპსონს** თითქოს ოსტატობა არ ჰყოფნიდა. სუსტად თამაშობდა **ეშლი კოულიც**. ბევრი იშრომეს ნახევარმცველებმა - **ფრენკ ლემპარდმა** და **სტივ ჯერარდმა**, აგრეთვე თავდამსხმელებმა - **ემილ ჰესკიმ** და **უეინ რუნიმ**.

შესვენებისას, კაპელოს გუნდის განწყობა მაინც მოუხდა. მან უფრო სწრაფი **შონ რაიტ-ფილიპსი** გამოიყვანა. ინგლისმა პირველი გოლი მეკარე მოკინის შეცდომის ხარჯზე გაიტანა. კუთხურისას, ყაზახთა კარის დარაჯი გამოსვლაზე შეცდა. **რიო ფერდინანდმა** ბურთს თავი დაჰკრა და ნაკრების მაისურით მესამე გოლი შეაგდო.

13 წუთში **კუჩმამ** ავტოგოლი მიითვალა. ლემპარდმა საჯარიმოში ჩაჰკიდა. ყაზახი მცველი **უეინ რუნის** მეურვეობდა. მართალია, მან მეტოქეს ბურთი არ დაანება, მაგრამ ის საკუთარ კარში შეაგდო. თამაში ყველას დასრულებული ეგონა. სამ წუთში **ჟამბილ კუკიევმა** გულშემატკივარს ხმა ჩააკმენდინა - **ეშლი კოულმა** ბურთი მეტოქეს ჩააბარა, მან კი ძლიერი დარტყმით სხვაობა შეამცირა.

ამ ეპიზოდიდან მოყოლებული ეშლი კოულს გამაყრუებლად უსტვენდნენ. ბოლოს უეინ რუნიმ ივაჟკაცა და ორი გოლით ქომაგებს მხნეობა დაუბრუნა. მეორე გოლისას, უეინს საგოლე პასი **დევიდ ბექჰემმა** მიაწოდა. ბოლო წუთზე თამაშს **ჯერმეინ დეფომ** დაუსვა წერტილი.

ამავე ჯგუფში უკრაინისა და ხორვატიის ნაკრებების კიევური მატჩი უგოლოდ დასრულდა. ინგლისი ერთპიროვნული ლიდერია. მას ფეხდაფეხ მიჰყვება უკრაინა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-2 | 9 |
| 2. უკრაინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 3. ხორვატია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4. ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 5. ყაზახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-11 | 3 |
| 6. ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**15 ოქტომბერი**

ბელარუსი-ინგლისი
ხორვატია-ანდორა

## VII ჯგუფი

### სერბეთი-ლიტვა 3:0

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ობრადოვიჩი, დრაგუტინოვიჩი (24. კრსტაიჩი), ვიდიჩი, ივანოვიჩი, სტანკოვიჩი, მილიაში, კრაშიჩი (72. იანკოვიჩი), პანტელიჩი (56. კუჟმანოვიჩი), ჟიგიჩი, იოვანოვიჩი.

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, შემბერასი, დედურა, სტანკევიჩუსი, პაპეცკისი (46. იანკაუსკასი), მიკოლაიუნასი (46. კალონასი), კლიმავიჩუსი, კსანავიჩუსი, ზემლიკასი, პილიბაიტისი (79. სკერლა), დანილევიჩუსი.

**გოლები:** 1:0 ივანოვიჩი (6), 2:0 კრაშიჩი (34), 3:0 ჟიგიჩი (82)

**გაძევება:** კლიმავიჩუსი (74. ლიტვა)

**მაყურებელი:** 28 000

### ფარერები-ავსტრია 1:1

**ფარერები:** მიკელსენი, ნაესი, დავიდსენი, დანიელსენი, ი. იაკობსენი, ტომასენი (37. ბენიამინსენი), ბორგი (33. ლოკინი/74. ფლოტუმი), კ. იაკობსენი, ჰანსენი, ჰოლსტი, ბო.

**ავსტრია:** მანინგერი, შტრანცლი, პოგატეცი, შარნერი, პრიოდლი, ფუხსი, ივანშიტცი, ჰარნიკი (25. ჰიოლცლი), დარიჩი (67. კინასტი), ჰოფერი, იანკო (81. არნაუტოვიჩი).

**გოლები:** 1:0 ლოკინი (47), 1:1 შტრანცლი (49)

**მაყურებელი:** 1 890

### რუმინეთი-საფრანგეთი 2:2

**რუმინეთი:** ლობონტი, ოგარარუ, გოიანი, ტამაში, რაცი, კივუ, მურეშანი, პეტრე (75. ბუკური), მარიკა, მუტუ (75. კოსტეა), ვასილიჩი.

**საფრანგეთი:** მანდანდა, სანია, ბუმსონგი, აბიდალი, ტულალანი, ევრა, გურკუფი, ა. დიარა, მალუდა (38. ბენზემა), რიბერი (90. ბრაიანდი), ანრი.

**გოლები:** 1:0 პეტრე (6), 2:0 გოიანი (17), 2:1 რიბერი (36), 2:2 გურკუფი (69)

**მაყურებელი:** 21 000

**რაიმონ დომენეკი** ჯერ კიდევ ინარჩუნებს თანამდებობას. ეს საკითხი დახურული იქნებოდა, ფრანგებს რომ ბუქარესტში წაეგოთ. მასპინძლებმა მეტოქეს უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს. მე-17 წუთისთვის ანგარიში უკვე 2:0 გახლდათ.

სტუმართა პრობლემები თამაშამდე დაიწყო. მოთელვისას გუნდის კაპიტანი **პატრიკ ვიეირა** დაშავდა. საკვანძო ფეხბურთელის გამოკლებამ გუნდზე უარყოფითად იმოქმედა. **ფლორენტინ პეტრემ** ანგარიშის გასახსნელად სულ რაღაც ექვსი წუთი იკმარა. ათ წუთში პეტრემ ასისტენტობა ითავა. მის კუთხურს **გოიანი** გამოეხმაურა და მეორე გოლი გაიტანა. ეს გოლი ზუსტად მე-1000 აღმოჩნდა რუმინეთის ნაკრების ისტორიაში.

ევროპის ჩემპიონატზე ამ გუნდების მატჩი უგოლოდ დასრულდა. ამჯერად, მაყურებელმა სულ სხვა თამაში იხილა. 36-ე წუთზე რუმინელთა მეკარე **ბოგდან ლობონტმა ტიერი ანრის** სახიფათო შეტევა მოიგერია. ფრანგებმა ტემპს მოუმატეს. ორ წუთში **ფრანკ რიბერიმ** ერთი ბურთი გაქვითა. საგოლე გადაცემა **იოან გურკუფის** ანგარიშზე ჩაიწერა.

მეორე ტაიმი ფრანგების შეტევებით დაიწყო. ლობონტმა ჯერ ანრის დარტყმა მოიგერია, შემდეგ გურკუფის დამატება. გურკუფმა გოლი მაინც გაიტანა. მან 35 მეტრიდან მეხივით დააქუხა. ბურთი ხარიხას მოხვდა და ბადეში ჩაეშვა.

ავსტრიელებმა, რომლებმაც პირველ ტურში ფრანგებს სასტიკი დღეს აყარეს, ამჯერად ვერაფერი გააწყვეს ფარერებთან. სერბეთმა კი ჯგუფის ლიდერი ლიტვა დაიბრიყვა და სამი უპასუხო გოლი გაუტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| 2. ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 3. ავსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4. საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 5. რუმინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 6. ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

**15 ოქტომბერი**

ავსტრია-სერბეთი
ლიტვა-ფარერები

## IX ჯგუფი

### შოტლანდია-ნორვეგია 0:0

**შოტლანდია:** გორდონი, ბროდფუტი, უეირი, კოლდუელი, ნეისმითი, ბრაუნი, დ. ფლეტჩერი, რობსონი, მორისონი (56. ს. ფლეტჩერი), მაკფადენი (57. იველუმო), მელოუნი.

**ნორვეგია:** კნუდსენი, ჰოილანდი, ჰანგელანდი, ველერი, ი. რიისე, ბ. რიისე (56. ბრაატენი), სტრომსტადი (77. პედერსენი), გრინდჰაიმი, ვინსნესი, ივერსენი, ქერიუ.

**მაყურებელი:** 51 300

### ჰოლანდია-ისლანდია 2:0

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, მარსელისი, ოოიერი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, კუიტი, ვან ბომელი, ვან დერ ვაარტი (82. სნეიდერი), დე იონგი (14. დე ზეეუვი), ბაბელი (69. აფელაი), ჰუნტელაარი.

**ისლანდია:** გუნლეიფსონი, სევარსონი, რ. სიგურდსონი (61. ტ. ბიარნასონი), კ. სიგურდსონი, ი. სიგურდსონი, ჰრეიდარსონი, გისლასონი, ვ. გუნარსონი (87. სმარასონი), ბ. გუნარსონი (73. ა. გუნარსონი), ჰალფრედსონი, გუდიონსენი.

**გოლები:** 1:0 მატიისენი (15), 2:0 ჰუნტელაარი (65)

**მაყურებელი:** 37 500

ჰოლანდიელებმა ორ ტურში ექვსი ქულა მოიხვეჭეს. ისლანდიას გოლები **იორის მატიისენმა** და **კლაას იან ჰუნტელაარმა** გაუტანეს. ტრავმების გამო მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი აკლდათ. ანგარიში მე-15 წუთზე კუთხურის გათამაშებისას გაიხსნა. მატიისენი **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ჩაწოდებას გამოეხმაურა და ახლო კუთხეში გაიტანა. ჰოლანდიას არა ერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მეორე გოლი მხოლოდ 65-ე წუთზე შეაგდო. ამ იერიშშიც ვან დერ ვაარტი მონაწილეობდა. მატიისენისა არ იყოს, ჰუნტელაარმაც მისი პასით გაიტანა.

ოთხშაბათს, ჰოლანდია ნორვეგიას ესტუმრება. ნორვეგიელებმა ორივე მატჩი ფრედ დაასრულეს. შაბათს, ისინი შოტლანდიას სტუმრობდნენ. შოტლანდიელთა დებიუტანტმა თავდამსხმელმა **კრის იველუმომ** გამაოგნებელი მომენტი ვერ გამოიყენა. "ვულვერჰემპტონის" თავდამსხმელი მინდორზე 57-ე წუთზე მაკფადენის ნაცვლად გამოვიდა. ცოტა ხანში მან ისეთ ეპიზოდში ვერ გაიტანა, როდესაც აცილება უფრო ძნელი იყო.

შოტლანდიელებსა და ნორვეგიელებს მეორე ადგილისათვის ბრძოლის უმთავრეს კანდიდატებად მიიჩნევენ. ამიტომ ამ ორი ქულის განიავება **ჯორჯ ბარლის** გუნდს შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. ნორვეგია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 5. ისლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |

**15 ოქტომბერი**

ისლანდია-მაკედონია
ნორვეგია-ჰოლანდია




ინგლისელებმა ანგარიში ფერდინანდის თავურით გახსნეს

მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. სამხრეთი ამერიკა

# ტაბარესი ლეო მესის ტანგოს ცეკვას ურჩევს



ბოლივია-პერუ. მარსელო მარტინსი და ხოსელიტო ვაკა ხოაკინ ბოტეროს სანაკრებო რეკორდს ულოცავენ

### არგენტინა-ურუგვაი 2:1

**არგენტინა:** კარისო, ძანეტი, დემიკელისი, ბურდისო, ჰაინცე, მასკერანო, კამბიასო, რიკელმე (73. ლედესმა), აგუერო (73. დიეგო მილიტო), მესი (90. დანიელ დიასი), ტევესი

**ურუგვაი:** კასტილიო, ფუსილე (25. კავანი), ლუგანო, გოდინი, კასერესი, ეგურენი, პერესი, მაქსიმილიანო პერეირა, კრისტიან როდრიგესი (74. ბუენო), სუარესი, აბრეუ (74. ჩევანტონი).

**გოლები:** 1:0 მესი (6), 2:0 აგუერო (13), 2:1 ლუგანო (40).

**მაყურებელი:** 42 000

### კოლუმბია-პარაგვაი 0:1

**კოლუმბია:** ხულიო, სუნიგა, იეპესი, ლუის ამარანტო პერეა, ამერო, ბედოია, გარინი (72. ადრიან რამოსი), ვარგასი, ჯოვანი ერნანდესი (54. დავიდ ფერეირა), რენტერია, მონტერო (54. კინტერო).

**პარაგვაი:** ხუსტო ვილიარი, დარიო ვერონი, ხულიო კასერესი, და სილვა, ვიქტორ კასერესი, ბარეტო (81. ბონეტი), ვერა, რივეროსი, აურელიანო ტორესი, კაბანიასი, ნელსონ ვალდესი (75. ბოგადო).

**გოლი:** 0:1 კაბანიასი (9).

**მაყურებელი:** 30 000

### ბოლივია-პერუ 3:0

**ბოლივია:** არიასი, კრისტიან ვარგასი, რალდესი (89. ლუის გუტიერესი), რონალდ რივერო, აბდონ რეიესი, ფლორესი, გარსია, ვაკა (82. ტორიკო), ხაიმე რობლესი, ხოაკინ ბოტერო, მარტინსი (64. პაბლო ესკობარი).

**პერუ:** ბუტრონი, პრადო, სამბრანო, ვილჩესი, ხუან ვარგასი, რაინერ ტორესი, დე ლა ასა, მარინო, ჩავესი (46. გისასოლა), ფანო (85. რენგიფო), ალვა (62. ვილმერ აგირე).

**გოლები:** 1:0 ხოაკინ ბოტერო (4), 2:0 ხოაკინ ბოტერო (16), 3:0 რონალდ გარსია (81).

**მაყურებელი:** 33 000

გასულ უქმეებზე სამხრეთ ამერიკის ზონაში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი განახლდა. წინასამატჩო მიმოხილვაში მოგახსენებდით, რომ ყველაზე დიდ ინტერესს არგენტინისა და ურუგვაის ეროვნული გუნდების დაპირისპირება იწვევდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გულშემატკივრების მოლოდინი გამართლდა. ბაირესელმა ქომაგებმა არაჩვეულებრივი შეხვედრა იხილეს. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ არგენტინის ნაკრებმა ზედიზედ ექვსი ფრეს შემდეგ ნანატრი გამარჯვება მოიპოვა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი **ლეო მესისა** და **სერხიო აგუეროს** გოლებმა ითამაშა.

წინა დღეებში არგენტინულ პრესაში დიდი დებატები იმართებოდა. საზოგადოებას აინტერესებდა, **ხუან რომან რიკელმესთან** დაკავშირებით როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა **ალფიო ბასილე**. გენიალურ არგენტინელ ნახევარმცველს მიკროტრავმა აწუხებდა. გარდა ამისა, მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ რომანი შორს არის საუკეთესო ფორმისგან. როგორც ჩანს, ამას თავად ბასილეც აღიარებდა და წინასამატჩო პრესკონფერენციებზე აცხადებდა, რომ რიკელმეს თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ბევრი ყოყმანისა და არაერთი ტაქტიკური მონახაზის გამოცდის შემდეგ ალფიო ბასილემ რიკელმე მაინც ძირითად შემადგენლობაში დააყენა. რომანმა მთავარ მწვრთნელს იმედები გაუმართლა. ვერ ვიტყვით, რომ მან კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, თუმცა, გამოცდილ არგენტინელს თავი არ შეურცხვენია. ის აქტიურად უტევდა და სტუმართა დაცვას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

რიკელმეს ძლევამოსილება ურუგვაელებმა პირველი წუთებიდანვე გამოცადეს საკუთარ თავზე. თავად განსაჯეთ, ანგარიში ლეო მესიმ მე-6 წუთზე გახსნა. „ბარსელონის" ფორვადს საგოლე პასი სწორედ რომანმა მიაწოდა. ბუნებრივია, "სელესტე" ასეთ დასაწყისს არ ელოდა. ხუმრობა ხომ არ არის, როცა ბუენოს აირესში არგენტინას ეთამაშები და შეხვედრის დასაწყისში გოლს უშვებ. ბუნებრივია, **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** შეგირდებს ნერვიულობა და დაბნეულობა დაეტყოთ. მომდევნო ეპიზოდებში მათ რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვეს და ფატალური შედეგიც მიიღეს. მე-13 წუთზე **კარლოს ტევესმა** მწვავე იერიში წამოიწყო. მან **ესტებან კამბიასოს** კარგი პასი მიაწოდა. კამბიასომ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ძელს მოარტყა. დამატებაზე კი სერხიო აგუერომ ყველას დაასწრო და ანგარიში ორამდე გაზარდა. ამით ურუგვაის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, თუმცა სტუმრები დანებებას არ აპირებდნენ. ერთი ბურთის გაქვითვა მათ 25-ე წუთზე შეეძლოთ, მაგრამ **ხორხე ფუსილესა** და **ედისონ კავანის** შეტევა უშედეგოდ დასრულდა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე არგენტინა გოლს ველარ გადაურჩა. **ლუგანომ ლუის სუარესის** პასით და არგენტინელი მცველების დაბნეულობით ისარგებლა. ურუგვაელის დარტყმულს მასპინძელთა მეკარე ვერ გადაელობა. ტაიმის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე გაქვითული ბურთი „სელესტეს" თამაშის გადარჩენის შანსს აძლევდა...

მაგრამ მეორე ტაიმში ტაბარესის ბიჭებმა რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს. მთლიანობაში უპირატესობას არგენტინა ფლობდა. მასპინძლებს უპირატესობის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ისინიც შეცდომებს უშვებდნენ. შეხვედრის შეფასებისას აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ურუგვაი მეტისმეტად ხშირად უხეშობდა. პარაგვაელი არბიტრი **კარლოს ტორესი** კი ღია ძალადობის აღსაკვეთად ბევრს არაფერს აკეთებდა. ამის გამო მას ალფიო ბასილეს კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდა თავს. არგენტინელთა თავკაცი მსაჯის მუშაობით იმდენად უკმაყოფილო დარჩა, რომ პრესკონფერენციის დიდი ნაწილი სწორედ მის ლანძღვას დაუთმო:

*„პირდაპირ ვიტყვი, რომ მსაჯმა საზიზღრად იმუშავა. ამას მსაჯობის გარდა ყველაფერი ერქვა. ტორესმა არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ურუგვაელთა გამოხდომებისთვის წერტილი დაესვა. ისინი ჩემს ბიჭებს დაუნდობლად ურტყამდნენ ფეხში. ჩვენ კი ვაპროტესტებით, მაგრამ თუ მსაჯი სასტვენს დაივიწყებს, რა უნდა გააკეთო?! ჩემი აზრით, მას მინიმუმ 2 ფეხბურთელი უნდა გაეგდო, მაგრამ პარაგვაელმა არბიტრმა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ მოიქცა ასე. არ მინდა ვიფიქრო, რომ ტორესი მიზანმიმართულად გვებრძოდა. უშუალოდ ჩემი ბიჭების თამაშს რაც შეეხება, უნდა ვაღიარო, რომ მოსალოდნელზე მეტი შეცდომა დავუშვით. თუმცა, მთლიანობაში, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, გავიმარჯვეთ. ცხადია, ეს კარგის ნიშანია. ყველაფერს ვავაკეთებთ იმისთვის, რომ სატურნირო მდგომარეობა გავაუმჯობესოთ და გულშემატკივრები გავახაროთ."*

ურუგვაელთა უხეშობით მესი კიდევ უფრო შეწუხებული იყო. ეს არც არის გასაკვირი. ლეოს მტკივნეულად არაერთხელ ჩაარტყეს. „ბარსას" ვარსკვლავმა ჟურნალისტებთან ძალიან მკაცრი განცხადება გააკეთა: *„ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სისხლისმღვრელ ომში ვიყავი. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი გახლდათ ურუგვაის ასეთი თამაში. ჩვენი სტუმრები ფაქტობრივად, ჩვენს დასამტვრევად ჩამოვიდნენ. გულშემატკივრები გამარჯვებით კმაყოფილი არიან, ჩვენც გვიხარია, მაგრამ ახლა ძვლები ისე მტკივა, ფეხზე ძლივს ვდგავარ. სამწუხაროდ, მსაჯმა მოვალეობა პირნათლად ვერ შეასრულა. ამის მიზეზი ჩემთვის უცნობია. ფაქტი კი ის არის, რომ ფეხის მოტეხას შემთხვევით გადავურჩი."*

ბასილესა და მესის რადიკალური განცხადებების მიუხედავად, ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა მისი ფეხბურთელების მხრიდან გამოჩენილი ზედმეტი უხეშობის ფაქტი არ აღიარა. ურუგვაელთა დამრიგებელმა განაცხადა: განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ასეთი ორთაბრძოლები ნებისმიერ შეხვედრაში შეგიძლიათ იხილოთო. ბოლოს კი ისიც დასძინა, თუ ვინმეს შეტაკებები არ მოსწონს და ფეხის ტკივილის გამო წუწუნებს, შეუძლია პროფესია შეიცვალოს და ტანგოს სკოლაში ჩაეწეროსო.

პერმანენტული წარუმატებლობებით დაღლილმა კოლუმბიის საფეხბურთო ფედერაციის მესვეურებმა რამდენიმე ხნის წინ ნაკრებს მთავარი მწვრთნელი შეუცვალეს და ამ პოსტზე **ედუარდო ლარა** დანიშნეს. მათ, რა თქმა უნდა, იმედი ჰქონდათ, რომ ახალი სპეციალისტი სიტუაციას გააუმჯობესებდა და პროგრესი პირველსავე შეხვედრაში გახდებოდა თვალხილული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინი ჯერჯერობით არ მართლდება. სენიორ ედუარდო ლარამ სადებიუტო ორთაბრძოლა წააგო. მასპინძელთა მარცხში ლომის წილი **აგუსტინ ხულიოს** მიუძღვის. მეკარე ვალდებული იყო, **სალვადორ კაბანიასის** მიერ დარტყმული ბურთი მოეგერიებინა. თავად განსაჯეთ, პარაგვაელმა ფორვარდმა 35 მეტრიდან გაიტანა. მართალია, მან უზადოდ დაუმიზნა, მაგრამ მანძილი იმდენად დიდი იყო, რომ მაღალი კლასის მეკარეს ბურთის დამორჩილება არ უნდა გასჭირვებოდა. მხოლოდ მეკარეზე რომ არ ვილაპარაკოთ, ისიც უნდა ითქვას, რომ ნახევარმცველები და ფორვარდები სერიოზულად მოიკოჭლებდნენ. მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპზე კოლუმბიას მხოლოდ 4 გოლი აქვს გატანილი. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ნაკრებში არსებულ უმწვავეს პრობლემებზე მეტყველებს. პარაგვაიმ ამ გამარჯვებით ერთპიროვნული ლიდერობა განიმტკიცა. კონკურენტებს მასთან მისაახლოებლად გვარიანი შრომა და ოფლის ღვრა მოუწევთ.

დასასრულ, მოკლედ ბოლივიისა და პერუს ეროვნული გუნდების დაპირისპირებაზეც მოგახსენებთ. მასპინძლები უდიდესი უპირატესობით სარგებლობდნენ, თანაც პირველსავე წუთიდან. სტუმრებს ერთი ქულის მოპოვების თეორიული შანსიც არ ჰქონდათ. შესაძლოა, ეს ნათქვამი გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. პერუს აბსოლუტურად არაფერი გამოსდიოდა. სამაგიეროდ, ბოლივია ბრწყინავდა. ყველაზე გამორჩეული ფიგურა **ხოაკინ ბოტერო** გახლდათ. სადებიუტო 16 წუთში მან დუბლი შეასრულა და გუნდის გამარჯვებაში უდიდესი როლი ითამაშა. ბოტერომ ბოლივიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო რეკორდიც გააუმჯობესა. მას 17 ბურთი დაუგროვდა და 1960 წელს **ვიქტორ უგარტეს** მიერ დამყარებული რეკორდი 1 გოლით გააუმჯობესა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 9 | 6 | 2 | 1 | 17-6 | 20 |
| არგენტინა | 9 | 4 | 4 | 1 | 13-6 | 16 |
| ბრაზილია | 8 | 3 | 4 | 1 | 11-4 | 13 |
| ჩილე | 8 | 4 | 1 | 3 | 13-12 | 13 |
| ურუგვაი | 9 | 3 | 3 | 3 | 17-8 | 12 |
| კოლუმბია | 9 | 2 | 4 | 3 | 4-8 | 10 |
| ეკვადორი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| ბოლივია | 9 | 2 | 2 | 5 | 11-20 | 8 |
| ვენესუელა | 8 | 2 | 1 | 5 | 9-13 | 7 |
| პერუ | 9 | 1 | 4 | 4 | 5-19 | 7 |



არგენტინას აგუეროს გოლმა მოაგებინა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო მესი

არგენტინა

## მესის პრივილეგია

### ბარსელონელი ვარსკვლავი ამხანაგურ მატჩებში აღარ ითამაშებს

გუშინ არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის მესვეურებმა და „ბარსელონის" ემისრებმა მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს - შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, კატალონიური გრანდის სუპერვარსკვლავი **ლეო მესი** არგენტინის ეროვნული გუნდის ამხანაგური შეხვედრებიდან გათავისუფლებული იქნება. არგენტინელთა მხრიდან ამ შეხვედრას საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი, **ხულიო გრონდონა** ესწრებოდა. არგენტინული ფეხბურთის უმაღლესმა ხელისუფალმა კატალონიელ სტუმრებს პირობა მისცა, რომ შეთანხმებას არ დაარღვევენ და ლეოს მხოლოდ ოფიციალურ შეხვედრებში გამოიძახებენ. ოფიციალურ მატჩებში მუნდიალის საკვალიფიკაციო დაპირისპირებები და კოპა ამერიკა იგულისხმება.

გუშინვე გაირკვა, რომ ამერიკის საფეხბურთო ასოციაცია ასეთ დათმობაზე მხოლოდ „ბარსელონასთან" წავიდა. გრონდონამ უფლება შეინარჩუნა, მესის გარდა უკლებლივ ყველა ვარსკვლავი გამოიძახონ ხოლმე, - რა თქმა უნდა, ფიფას მიერ შედგენილი კვოტის თანახმად. ამ უჩვეულო გადაწყვეტილების მიზეზი, ალბათ, არგენტინელების კეთილი ნება გახდა. მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს მესის ოლიმპიურ თამაშებზე წასვლა უდიდესი სკანდალის წინა პირობა გახდა. მხარეებმა დიდხანს იკამათეს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ და საქმეში ფიფა ჩაერია. **ზეპ ბლატერის** უწყებამ სამხრეთამერიკელებს დაუჭირა მხარი. შემდეგ კატალონიელებმა სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალში იჩივლეს და საქმე მოიგეს. მიუხედავად ამისა, არგენტინელებმა მესი ჩინეთში მაინც წაიყვანეს. როგორც ჩანს, მათ "ბარსელონასთან" ურთიერთობის აღდგენა გადაწყვიტეს და კეთილი ნება გამოხატეს. **ჟოან ლაპორტა** ოკეანისგაღმელი კოლეგების გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილია. ხულიო გრონდონას მადლობა მან პირადად გადაუხადა.

ესპანელ ჟურნალისტებს ძალიან უნდოდათ, ამ საკითხთან დაკავშირებით მესის მოსაზრება მოესმინათ. "დიარიო ასის" კორესპონდენტმა მას ბუენოს აირესში დაურეკა და ფეხბურთელისგან საკმაოდ საინტერესო პასუხი მიიღო. ლეოს თქმით, მას "ალბისელესტეში" თამაში არასოდეს დაეზარება, მაგრამ მხარეების შეთანხმებას პატივს სცემს და გადაწყვეტილებას არ გააპროტესტებს.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი გერმანიის ნაკრებში

# კურანი: სულ კარგად ბრძანდებოდეთ!

## შალკეს თავდამსხმელმა ბუნდესგუნდი დატოვა

„შალკეს" თავდამსხმელი **კევინ კურანი** გერმანიის ნაკრებში რუსეთთან მატჩისთვის გამოძახებული კი გახლდათ, მაგრამ მატჩის წინ ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** 26 წლის ფორვარდი 18-კაციან განაცხადში არ შეიყვანა. სწორედ ეს ფაქტი აღმოჩნდა უკანასკნელი წვეთი ფეხბურთელის მოთმინების ფიალაში - კურანიმ დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონი", სადაც გერმანია რუსეთს ეთამაშებოდა, უშუალოდ მატჩის დროს დატოვა. და რაც მთავარია, იმ სასტუმროსკენ კი არ აიღო გეზი, სადაც ბუნდესნაკრები ცხოვრობდა, პირდაპირ შინისკენ გასწია!

მოგვიანებით, „ბილდმა" გაავრცელა ინფორმაცია, კურანიმ გერმანიის ეროვნული გუნდი სამუდამოდ დატოვაო. კევინმა ნაკრების ფეხბურთელთა საბჭოს ეს ინფორმაცია მოგვიანებით შეატყობინა.

მაინც რატომ გადადგა კურანიმ ეს ნაბიჯი? მისი არგუმენტები ასე ჟღერს: *„მწვრთნელი არ მენდობა, რაც ჩემთვის შეურაცხმყოფელია. რუსეთთან განაცხადში რომ ვერ მოვხვდი, ეს ბოლო წვეთი იყო. ფაქტია, ლიოვს არ ვჭირდები. მეტის მოთმენა შეუძლებელია".*

ფეხბურთელის ამგვარმა საქციელმა გერმანიის ნაკრებში დიდი დისკუსიები გამოიწვია. კურანის თანაგუნდელები გაკვირვებულები არიან და მიიჩნევენ, რომ ის არასწორად მოიქცა. ყველა დარწმუნებულია, რომ კევინი ნაკრებს სჭირდება. კვირას, დილით კურანის საქციელს თავად ლიოვიც გამოეხმაურა. აი, რა თქვა ბუნდესმწვრთნელმა:

*„დიახ, ის განაწყენდა იმის გამო, რომ განაცხადში ვერ მოხვდა, რაც სავსებით ნორმალური და ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. მესმის, რომ ეს არც ერთ ფეხბურთელს არ სიამოვნებს. მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება, რომ ასე მოქცეულიყო. ასეთი რეაქცია ყოვლად დაუშვებელი და პირადად ჩემთვის ნამდვილად მიუღებელია! სამწვრთნელო შტაბი შეეცადა, სიტუაცია განემუხტა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ერთი რამ უკვე ცხადია - სანამ გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ვარ, კევინ კურანი ამ გუნდში არ ითამაშებს"!*

ფეხბურთელის მრჩეველი **როჯერ ვიტმანი** კევინის დაცვასა და მისი საქციელის გამართლებას ცდილობს: *„კი, მან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და სახლში წავიდა. შეიძლებოდა, უკეთესადაც მოქცეულიყო, მაგრამ ამაზე უარესი რეაქციაც არ იყო გამოსარიცხი. მეც ვფიქრობ, რომ სწორად მოიქცა და მის გადაწყვეტილებას ყველამ პატივი უნდა სცეს, მათ შორის, ლიოვმაც. დაუშვებელია, რომ ფეხბურთელს მხოლოდ ისე ვუყუროთ, როგორც ფეხბურთელს. კევინ კურანი პირველ რიგში ადამიანია და მხოლოდ ამის შემდეგ არის ფეხბურთელი"*, - აცხადებს ვიტმანი.

*„გაოგნებული ვარ. ყველას გაგვიკვირდა, როცა ავტობუსში კევინი ვერ ვნახეთ და გავიგეთ, რომ სახლში წავიდა. კიდევ უფრო გავოგნდით, როცა შევიტყვეთ, რომ მან ნაკრებიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ამ თემაზე ახლა მეტს ვერაფერს ვიტყვი"*, - ეს კი ბუნდესგუნდის კაპიტან **მიხაელ ბალაკის** სიტყვებია.

რა სჭირს კევინ კურანის? ფაქტი ის გახლავთ, რომ „შალკეს" ფორვარდს ამ სეზონში საქმეები ძალიან ცუდად წაუვიდა. ბუნდესლიგის პირველ ტურებში მას გოლები ვერ გაჰქონდა და საუკეთესო მომენტებს ანიავებდა, რის გამოც, ფაქტობრივად, დეპრესია დაეწყო. თან ამას ისიც დაემატა, რომ „შალკეს" გულშემატკივრები მას რეგულარულად უსტვენდნენ. ეს კი, მოგეხსენებათ, ფეხბურთელისთვის ძალიან მძიმე ასატანია. წარუმატებელი მატჩების შემდეგ ის ყოველთვის ამბობდა, სტვენას უკვე მივეჩვიეო და აშკარად ეტყობოდა, რომ მეტისმეტად ბრაზობდა. თუმცა გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მან ნავსი გატეხა და „ვოლფსბურგთან" დუბლი შეასრულა. როგორც ჩანს, ამის შემდეგ დარწმუნებული იყო, რომ „იოგი" მას მინიმუმ განაცხადში მაინც შეიყვანდა. ყოველ შემთხვევაში, ის გამოძახებული გახლდათ, მაგრამ მისთვის ადგილი მხოლოდ ტრიბუნაზე მოიძებნა.

ამ თემაზე მომდევნო დღეებში კიდევ ბევრი რამ დაიწერება და ეგებ გაირკვეს კიდეც. ჯერჯერობით კი ნათელი მხოლოდ ეს არის: კურანი გერმანიის ნაკრებში აღარ ითამაშებს, ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე ბუნდესმწვრთნელი ლიოვი იქნება. ლიოვს კი პოსტის დატოვების საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ კურანის სანაკრებო მონაგარი 52 მატჩი და 19 გოლია. სხვათა შორის, ბუნდესგუნდიდან მისი წასვლის საკითხი დღის წესრიგში 2006 წელსაც დადგა, როცა იმჟამინდელმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა** კევინი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ათამაშა. თუმცა მუნდიალის შემდეგ ლიოვმა კურანი ნაკრებში დააბრუნა. კევინს გერმანიის ნაკრებში დებიუტი 2003 წლის 29 მარტს, ლიტვასთან ჰქონდა. ზოგადად, ის ძალიან ამაყია. სწორედ ამიტომ, მისგან ასეთი საქციელი, წესით, არავის უნდა გაუკვირდეს.

**გოტფრიდ ლენცი**




### კურანის გაქცევა

კევინთან ერთად, ლიოვმა 18-კაციან განაცხადში არც მისი თანაკლუბელი **ჯერმეინ ჯოუნსი** შეიყვანა. კურანიმ და ჯოუნსმა გერმანია-რუსეთის პირველ ტაიმს ერთად უყურეს და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, **ლუკას პოდოლსკისა** და **მიხაელ ბალაკის** გოლებიც იზეიმეს. შესვენებისას კევინმა სხვა ტრიბუნაზე გადასვლა ითხოვა, - მეგობარს უნდა შევხვდეო. იმ მომენტში არავის ეგონა, რომ საღამოს კევინს საერთოდ ველარ ნახავდნენ. საფინალო სასტვენიდან ერთი საათის შემდეგ გერმანიის ნაკრების ავტობუსი კურანის გამოჩენას ამაოდ ელოდა. ბოლოს ლიოვსაც აევსო მოთმინების ფიალა და წასვლის ბრძანება გასცა.

ვიდრე ავტობუსი სასტუმროსთან მივიდოდა, გერმანიის ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** ამაოდ ცდილობდა კევინთან დაკავშირებას - მას მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. სასტუმროსთან ბუნდესგუნდის ავტობუსს კევინის ორი მეგობარი დახვდა. მათ ბირჰოფს სთხოვეს, კურანის პირადი ნივთების გამოტანის უფლება მოგვეციო. ოლივერმა მათ ამის ნება დართო. თავად ფეხბურთელთან დაკავშირება ვერავინ მოახერხა. მეგობრებმა თქვეს, რომ ის სახლში წავიდა და ნაკრებში თამაში აღარ უნდა. გუშინ შუადღისას გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ოფიციალურად განაცხადა, რომ კევინ კურანი ბუნდესგუნდში აღარ ითამაშებს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### I ლიგა

X ტური

| | |
|---|---|
| ნორთჰემპტონი-ჰარტლპული | 1:0 |
| მილტონი-კარლაილი | 3:1 |
| როვერსი-ლეიტონი | 2:1 |
| ჩელტენჰემი-კოლჩესტერი | 4:3 |
| ლიდსი-ბრაიტონი | 3:1 |
| სქანთორპი-კრიუ | 3:0 |
| საუთენდი-სტოკპორტი | 1:1 |
| სუინდონი-ჰადერსფილდი | 1:3 |
| ტრანმერი-მილუოლი | 1:2 |
| ოლდჰემი-ჰერეფორდი | 4:0 |

### II ლიგა

X ტური

| | |
|---|---|
| დაგენჰემი-ბარნეტი | 2:0 |
| ლინკოლნი-როჩდეილი | 1:1 |
| აკრინგტონი-ბრედფორდი | 2:3 |
| ბორნმუთი-როტერჰემი | 0:0 |
| ბერი-ექსეტერი | 0:1 |
| ჩესტერფილდი-ჩესტერი | 1:1 |
| ჯილინგემი-მორკამბი | 5:0 |
| გრიმსბი-უიკომბი | 1:1 |
| ლუტონი-დარლინგტონი | 1:2 |
| მაკლსფილდი-ალდერშოტი | 4:2 |
| შრიუსბერი-პორტ ვეილი | 1:2 |
| ნოტსი-ბრენტფორდი | დღეს |

### კონფერენსი

XV ტური

| | |
|---|---|
| კემბრიჯი-უეიმაუთი | 1:0 |
| ქროული-ბაროუ | 4:0 |
| კიდერმინსტერი-ებსფლიტი | 3:1 |
| ლიუისი-ფორესტ გრინი | 3:2 |
| ნორთვიჩი-გრეისი | 2:0 |
| სალისბერი-კეტერინგი | 1:2 |
| უოკინგი-იორკი | 0:2 |
| ისტბურნი-სტივენიჯი | 2:1 |
| ალტრინჩემი-ოქსფორდი | 1:0 |
| რაშდენი-ტორკი | 1:3 |

## იტალია

### სერია B

VIII ტური

| | |
|---|---|
| ასკოლი-გროსეტო | 0:2 |
| ლივორნო-ფროზინონე | 5:2 |
| მანტოვა-აველინო | 1:1 |
| მოდენა-პიაჩენცა | 1:0 |
| ტრევიზო-პარმა | 2:2 |
| ტრიესტინა-ჩიტადელა | 2:1 |
| ვიჩენცა-ანკონა | 0:0 |
| სალერნიტანა-ემპოლი | 0:1 |
| ალბინოლეფე-პიზა | დღეს |

### სერია C1/A

VII ტური

| | |
|---|---|
| ჩეზენა-პერგოკრემა | 1:0 |
| კრემონეზე-პროპატრია | 3:1 |
| ლუმეცანე-სპალ | 2:2 |
| მონცა-ლეკო | 2:2 |
| ნოვარა-რეჯინა | 2:1 |
| პორტოგრუარო-სამბენედეტეზე | 1:4 |
| პრო სესტო-ლენიანო | 1:0 |
| ვერონა-რავენა | 1:2 |
| პადოვა-ვენეცია | დღეს |

### სერია C1/B

VII ტური

| | |
|---|---|
| არეცო-პისტოიეზე | 3:0 |
| კროტონე-პოტენცა | 1:0 |
| ფოჯა-გალიპოლი | 1:0 |
| პაგანეზე-კავეზე | 0:1 |
| პერუჯა-იუვე სტაბია | 0:0 |
| პესკარა-ლანჩანო | 0:0 |
| რეალ მარჩიანეზე-ფოლინო | 0:0 |
| სორენტო-ბენევენტო | 1:1 |
| ტერნანა-ტარანტო | 0:1 |

## ესპანეთი

### II დივიზიონი

VII ტური

| | |
|---|---|
| ალიკანტე-უესკა | 1:3 |
| ლას პალმასი-სევილია II | 2:0 |
| მურსია-ერკულესი | 0:0 |
| სოსიედადი-ხერესი | 0:0 |
| სარაგოსა-ალავესი | 4:2 |
| ალბასეტე-ტენერიფე | 0:1 |
| ელჩე-სელტა | 1:1 |
| ვალეკანო-კასტელონი | 4:2 |
| კორდობა-ხიმნასტიკი | 0:0 |
| ლევანტე-ხირონა | 1:1 |
| სალამანკა-ეიბარი | 2:0 |

## ბელგია

### II დივიზიონი

IX ტური

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-ოლ. შარლერუა | 1:0 |
| დაინძე-რონსე | 0:0 |
| ლიერი-ჰევერლე | 1:1 |
| ნამური-ბრიუსელი | 0:5 |
| ოსტენდე-ვირტონი | 7:2 |
| ტურნე-ბევერენი | 1:2 |
| ვაასლანდი-ლომელი | 1:1 |
| ტიენენი-სტ. ტრუიდენი | 0:2 |

## ფინეთი

### II დივიზიონი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ჰამეენლინა-პკ35 | 2:0 |
| ატლანტისი-იუვიასკიულა | 1:0 |
| გრანკულა-იიპო | 3:1 |
| ვიიკინგიტი-ტპვ | 0:2 |
| კპვ-ტპ47 | 1:1 |
| ვიფკ-კაპა | 5:1 |

## საბერძნეთი

### II დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-კალითეა | 1:0 |
| აგროტიკოსი-დიაგორასი | 0:0 |
| ეთნიკოსი (პ)-ეთნიკოსი (ა) | 1:0 |
| იონიკოსი-ილისიაკოსი | 1:0 |
| კარდიცასი-იანინა | 1:3 |
| კავალა-კალამატა | 3:0 |
| კერკირა-ოლიმპიაკოსი (ვ) | 2:3 |
| ვერია-კალამარია | 2:2 |
| კასტორია-პიერიკოსი | დღეს |

## ირლანდია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| შემროკი-უნივერსიტი | 1:1 |
| სტ. პატსი-კობ რამბლერსი | 0:3 |
| დროგედა-ბოჰემიანსი | 1:2 |
| კორკი-ფინ ჰარპსი | 1:1 |
| ბრეი-დერი | 2:1 |
| სლიგო-გალვეი | 1:1 |

## ნორვეგია

### II დივიზიონი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| სოგნდალი-ნიბერგსუნდი | 3:1 |
| ბრინი-ჰაუგესუნდი | 2:2 |
| კონგსვინგერი-ლოვ ჰამი | 1:0 |
| მოსი-სტარტი | 4:0 |
| სანდნესი-სანდეფიორდი | 0:0 |
| ნოტოდენი-სპარტა | 0:5 |
| ოდ გრენლანდი-ჰიოდი | 4:0 |

## შვედეთი

### II დივიზიონი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ასირისკა-ფალკენბერგი | 1:1 |
| ბრომაპოიკარნა-იორგრიტე | 1:0 |
| ენჩოპინგი-ატვიდაბერგი | 1:2 |
| ქვიდინგი-დეგერფორსი | 2:1 |
| ჰაკენი-მიალბიუ | დღეს |
| ვასბი-ბუნკეფლო | დღეს |
| სირიუსი-იონჩოპინგი | დღეს |
| ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | დღეს |

## დანია

### II დივიზიონი

IX ტური

| | |
|---|---|
| ჰვიდოვრე-ტისტედი | 0:0 |
| როსკილდე-ვერფიოლგე | 1:2 |
| ალიანსენი-კიოლდინგი | 0:1 |
| ფრედერისია-ვიბორგი | 1:2 |
| კიოგე-სკივე | 1:4 |
| ნიკიობინგი-კიოლდინგი | 0:1 |

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| სერვეტი-ლოზანა | 1:1 |

## თურქეთი

### II დივიზიონი

VII ტური

| | |
|---|---|
| ბბ გაზიანთეფი-გიუნგორენი | 3:0 |
| საქარია-ქარსიაქა | 3:1 |
| ალთაი-ბოლუში | 1:1 |
| სამსუნი-ორდუ | 1:0 |
| ადანა-გირესუნი | 2:1 |
| დიარბაქირი-მალათია | 1:0 |
| ერჩიესი-ქართალი | 1:1 |
| ქარაბუქი-რიზე | 1:1 |
| ქასიმფაშა-მანისა | დღეს |

## უელსი

VIII ტური

| | |
|---|---|
| კარმართენი-ქერსოუსი | 1:1 |
| ჰევერფორდვესტი-ტნს | 2:2 |
| პორტმედოგი-ნიუი | 2:3 |
| რილი-კონასი | 2:0 |
| ებერისვითი-ეირბასი | 1:0 |
| ბანგორი-პორტ ტელბოტი | 4:2 |
| ლანელი-პრესტატინი | 6:1 |
| ნითი-უელშპული | 3:2 |
| ქერნარფონი-ნიუთაუნი | გადაიდო |

## ჩეხეთი

### II დივიზიონი

XI ტური

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ოპავა | 2:0 |
| მოსტი-უსტი | 0:1 |
| სოკოლოვი-სლოვაცკო | 3:0 |
| სპარტა II-ფულნეკი | 3:2 |
| ტრშინეცი-დუკლა | 0:1 |
| ოლომოუცი-იილავა | 0:0 |
| ჩასლავი-პრადეცი | 3:2 |
| ბოჰემიანსი-კარვინა | 2:0 |

## ბრაზილია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ფლამენგო-ატ. მინეირო | 0:3 |
| გოიაში-ინტერნასიონალი | 1:1 |
| პორტუგეზა-კორიტიბა | 0:0 |
| ატ. პარანაენსე-ფლუმინენსე | 1:3 |

## სლოვენია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| პრიმორიე-დრავა | 0:0 |

## სამხრეთ აფრიკა 2010

### კონკაკაფი

#### III რაუნდი

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| აშშ-კუბა | 6:1 |
| გვატემალა-ტრინიდადი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 4 | 4 | 0 | 0 | 11-1 | 12 |
| 2. გვატემალა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-3 | 5 |
| 3. ტრინიდადი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 4. კუბა | 4 | 0 | 0 | 4 | 3-14 | 0 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| იამაიკა-მექსიკა | 1:0 |
| ჰონდურასი-კანადა | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰონდურასი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 2. მექსიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 3. იამაიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 4. კანადა | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| სურინამი-კოსტა რიკა | 1:4 |
| ჰაიტი-სალვადორი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოსტა რიკა | 4 | 4 | 0 | 0 | 15-2 | 12 |
| 2. სალვადორი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-1 | 7 |
| 3. ჰაიტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-10 | 2 |
| 4. სურინამი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-15 | 1 |

### აფრიკა

#### II რაუნდი

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| ტანზანია-კაბო ვერდე | 3:1 |
| კამერუნი-მავრიკიუსი | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კამერუნი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-2 | 16 |
| 2. კაბო ვერდე | 6 | 3 | 0 | 3 | 7-8 | 9 |
| 3. ტანზანია | 6 | 2 | 2 | 2 | 9-6 | 8 |
| 4. მავრიტიუსი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-17 | 1 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| ნამიბია-ზიმბაბვე | 4:2 |
| გვინეა-კენია | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გვინეა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 2. კენია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 3. ზიმბაბვე | 6 | 1 | 3 | 2 | 4-6 | 6 |
| 4. ნამიბია | 6 | 2 | 0 | 4 | 7-12 | 6 |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| უგანდა-ბენინი | 2:1 |
| ანგოლა-ნიგერი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენინი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-8 | 12 |
| 2. ანგოლა | 6 | 3 | 1 | 2 | 11-8 | 10 |
| 3. უგანდა | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 4. ნიგერი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-11 | 3 |

IV ჯგუფი

| | |
|---|---|
| ეკ. გვინეა-ს. აფრიკა | 0:1 |
| ნიგერია-სიერა ლეონე | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიგერია | 6 | 6 | 0 | 0 | 11-1 | 18 |
| 2. სიერა ლეონე | 6 | 2 | 1 | 3 | 4-8 | 7 |
| 3. ს. აფრიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-5 | 7 |
| 4. ეკ. გვინეა | 6 | 1 | 0 | 5 | 4-10 | 3 |

V ჯგუფი

| | |
|---|---|
| გაბონი-ლიბია | 1:0 |
| განა-ლესოტო | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 6 | 4 | 0 | 2 | 11-5 | 12 |
| 2. გაბონი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-3 | 12 |
| 3. ლიბია | 6 | 4 | 0 | 2 | 7-4 | 12 |
| 4. ლესოტო | 6 | 0 | 0 | 6 | 2-16 | 0 |

VI ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლიბერია-ალჟირი | 0:0 |
| სენეგალი-გამბია | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალჟირი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |
| 2. გამბია | 6 | 2 | 3 | 1 | 6-3 | 9 |
| 3. სენეგალი | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 9 |
| 4. ლიბერია | 6 | 0 | 3 | 3 | 4-12 | 3 |

VII ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბოტსვანა-მოზამბიკი | 0:1 |
| კოტ დ'ივუარი-მადაგასკარი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-2 | 12 |
| 2. მოზამბიკი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-5 | 8 |
| 3. მადაგასკარი | 6 | 1 | 3 | 2 | 2-7 | 6 |
| 4. ბოტსვანა | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |

VIII ჯგუფი

| | |
|---|---|
| რუანდა-ეთიოპია | გადაიდო |
| მაროკო-მავრიტანია | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაროკო | 4 | 3 | 0 | 1 | 11-5 | 9 |
| 2. რუანდა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 3. ეთიოპია | 1 | 1 | 0 | 0 | 6-1 | 3 |
| 3. მავრიტანია | 4 | 0 | 0 | 4 | 2-12 | 0 |

IX ჯგუფი

| | |
|---|---|
| ტუნისი-სეიშელი | 5:0 |
| ბურუნდი-ბურკინა ფასო | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურკინა ფასო | 6 | 5 | 1 | 0 | 14-5 | 16 |
| 2. ტუნისი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-3 | 13 |
| 3. ბურუნდი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-9 | 4 |
| 4. სეიშელი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-16 | 1 |

X ჯგუფი

| | |
|---|---|
| მალი-ჩადი | 2:1 |
| სუდანი-კონგო | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალი | 6 | 4 | 0 | 2 | 13-8 | 12 |
| 2. სუდანი | 6 | 3 | 0 | 3 | 9-9 | 9 |
| 3. კონგო | 6 | 3 | 0 | 3 | 7-8 | 9 |
| 4. ჩადი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-11 | 6 |

XI ჯგუფი

| | |
|---|---|
| ტოგო-სვაზილენდი | 6:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზამბია | 4 | 2 | 1 | 1 | 2-1 | 7 |
| 2. ტოგო | 4 | 2 | 0 | 2 | 8-3 | 6 |
| 3. სვაზილენდი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-8 | 4 |

XII ჯგუფი

| | |
|---|---|
| მალავი-კდრ | 2:1 |
| ეგვიპტე-ჯიბუტი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგვიპტე | 6 | 5 | 0 | 1 | 13-2 | 15 |
| 2. მალავი | 6 | 4 | 0 | 2 | 14-5 | 12 |
| 3. კდრ | 6 | 3 | 0 | 3 | 14-6 | 9 |
| 4. ჯიბუტი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-30 | 0 |

*შენიშვნა: ჯგუფის 12 გამარჯვებული და 8 საუკეთესო მეორეადგილოსანი მესამე რაუნდში გავა. იქ 20 გუნდი 5 ქვეჯგუფში გადანაწილდება (თითოში 4-4 გუნდი) და ორ წრედ ითამაშებენ. ჯგუფების 5 გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა.*

### სამხ. ამერიკა

| | |
|---|---|
| ვენესუელა-ბრაზილია | 0:4 |
| ეკვადორი-ჩილე | გვ. დასრულდა |

## აშშ

| | |
|---|---|
| კანზასი-ნიუ ინგლენდი | 1:0 |
| დალასი-ტორონტო | 2:2 |
| სან ხოსე-ჩივასი | 0:1 |
| ჩიკაგო-კოლამბუსი | 2:2 |

## მექსიკა

XII ტური

| | |
|---|---|
| ტიგრესი-ტეკოსი | 1:0 |
| ატლანტე-ინდიოსი | 3:3 |
| ატლასი-მონტერეი | 0:0 |
| ხაგუარესი-ნეკაქსა | 4:0 |
| სან ლუისი-ჩივასი | 0:0 |
| მორელია-ტოლუკა | 3:2 |
| პუმასი-კრუს ასული | 0:2 |
| პაჩუკა-ს. ლაგუნა | გვ. დასრულდა |
| ამერიკა-პუებლა | გვ. დასრულდა |

## ჩრ. ირლანდია

IX ტური

| | |
|---|---|
| ლისბერნი-კოლრეინი | 1:2 |
| დუნგანონი-გლენავონი | 1:0 |
| გლენტორანი-ინსტიტუტი | 1:0 |
| კლიფტონვილი-ბანგორი | 3:2 |
| ბალიმენა-ლინფილდი | 2:0 |

## პოლონეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| პოლონია (ბ)-ოდრა | 0:0 |
| კრაკოვია-პიასტი | 1:1 |
| არკა-ბელხატოვი | 2:2 |
| შლიონსკი-ვისლა | 0:0 |
| გურნიკი-რუხი | 1:1 |

## ევრო 2009

### UNDER 21

პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ავსტრია-ფინეთი | 2:1 |
| თურქეთი-ბელარუსი | 1:0 |
| უელსი-ინგლისი | 2:3 |
| გერმანია-საფრანგეთი | 1:1 |
| იტალია-ისრაელი | 0:0 |
| დანია-სერბეთი | 0:1 |
| შვეიცარია-ესპანეთი | 2:1 |

*განმეორებითი მატჩები 14-15 ოქტომბერს გაიმართება.*

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ქსანტი-ვიარენი | 3:0 |
| მატერსბურგი-ვარტექსი | 2:0 |
| ლუცერნი-ლოკარნო | 1:0 |
| ბულგარ (U21)-საბერძნეთ (U21) | 2:1 |
| ს. აფრიკა-უზბეკეთი | 3:0 |

## რუმინეთი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| პოლიტეხნიკა-ფარული | 2:1 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ოლივარენსე-კოვილია | 1:2 |

## პორტუგალია

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ვიზელა-ფერეირა | 0:2 |

## მინი-ფეხბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| არგენტინა-პარაგვაი | 3:3 |
| ბრაზილია-ირანი | 1:0 |
| ესპანეთი-რუსეთი | 5:2 |
| იტალია-უკრაინა | 4:0 |
| ბრაზილია-იტალია | 3:0 |
| ესპანეთი-არგენტინა | 2:1 |
| ირანი-უკრაინა | 5:4 |
| რუსეთი-პარაგვაი | 5:4 |

რეალი

# შუსტერი: გამოიბერტყეთ ყურები!

## გერმანელი სპეციალისტი კანავაროს დაკარგვას ვერ შეეგუება

მომავალი წლის 30 ივნისს **ფაბიო კანავაროს** მადრიდის „რეალთან" გაფორმებული კონტრაქტის ვადა ეწურება. იტალიელი მცველი ითხოვს, რომ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ 1 იანვრამდე უპასუხოს, უგრძელებენ თუ არა მას ხელშეკრულებას. მადრიდული გრანდის მესვეურები ფაბიოს დამსახურებას, რა თქმა უნდა, ჯეროვნად აფასებენ, მაგრამ მათ აპენინელის ასაკი აფიქრებთ. მოგეხსენებათ, ფაბიო ახალგაზრდა ფეხბურთელი არ არის და წინ არცთუ დიდი დრო დარჩა. მაშინ, როცა **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** ყოყმანობენ, ბერნდ შუსტერი აქტიურ მოქმედებაზე გადასვლას ითხოვს. გერმანელი სპეციალისტის აზრით, კანავაროს უახლოეს დღეებში უნდა გაუგრძელონ კონქტრაქტი. თუ რატომ, ამას თავად შუსტერის განცხადების წაკითხვისას მიხვდებით: *„კანავარო ჩემთვის ფუნდამენტური ფიგურაა. სამწუხაროდ, მას კონტრაქტის ვადა ეწურება. ამიტომ, დირექტორატს ვთხოვ, იტალიელს ხელშეკრულება 1 წლით გაუხანგრძლივონ. ფაბიოს დაკარგვა არ მინდა. „რეალის" დაცვისთვის ის შეუდარებელი მოთამაშეა. როცა კანავარო ამა თუ იმ მიზეზის გამო არ თამაშობს, გუნდს ძალიან უჭირს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, აპენინელი ჰაერივით მჭირდება. მან მომავალ სეზონშიც „სანტიაგო ბერნაბეუზე" უნდა ითამაშოს."*

საგულისხმოა, რომ შუსტერმა კანავაროსთვის კონტრაქტის გახანგრძლივება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ითხოვა, მაგრამ ეს საკითხი რამდენიმე თვის შემდეგაც არ არის მოგვარებული. სხვათა შორის, მაშინ ჰერ ბერნდმა იწინასწარმეტყველა, ჩვენი ხელმძღვანელობის ამბავი რომ ვიცი, ამ საკითხის გადაჭრას დიდხანს მოანდომებენო. გერმანელი სპეციალისტი მიიჩნევდა და ახლაც მიიჩნევს, რომ კანავაროსთან მიმართებაში ბევრი ფიქრი არ არის საჭირო. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიატოვიჩი შუსტერის მორიგ თხოვნას, გნებავთ მოთხოვნას, ენთუზიაზმით არ შეხვდება. კანავარო ვეტერანია, „რეალს" კი გაისად იჯარის წესით გასხვისებული **გარაი** დაუბრუნდება. გენერალური დირექტორი დარწმუნებულია, რომ არგენტინელი მცველი კანავაროზე არანაკლებ კარგად ითამაშებს. ამიტომ იტალიელისთვის კონტრაქტის გაგრძელებას და ხელფასის გადახდას ის გაუმართლებლად მიიჩნევს.

თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ბერნდ შუსტერი კანავაროს ერთადერთი დამცველი არ არის. ამასწინათ, მასთან კონტრაქტის გახანგრძლივების თხოვნით მიატოვიჩსა და კალდერონს **კასილიასმა, სერხიო რამოსმა, პეპემ, რაულმა** და **სნეიდერმა** მიმართეს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ხელმძღვანელობა ამ ბიჭების თხოვნას უგულისყუროდ ვერ დატოვებს. თავად კანავარო ხმაურიან განცხადებებს არ აკეთებს და მხოლოდ იმას ამბობს, თუ დირექტორატს ენდომება, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაისადაც დიდი სიამოვნებით ვითამაშებო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სენიორ კალდერონს ასეთი ნება არ აღმოაჩნდება, ფაბიოს ამის შესახებ 1 იანვრამდე უნდა უთხრან, რადგან მან ზამთრის სატრანსფერო ბაზრის გახსნით ისარგებლოს და ახალი კლუბი მოძებნოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**




ბერნდ შუსტერი და ფაბიო კანავარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ყიზილაშვილის წმინდა მოგება
## რვა მედალი ბაქოს მსოფლიო თასიდან



გიორგი ყიზილაშვილი




ქართველმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს ბაქოს მსოფლიო თასზე, სადაც ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდი შესუსტებული შემადგენლობით წავიდა აზერბაიჯანის დედაქალაქში, მათ შორის ერთიც არ ყოფილა ტოკიოს ტრიუმფატორი. მსოფლიო თასს **გიორგი ყიზილაშვილი** (მძიმე) შესწვდა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **ბეთქილ შუკვანმა** (60 კგ) და **უჩა ხუციშვილმა** (66 კგ), ბრინჯაო წილად ხვდათ: **თენგიზ პაპოშვილს** (73 კგ), **ხვიჩა ხუციშვილს** (81 კგ), **გიორგი ლორიაშვილს** (100 კგ) და **ვახტანგ ზოიძეს** (მძიმე). მათ გარდა, ვერცხლის მედალი ხვდა **ირინე ლეონიძეს** (78+ კგ).

შაბათს სამ დაბალ წონაში (60, 66 და 73 კგ) გაიმართა ორთაბრძოლები, შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენებმა ორი ვერცხლი მოიპოვეს. 60 კგ-ში ორი ქართველი ჭიდაობდა, მათგან ბეთქილ შუკვანმა ფინალში გააღწია, ხოლო **ამირან პაპინაშვილი** მე-7 ადგილს დასჯერდა. საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მოგების შემდეგ, მისი ბაქოშიც იყოჩაღა. მან ჯერ აზერბაიჯანელი **რასიმ ასადულაევი** დაამარცხა, შემდეგ – რუსი **მურად აბდულაევი**. ორივე მეტოქე შუკვანმა სუფთაზე დააგდო. ფინალში შუკვანის მეტოქე მასპინძელი **სამირ დადაშზადე** იყო, 2005 წლის ევროპის ჩემპიონი კადეტთა შორის. შუკვანმა იპონით წააგო. ამისთვის სამირს წუთი და 50 წამი ეყო. პაპინაშვილმა თურქ **ისკანდერ ოსკანოღლუს** მოუგო, შემდეგ კი ის დადაშზადესთან დამარცხდა. მოკლედ, დადაშზადემ ორივე ძიუდოისტი იპონით დაგვიმარცხა.

66 კგ-შიც ორი ძიუდოისტი გვყავდა - უჩა ხუციშვილი და **ვანო დავითაშვილი**. ხუციშვილმა სუფთაზე აზერბაიჯანელი **ტარლან ქარიმოვი** დააგდო, შემდეგ კი მას თანამემამულე, **ემილ ჰასანოვი** მიაყოლა. დავითაშვილმა კი მასპინძელ **ოხრან დუნიამალიევთან** დათმო ორთაბრძოლა. შემდეგ ჩვენებური რეპეშაჟში გადაერთო, რომელიც წარმატებით დასძლია, მაგრამ მე-3 ადგილისთვის მატჩში **ემილ ჰასანოვთან** წააგო. უჩა ხუციშვილმა ფინალი, სამწუხაროდ, 21 წლის რუს **მიხაილ პულიაევთან** დათმო.

73 კგ-ში **დავით კუპრაშვილმა** საკვალიფიკაციო წრეში იჭიდავა, სადაც უკრაინელ **ვოლოდიმირ სოროკასთან** დამარცხდა. კუპრაშვილს რეპეშაჟში მიეცა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ იქაც დამარცხდა, ამჯერად – აზერბაიჯანელ **ამილ გასიმოვთან**. გაცილებით უკეთ გამოვიდა თენგიზ პაპოშვილი. ჩვენმა თანამემამულემ პირველ წრეში შვეიცარიელ **რაფაელ მოლინერს** აჯობა, შემდეგ კი მასპინძელ **სამირ ისმაილოვთან** დამარცხდა და რეპეშაჟში გადაერთო. სანუგეშო წრეში მან ლიტველი და რუსი მეტოქეები დაამარცხა და მე-3 ადგილისთვის მატჩიც მოუგო შვეიცარიელ **მარტინ ნიეტლისპახს**.

გუშინ ჩვენებმა უკეთ იჭიდავეს. ჩვენთვის სუსტ წონაში, 81 კგ-ში ხვიჩა ხუციშვილი და **გიგა წიკლაური** სცდიდნენ ბედს. ხუციშვილმა აზერბაიჯანელ **ელმადინ აჰმადოვს** კი მოუგო, მაგრამ მის თანამემამულე **რუსტამ ალიმლის** ვერაფერი მოუხერხა. მე-3 ადგილისთვის მატჩში მან კანადელ **კალემ კეჩურს** აჯობა და ბრინჯაო მოიპოვა. რაც შეეხება წიკლაურს, მან აზერბაიჯანელ **აზერ აგაევთან** წააგო და ტურნირს დაემშვიდობა.

90 კგ-ში რატომღაც არ უჭიდავია **სოსო მსხალაძეს**, **გიორგი ეპიტაშვილმა** კი რუს **დმიტრი გერასიმენკოსთან** წააგო, შემდეგ კი რეპეშაჟში – **შაჰინ გაშრამანოვთან** (აზერბაიჯანი). მოკლედ, ჩვენთვის უძლიერეს წონად აღიარებულ 90-ში უცუდესი შედეგი ვაჩვენეთ.

100 კმ-მდე წონით კატეგორიაში გიორგი ლორიაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მან ამისთვის რუსი **დმიტრი რენევი** დაამარცხა, შემდეგ უკრაინელ **ანდრი ბლოშენკოსთან** ორთაბრძოლაში დამარცხების გამო გიორგი მესამე ადგილისთვის მატჩში ლიტველ **ეგიდიუს ზილინსკასს** დაუპირისპირდა და მოუგო.

მძიმე წონაში გიორგი ყიზილაშვილმა ყველა, სამი ორთაბრძოლა იპონით მოიგო და მსოფლიო თასს დაესაკუთრა. მან ჯერ აზერბაიჯანელი **ფარიდ ბაბაევი** გააკრა ბეჭებზე, შემდეგ რუსი **არტურ ხურსინოვი** და ბოლოს, ფინალში – კიდევ ერთი რუსი, **ასლან კამბიევი**. ამავე წონაში ბრინჯაოს შეწვდა ვახტანგ ზოიძე, რომელმაც ბრინჯაოსთვის მატჩში სუფთაზე უკრაინელი **დმიტრო პოლიანსკი** დაამარცხა.

ბაქოში ოთხმა ჩვენმა გოგონამაც იჭიდავა. ყველაზე წარმატებული მათ შორის მძიმეწონოსანი (78+ კგ) ირინე ლეონიძე აღმოჩნდა. მან ვერცხლის მედალი მოიპოვა, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ამ წონაში სულ სამი ძიუდოისტი იყო. ირინემ რუს **ქსენია ჩიბისოვას** აჯობა, თურქ **გულიაშ კოჩათურქთან** კი დამარცხდა. კარგად გამოვიდა 57 კგ წონით კატეგორიაში **ლუიზა ფევაძე**. ლუიზამ ბრინჯაოს მედლისთვის ორთაბრძოლა წააგო თურქ **კუდრეთ ეგილმეზთან**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

# რეფერის უარი მოსკოვის ტურნირს



ზურაბ ტიბუა

ფოთი დღეს ქართული კრივის დასაყრდენია, ეს ყველამ კარგად იცის. პეკინში გამართულ ოლიპიადაზე სულ ორი მოკრივე იყო ჩვენი სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში და ორივე ფოთიდანაა. ამავე ქალაქიდან იყო მიწვეული პეკინში მოკრივეთა ოლიმპიური ტურნირის სამსაჯოდ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, ფოთის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი **ზურაბ ტიბუა**.

ბატონი ზურაბი ტელეფონით დაგვიკავშირდა ფოთიდან და გვითხრა, რომ იგი რეფერად მიწვეულია მოსკოვში მსოფლიო თასის გათამაშებაზე, მაგრამ უარს ამბობს იქ ჩასვლაზე მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მის კარიერას ჩრდილი მიადგეს. თავისი გადაწყვეტილება მან ოფიციალურად აცნობა კრივის საერთაშორისო ფედერაციას და მიზეზად დაასახელა ის გართულებული ურთიერთობა, რომელიც დღეს რუსეთსა და საქართველოს შორისაა.

საერთაშორისო ფედერაციაში ზურაბ ტიბუას მიერ გაგზავნილი წერილი, რომელიც ელექტრონული ფოსტით მივიღეთ, ასე მთავრდება: *„ბატონებო, იმედია, გაგებით მოეკიდებით ჩემს გადაწყვეტილებას. მომავალში მზად ვარ კვლავაც მივიღო მონაწილეობა თქვენს მიერ ორგანიზებულ ტურნირებში“...*

**თენგიზ თომაშვილი**

# ზაბჟეში, ახალგაზრდული ქამრისათვის

16 ოქტომბერს პოლონეთის ქალაქი ზაბჟე პროფესიული კრივის რამდენიმე სატიტულო და სარეიტინგო შეხვედრას უმასპინძლებს, იქვე გაიმართება შეხვედრები ახალგაზრდა მოკრივეებს შორის. ჩვენთვის კი საინტერესო ერთი მატჩია, რომელიც მსოფლიო კრივის საბჭოს (WBC) ვერსიით ახალგაზრდული ქამრისთვის გაიმართება. ახალგაზრდა ქართველი მოკრივე **სანდრო სიპიშვილი** ტიტულისთვის პოლონელ **ტომაშ ჰუტკოვსკის** დაუპირისპირდება. ოთხრაუნდიანი ბრძოლის გამარჯვებული ჩემპიონი ხდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამბო

# ქართული ჰიმნი ტაშკენტშიც აჟღერდა

უზბეკეთის დედაქალაქში, გასულ შაბათ-კვირას, ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში 35 ქვეყნის სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის - 19 საქართველოდან იყო წარგზავნილი, რომლებსაც **ბადრი ჯანიაშვილი**, **ემილ რაში** და **გია ჩიტაშვილი** ხელმძღვანელობდნენ. ჩვენმა ფალავნებმა შეჯიბრებაზე 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ახალგაზრდებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფოთელმა **ნიკო კუციამ** (82 კგ) და გორელმა **დავით კარბელაშვილმა** (90 კგ), რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს და ტაშკენტის სპორტის სასახლეში მათი გამარჯვების აღსანიშნავად საქართველოს ჰიმნი ორჯერ აჟღერდა.

მხოლოდ ნახევარფინალური ორთაბრძოლები დათმეს და მესამე ადგილებზე გავიდნენ თბილისელი **ლევან ნახუცრიშვილი** (65 კგ) და წყალტუბოელი **მალხაზ ნიჟარაძე** (100 კგ).

ჭაბუკებში ყველაზე უკეთ **ნოდარ კუდუხაშვილმა** (75 კგ) იასპარეზა. გორელმა მოჭიდავემ მხოლოდ ფინალური პაექრობა წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლები ქუთაისელმა **გენადი ჩირგაძემ** (52 კგ), ქარელელმა **ზვიად ტაბატაძემ** (60 კგ), გორელმა **გიორგი კაპანაძემ** (65 კგ), საგარეჯოელმა **იაგო მესტვირიშვილმა** (81 კგ) და თბილისელმა **შავლეგო ბერუაშვილმა** (მძიმე წონა) დაიმსახურეს.

გუშინ ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბადრი ჯანიაშვილს ტაშკენტში შევეხმიანეთ.

- როგორც ვვარაუდობდით, ქართველმა სამბისტებმა 10 მედალი მოიპოვეს, რაც შარშანდელ შედეგს ოდნავ ჩამორჩება. ჩვენს ბიჭებს თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე რომ გამოემჟღავნებინათ, ნადავლი უფრო უხვი იქნებოდა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ნიკო კუცია და დავით კარბელაშვილი, რომლებმაც შესანიშნავად იჭიდავეს-და მეტოქეებს წარმატების მცირეოდენი შანსიც არ დაუტოვეს.

ოქროს მედალთან ახლოს იყო ნოდარ კუდუხაშვილიც, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობისას მოწინააღმდეგემ მტკივნეული ილეთით დაამარცხა და მეორე ადგილი იკმარა.

**ვაჟა დანელია**

### მილოცვები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 30 წლის ღირსახსოვარ თარიღს ულოცავს პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **მანუჩარ კვირკველიას**.

---

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, საქართველოს რაგბის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 60 წელს ულოცავენ ქართული რაგბის მეორე თაობის ღირსეულ წარმომადგენელს, ბავშვთა და უფროსთა გუნდების ცნობილ მწვრთნელს **ვასილ (ბათუ) კევლიშ**[illegible]

რაგბი

ლეგიონერები

# სტარტზე მხოლოდ ერთმა მოიგო

გასულ უქმეებზე ევროპული რაგბის საკლუბო სათასო ბატალიები დაიწყო. ყველაზე პრესტიჟულ ჰაინეკენის თასის გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა სამი ფრანგული კლუბი ასპარეზობს: „კლერმონი“, „მონტობანი“ და „კასტრი“. პირველ ტურში სამივე მათგანმა მარცხი განიცადა.

**გოდერძი შველიძის** „მონტობანი“ და **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ წილისყრამ ერთად, A ჯგუფში მოახვედრა. მონტობანელებმა პირველი შეხვედრა სტუმრად ირლანდიაში „მანსტერთან“ გამართეს და ორი ქულის სხვაობით - 17:19 დამარცხდნენ. შველიძე განაცხადში არ იყო.

შინ დამარცხდა ინგლისურ „სეილ შარქსთან“ დავით ზირაქაშვილის „კლერმონი“ - 15:32. საქართველოს ნაკრების ბურჯმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**ჰაინეკენის თასი**

**A ჯგუფი: მანსტერი (ირ) - მონტობანი (საფ) 19:17, კლერმონი (საფ) - სეილ შარქსი (ინგლისი) 15:32.**

სატურნირო მდგომარეობა: **სეილ შარქსი -5 ქულა, მანსტერი -4, მონტობანი -1, კლერმონი -1.**

სტუმრად წააგო ინგლისში „ვოსფსთან“ B ჯგუფში მოასპარეზე **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა“ - 9:35. გიორგაძე თამაშში 67-ე წუთიდან ჩაერთო. ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „ლენსტერმა“ სტუმრად დაამარცხა შოტლანდიაში „ედინბურგი“-27:16.

**B ჯგუფი: ვოსფსი (ინგ) - კასტრი (საფ) 25:11, ედინბურგი (შოტ) - ლენსტერი (ირლ) 16:27.**

სატურნირო მდგომარეობა: **ვოსფსი - 5 ქულა, ლენსტერი - 4, ედინბურგი - 0, კასტრი - 0.**

ჩელენჯ კაპის გათამაშებაში ოთხი „ქართული“ კლუბია. რომელთაგან გამარჯვება მხოლოდ **მამუკა გორგოძის** „მონპელიემ“ მოიპოვა.

A ჯგუფში მოასპარეზე **ირაკლი გიორგაძის** „დაქსმა“ შინ ირლანდიური „ქონოთი“ მიიღო და - 12:30 დამარცხდა. გიორგაძე განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში ინგლისის „ლონდონ აირიშმა“ საკუთარ მოედანზე გაანადგურა იტალიური „როვიგო“ - 78:3.

**A ჯგუფი: დაქსი (საფ) - ქონოთი (ირ) 12:30, ლონდონ აირიში (ინგ) - როვიგო (იტ) 78:3**

სატურნირო მდგომარეობა: **ლონდონ აირიში - 5 ქულა, ქონოთი - 4, დაქსი - 0, როვიგო - 0.**

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი მოხვდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მონპელიემ“ პირველ ტურში გამარჯვება მოიპოვა. ჩვენებურის ამ გუნდმა შინ დაამარცხა ინგლისური „ბრისტოლი“ - 33:15. გორგოძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს. შინ წააგო კიდევ ერთ ინგლისურ კლუბ „ნორსჰემპტონთან“ **დავით ქუბრიაშვილისა და გია ლაბაძის** „ტულონმა“ - 3:56. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს. ლაბაძე განაცხადში არ იყო.

**B ჯგუფი: ტულონი (საფ) - ნორსჰემპტონი (ინგ) 3:56. მონპელიე (საფ) - ბრისტოლი (ინგ) 33:15.**

სატურნირო მდგომარეობა: **ნორსჰემპტონი - 5 ქულა, მონპელიე - 4, ბრისტოლი - 0, ტულონი -0.**

D ჯგუფში მოასპარეზე **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა“ მოულოდნელად წააგო სტუმრად იტალიის არცთუ მოწინავე გუნდ „ოვერმაკთან“ 29:34. ხინჩაგიშვილი თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო. ამავე ჯგუფში ინგლისის „ნიუკასლმა“ შინ დაამარცხა დიდი ანგარიშით ესპანეთის „ელ სალავადორი“ - 63:0.

**D ჯგუფი: ოვერმაკი (იტ) -ბრივი (საფ) 34:29, ნიუკასლი (ინგ) - ელ სალვადორი (ესპ) 63:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **ნიუკასლი - 5 ქულა, ოვერმაკი - 4, ბრივი- 1, ელ სალვადორი - 0.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მამა ზაზა: ნაკრების თამაშით ვამაყობ



ზაზა ფაჩულია

**შაბათს**, გამთენიისას, **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" "პორტლენდის" წინააღმდეგ ითამაშა და სეზონის პირველი მარცხი გაიფორმა – 80:102.

ატლანტელები ნაგებას ტრაგედიად არ მიიჩნევენ – ორი მთავარი კალათბურთელი გვაკლდაო. ლაპარაკია **მაიკ ბიბისა** და ზაზა ფაჩულიაზე. ისინი ფინიქსიდან გუნდს პორტლენდში არ გაჰყოლიან, რისთვისაც საპატიო მიზეზები ჰქონდათ – ორივეს შვილები შეეძინათ.

ამ დღეებში ზაზა არაერთ მილოცვას მიიღებდა. მათ ჩვენც ვუერთდებით.

ახლა თავად ფაჩულიას მონათხრობს გავეცნოთ. მან საკუთარ ვებსაიტზე "პორტლენდთან" მატჩამდე გამოაქვეყნა დღიურის ერთი გვერდი, რომელიც ეხება როგორც "ატლანტას", ასევე, საქართველოს ნაკრებს.

"სექტემბერში საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები ვითამაშე. სამშობლოში ჩასვლა ყოველთვის დიდ ემოციებთან იყო დაკავშირებული. ამჯერადაც ძალიან სასიამოვნო იყო საქართველოს ნაკრების ყურება, რომლის თითოეული წევრი საკუთარ ქვეყანასა და მის წარმატებაზე ფიქრობდა. კარგად ვითამაშეთ. საკვალიფიკაციო შეხვედრებში ჩვენი გარჯით ნამდვილად ვამაყობ – ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთი წავაგეთ, ისიც ორი ქულის სხვაობით. შვედეთმა 61:59 მოგვიგო.

მომავალ წელს, განმეორებით მატჩებს შინ ვატარებთ და წარმატების დიდი იმედი მაქვს. ბოლო 8 წლის განმავლობაში საქართველოში ერთი თამაშიც არ წაგვიგია. ასე რომ, ჩვენთვის აუცილებელია, შვედები სამით, ან მეტი ქულით დავამარცხოთ, რათა პლეი ოფის საგზური მოვიპოვოთ.

ამ სექტემბერს შესანიშნავად ვითამაშეთ. ასეთი კონცენტრირებული და მონდომებული საქართველოს ნაკრები აქამდე არ მინახავს. შესაბამისად, ბოლო წლებში საუკეთესო თამაში სწორედ ახლა ვუჩვენეთ. ეს მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ სატურნირო თვალსაზრისით, არამედ მსოფლიოსთვის ჩვენი ძალის საჩვენებლად. ყველამ დაინახა, რა შეუძლია ქართველ ხალხს. ვფიქრობ, ჩვენი წარმატება საქართველოში მყოფთ დაეხმარა, იქ მიმდინარე მოვლენებიდან ყურადღების დადებითზე გადატანაში – გამარჯვებებზე.

როგორც ჩანს, რუსეთთან კონფლიქტი ნელ-ნელა გვარდება, თუმცა, მნიშვნელოვანია, მათი ჯარები საქართველოდან სრულად გავიდნენ და ხალხს აღარაფრის ეშინოდეს.

საქართველოს ნაკრების მატჩები სექტემბერში დასრულდა. ახლა ოქტომბერია და დროა, სრული კონცენტრაცია "ატლანტას" თამაშებზე მოვახდინო. გასული სეზონი შესანიშნავად მახსენდება – პლეი ოფში ვითამაშეთ და მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან, "ბოსტონ სელტიქსთან" საქმე მეშვიდე მატჩამდე მივიყვანეთ. საოცარი სანახავი იყო საპლეიოფო ატმოსფერო. მას გემო ყველამ გავუსინჯეთ, ძალიან მოგვეწონა და გვინდა, პლეი ოფი ამ სეზონშიც ვიგემოთ.

ვფიქრობ, "ბოსტონთან" ჩატარებული მატჩები საინტერესო იყო, მაგრამ გასვლებზე ძალიან გაგვიჭირდა. დავინახეთ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი მოედნის უპირატესობას. "სელტიქსთან" მეშვიდე მატჩი შინ რომ გვეთამაშა, ვინ იცის, რა მოხდებოდა... ასე რომ, წლეულს ჩვენთვის მნიშვნელოვანი არა პლეი ოფში გასვლა, არამედ კონფერენციაში რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება უნდა იყოს. მაგალითად, მეოთხის, მესამესი, მეორესი... მეშვიდე შეხვედრის საკუთარი ქომაგის წინაშე ჩატარება ბევრს ნიშნავს.

გასულ სეზონთან შედარებით, ჩვენი სავარჯიშო სისტემა შეიცვალა. კალათბურთელები დარბაზთან მდებარე სასტუმროში ვცხოვრობთ. ეს იმისთვის კეთდება, რომ უკეთესი კავშირი გვქონდეს ერთმანეთთან. NBA-ს სხვა კალათბურთელების მსგავსად მეც მიჩვეული ვარ სასტუმროებში ცხოვრებას. ჩემი ახალი საწოლიც მომწონს.

თანაგუნდელებთან დაბრუნებით ბედნიერი ვარ და ჩემსავით ყველას სურს, გავიმეოროთ შარშანდელი, გადავლახოთ რეგულარული ეტაპი. მჯერა, თუ ბევრს ვიშრომებთ, საქმე ისე აეწყობა, როგორც გვსურს."

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ ნუგზარ კანდელაკთან

# აზერბაიჯანული ფულით ქართულ კალათბურთს ვავითარებთ



ვაჟა სიმონიშვილის ფოტო

ნუგზარ კანდელაკი

ბაქოს ნტდ-ს საქართველოს ჩემპიონატში გადმოსვლას და მის ქართულ გუნდად ჩამოყალიბებას აზერბაიჯანში მოწინააღმდეგეები გამოუჩდნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ამით აზერბაიჯანული ფული ქართულ საქმეს ხმარდება. შეგახსენებთ, რომ ახალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებს თბილისის ნტდ, რომელშიც ბაქოს „ნტდ-სერვისის" კალათბურთელთა დიდი ნაწილი ითამაშებს. „ნტდ-სერვისი" აზერბაიჯანში იმდენად ძლიერი იყო მეტოქეებზე, რომ იქაურ ჩემპიონატში თამაშს აზრი დაეკარგა. ოქტომბრის ბოლოს მეზობელი ქვეყნის საკალათბურთო პირველობა ამ გუნდის გარეშე დაიწყება.

იდეის მოწინააღმდეგეთაგან პირველმა ხმა ელხან ალიევმა ამოიღო, ის აზერბაიჯანის საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელია. „ზერკალოს" და „აზერისპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუებში ალიევი კატეგორიულად შეეწინააღმდეგა ამ იდეის სისწორეს.

**- ეროვნულ ჩემპიონატში არ ითამაშებს ჩემპიონი, რომლის ლიდერები საქართველოში სცდიან ბედს. როგორ აისახება ეს პირველობაზე?**

- ჩვენს ჩემპიონატში აღარ იქნებიან, - ზაურ პაშაევი, ტაირ ბახშიევი და სხვები რა თქმა უნდა, ჩემპიონატის დონე დაეცემა. თუმცა მატჩები უფრო დაძაბული იქნება, სხვა გუნდების დონე, მართალია, დაბალია, მაგრამ - თითქმის ერთნაირი. ასე რომ, კონკურენცია გაიზრდება და ეს კარგია.

**- თუ ადევნებთ თვალს ნტდ-ს გამოსვლას საქართველოში?**

- არა, აბა როგორ?! პრესიდან ვიგებ მათ შედეგებს. ვიცი, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებენ, მაგრამ გაუჭირდებათ, საქართველოში ბევრი ძლიერი გუნდია.

**- ნტდ-მ წინასასეზონო ტურნირში სამი მატჩი ითამაშა და მე-7 ადგილი დაიკავა..**

- ამ მატჩებით გუნდების რეალურ ძალას ვერ დავადგენთ. საქართველოს ჩემპიონატის წინ ნტდ-ს თამაშის დონე კიდევ გაიზრდება.

**- რა მომავალი აქვთ აზერბაიჯანელ კალათბურთელებს საქართველოში?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. არ ვიცი, რა პოზიციაზე ითამაშებენ ისინი, რა ტაქტიკას აირჩევს მწვრთნელი. სიმართლე გითხრათ, ნუგზარ კანდელაკმა ჩემზე ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება, როცა გუნდს ბაქოში წვრთნიდა.

**- თავად თუ მოსინჯავდით ძალებს საქართველოში?**

- არა, არ მსურს. მინდა, აზერბაიჯანში ვიმუშაო და ადგილობრივი კალათბურთი გავავითარო.

**- ნტდ-ს საქართველოს ჩემპიონატში გამოსვლა რამდენად წაადგება აზერბაიჯანულ კალათბურთს?**

- აზერბაიჯანული კალათბურთი მხოლოდ ის ოთხი კალათბურთელი არაა, რომლებიც ნტდ-ში ირიცხებიან. მათთვის საქართველოში თამაში კარგი იქნება, რადგან ექნებათ ნორმალურ დონეზე თამაშის პრაქტიკა. მაგრამ არა მგონია, ეს ჩვენს კალათბურთს დიდად წაადგეს - ჩვენ ვავითარებთ ქართულ კალათბურთს აზერბაიჯანული ფულით.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# მარკოიშვილი ქველებურად ათამაშდა

გამოჯანმრთელების შემდეგ მეორედ ითამაშა „ბკ კიევის" ფორვარდმა **მანუჩარ მარკოიშვილმა**, რომელსაც ეროვნული ნაკრების მატჩები ფეხის ტრავმის გამო გაუცდა. უკრაინის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში „ბკ კიევმა" სტუმრად 36-ქულიანი უპირატესობით „ნიკოლაევი" დაამარცხა – 104:68. ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე ნახევარი საათი დაყო და გუნდს 17 ქულით შეეწია. მარკოიშვილმა პირად აქტივს ქულები ძირითადად შორეული დისტანციიდან სროლებით შემატა. მან 7 ცდიდან 5 სამქულიანი ჩააგდო. მანუჩარის ანგარიშზე ორი შედეგიანი გადაცემა და მოხსნაცაა. მესამე ტურში „ბკ კიევი" „ხიმიკს" უმასპინძლებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# საკალათბურთო წესებში ცვლილებებია

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ცვლილებები შეიტანა სპორტის ამ სახეობის წესებში. თუკი გადაიკითხავთ, დაინახავთ, რომ ზოგიერთი ცვლილება ძირეულად ცვლის ამა თუ იმ წესს. საერთო აღიარებით, ეს რეფორმები მიმართულია შემტევი გუნდის ხელშეწყობისკენ. ვფიქრობთ, საკალათბურთო წესებში შესული ცვლილებების გაცნობა რიგით გულშემატკივარსაც დააინტერესებს და კალათბურთის სპეციალისტებსაც:

**მაისური**

მოთამაშეს არ შეუძლია სათამაშო მაისურის შიგნით ჩაიცვას სხვა მაისური (არანაირი).

**გარბენი**

მოთამაშე, რომელიც ფლობს ბურთს (ან დაუფლების დროს), ეცემა, გასრიალდება იატაკზე, ან წევს, ან ზის, ეს აღარ არის გარბენი (გადაკოტრიალების, ან ადგომის შემთხვევაში გარბენია).

**ზონა**

ბურთი გადასულად ითვლება მოწინააღმდეგის ზონაში, როცა ტარების დროს ბურთის მფლობელის ორივე ფეხი და ბურთი მოწინააღმდეგის ზონაშია.

- ან ბურთი ეხება მოთამაშეს, რომელიც იმყოფება მოწინააღმდეგის ზონაში;

- ან ეხება მსაჯს, რომლის სხეულის რომელიმე ნაწილი შეხებაშია მოწინააღმდეგის ზონასთან.

**ისევ ზონა**

ზონა აღარ არის, როდესაც მოთამაშე ხტება მოწინააღმდეგის ზონიდან, ეუფლება ბურთს (ახალი გუნდური ფლობა ანუ ჩაჭრის დროს), სანამ ჰაერშია და ეშვება თავის ზონაში.

**არასპორტული ჯარიმა**

თუ მცველი უკნიდან იღებს ჯარიმას და აჩერებს პირველ შეტევას, როცა თავდამსხმელსა და მოწინააღმდეგის კალათს შორის არ არის სხვა მცველი. ეს ჯარიმა უხეში რომ არ იყოს, მაინც არასპორტული ჯარიმაა.

**ტექნიკური ჯარიმა**

ტექნიკური ჯარიმა ეძლევა მოთამაშეს, რომელიც შედის კონტაქტში მცველთან იდაყვების ზედმეტი ქნევით.

**ბურთის ჩათვლა**

როდესაც ბურთი კალათთან შეხებაშია და არის იმის ალბათობა, რომ ბურთი ჩაეშვას კალათში, არც ერთ მოთამაშეს არ აქვს უფლება, შეეხოს არც ფარს (რომელიც გამოიწვევს ვიბრაციას), არც ბადეს და არც კალათს.

- მცველ მოთამაშეს შეუძლია დააფაროს ამავალ ბურთს. თუ ბურთი ჩამავალია, ბურთი ითვლება და ემატება საჯარიმო სანქცია.

ქ. თბილისის ჭადრაკის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს დავით კალმახელიძეს **მამის** გარდაცვალების გამო.



ჩოგბურთი

# ნაკრების წევრები შეირჩნენ



გიორგი ხრიკაძე



მანანა შაფაქიძე

დასრულდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი და შეირჩნენ ისინი, ვინც საქართველოს ნაკრებში ფედერაციისა და დევისის თასის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. წლევანდელი ტურნირი შემადგენლობის მხრივ საუკეთესო იყო-თქო, ვერ ვიტყვით, მაგრამ არც ცუდი ეთქმოდა და გამარჯვებისთვის უდიდესი ძალისხმევა იყო საჭირო... ერთეულთა თანრიგში, ვაჟთა შორის ფინალში ერთმანეთს **ალექსანდრე თავხელიძე** და **გიორგი ხრიკაძე** შეხვდნენ. თავხელიძე, მოგეხსენებათ, ამ ტურნირის მთავარი აღმოჩენაა - განუთესავმა ჩოგბურთელმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ფავორიტები და ფინალშიც ამოყო თავი. გიორგი ხრიკაძე კი ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობია - მისთვის საქართველოს ჩემპიონობა უცხო არ იყო... ცხადია, გამოცდილებაც ხრიკაძის წისქვილზე ასხამდა წყალს და მას უმთავრეს ფავორიტად აქცევდა. საბოლოოდ ასეც გამოვიდა - ხრიკაძემ თავისი შანსი ბოლომდე გამოიყენა და კიდევ ერთხელ გახდა საქართველოს ჩემპიონი. პირველ სეტში თავხელიძემ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ფავორიტს და 1:6 დამარცხდა, მაგრამ მეორე სეტში ისევ ისეთი აგრესიული და არაფრის დამთმობი თავხელიძე ვიხილეთ კორტზე, როგორსაც მთელი კვირის განმავლობაში ვხედავდით - ყოველ ბურთზე ჯიქურ მებრძოლი და შედეგიანი. თუმცა მატჩის ბედის შემოსაბრუნებლად ძალა მაინც არ ეყო და ეს სწორედ რომ გამოუცდელობის ბრალი იყო... ასე თუ ისე, ფინალი ღირსეული ბრძოლით გამოირჩეოდა და მადლობა ორივე ჩოგბურთელს ეკუთვნის. სტატისტიკისთვის დავაფიქსირებთ, რომ ხრიკაძემ მეორე სეტი ტაიბრეიკზე - 7:6 მოიგო.

შედარებით ნაკლები ინტრიგა ვიხილეთ ქალთა შორის ერთეულთა ფინალში, მაგრამ ასეთ აზრს საბოლოო შედეგი თუ დაბადებს, სინამდვილეში არც გოგონებს დაუზოგავთ ძალა და ენერგია და ყველაფერი გაიღეს გამარჯვებისთვის... ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ბადის საპირისპირო მხარეს **მანანა შაფაქიძე** და **ანა ჯიქია** დადგნენ. ფავორიტად შაფაქიძე მიიჩნეოდა, მაგრამ ჯიქია ბოლო დროს საკმაოდ პროგრესირებს და გამარჯვებისთვის რომ არაფერს დათმობდა, ცხადი იყო. ასეც მოხდა: ძალუმად გაიწია აწამ მოსაგებად, მაგრამ მანანა იმ დღეს მისთვის დაუძლეველ ზღუდედ იქცა და ვერას გახდა - შაფაქიძემ ორ სეტში ერთნაირი ანგარიშით - 6:2; 6:2 იმარჯვა. შაფაქიძემ ფავორიტობა გაამართლა და ახლა ისღა დარჩენია, რომ ნაკრებში მოხვედრა გაამართლოს, ანუ უახლოეს ტურნირებშიც ასეთივე წარმატებით იბრძოლოს და ნაკრებშიც გამოიღოს ხელი...

საქართველოს ჩემპიონატით, როგორც წინა წერილებში ვწერდით, წლევანდელი ქართული საჩოგბურთო წელიწადი დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი ჩოგბურთელები მთელ ძალისხმევას მომავალი წლის სეზონისთვის მზადებას მოახმარენ. მიუხედავად ამისა, კიდევ არის თითო-ოროლა საერთაშორისო ტურნირი დარჩენილი, სადაც ჩვენებურები მიიღებენ მონაწილეობას და თავის გამოჩენის შანსებიც მიეცემათ... ყველა ქართველ ჩოგბურთელს წარმატებას ვუსურვებთ და იმედი ვიქონიოთ, რომ გაისად ბევრად მეტი სათქმელი გვექნება ჩოგბურთის ქართველი გულშემატკივრისთვის.

**ზვიად შათირიშვილი**

# ოქსანას დროც დადგა?



ოქსანა კალაშნიკოვა

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას** (560) სულ რაღაც 1,5-წლიან კარიერაში ექვსი ტიტული აქვს მოპოვებული, მაგრამ ექვსივე ნაკლებად პრესტიჟულ წყვილთა თანრიგში. დღეს ოქსანა მეშვიდე ტიტულს შეუტევს, ამჯერად, ერთეულთა თანრიგში. ჩვენმა თანამემამულემ ერთეულთა თანრიგის ფინალში კარიერაში პირველად გააღწია. ეს მან სამშობლოსგან ძალიან შორს, მექსიკის ქალაქ სან ლუის პოტოსიში შეძლო.

ოქსანამ შარშან გერმანულ გარხინგში მოიგო წყვილთა ტიტული, წლეულს კი ეს ხუთჯერ მოახერხა: ჯერ მარტში ზედიზედ ორჯერ ქაიროში, შემდეგ ივლისში ხარკოვში, სექტემბერში კი მან ინსბრუკსა (ავსტრია) და კასალემი (იტალია) იმარჯვა. ყველა ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი იყო, გარდა ხარკოვის შეჯიბრებისა (25 ათასი დოლარი). მექსიკური ტურნირიც 25-ათასიანია, ფინალამდე გასაღწევად ოქსანას ზედიზედ 6 მატჩის მოგება დასჭირდა. ჩვენი ყურადღება სან ლუის პოტოსის ტურნირის მეოთხედფინალზე შევაჩერეთ, რომელშიც ოქსანა არგენტინელ **ვერონიკა შპიგელს** (309) დაუპირისპირდა. შპიგელს კალაშნიკოვამ ორ სეტში სძლია – 7:5, 6:1.

კალაშნიკოვა ნახევარფინალში გავიდა, სადაც მას ტურნირის კიდევ ერთი აღმოჩენა, ამერიკელი **კოკო ვანდევეგე** (493) დაუპირისპირდა. სამსეტიანი ბრძოლა ჩვენებურის გამარჯვებით დასრულდა – 3:6, 6:4, 6:4. ფინალში კალაშნიკოვას მეტოქე პორტუგალიელი **ფრედერიკა პიედადეა** (234). პორტუგალიელი რეიტინგში 330 საფეხურით უსწრებს ოქსანას, თუმცა კორტზე მხოლოდ რეიტინგი არ არის გადამწყვეტი. თუკი ოქსანა იმარჯვებს, ის 25 სარეიტინგო ქულას მოიპოვებს (ახლა სულ 27 აქვს), წაგებისას კი 17-ს დასჯერდება. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენებური, სულ მცირე, 120 ადგილით წაიწევს რეიტინგში წინ. პიედადესთან ორთაბრძოლა კიდევ იმით არის საინტერესო, რომ ეს ჩოგბურთელები, დიდი შანსია, თებერვალში „ფედერაციის თასის" მატჩში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, საქართველოსს და პორტუგალიის ნაკრებების შემადგენლობაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

***P.S.** ფინალური მატჩი წუხელ გვიან ღამით დასრულდა. ოქსანა კალაშნიკოვამ 7:5, 4:6, 6:4 დაამარცხა პორტუგალიელი მეტოქე და ერთეულთა შორის პირველი ტიტული მოიგო.*

# მესამე ფინალი და..

16 წლის **ეკა გორგოძემ** ბრწყინვალედ ისპარეზა ბარსელონას ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი), სადაც ფინალში გააღწია. მართალია, ჩვენმა თანამემამულემ ფინალი დათმო, მაგრამ იქ თამაშიც მიღწევაა: გორგოძე ხომ მსოფლიო კლასიფიკაციაში მხოლოდ 771-ეა. ეკა კარიერაში მესამედ გავიდა ფინალში და მესამედ დამარცხდა.

ბარსელონის ტურნირის ნახევარფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა მე-5 ნომრად განთესილი რუსი **იულია პარასიუკი** (464) დაამარცხა სამ სეტში – 5:7, 7:6 (6), 6:1და მასთან ერთი თვის წინათ წაგებისთვის შური იძია. ასე მოიპოვა ეკამ ფინალში მე-8 ნომრად განთესილ ფრანგთან, **სამანტა შოიფელთან** (557) თამაშის უფლება. შოიფელმა ნახევარფინალში მე-7 ნომრად განთესილ პოლონელ **კასია პიტერს** (541) მოუგო – 6:2, 1:6, 6:1. ფინალში, რომელიც წვიმამ რამდენჯერმე შეაფერხა, ფრანგის უპირატესობა აშკარა იყო – 2:6, 1:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საწყლოსნო სახლები

# იყო გამორჩეული, ასეთადაც რჩება

## ეპიზოდები ლაგუნა ვერეს ცხოვრებიდან

ამას წინათ პრესაში ერთ შემაძრწუნებელ ფაქტს წავაწყდი - ახალგაზრდა კაცი, რომელიც სამაჩაბლოში რუსების ტყვიას გადაურჩა, ქობულეთთან, შავ ზღვაში დაიხრჩო: ცურვა არ სცოდნია - ტალღამ დაჰკრა და...

შემაშფოთებელია მსოფლიო სტატისტიკაც - ყოველწლიურად ცურვის უცოდინარობით მთელ პლანეტაზე ათასობით ადამიანი იღუპება, მათ შორის - საქართველოშიც. არადა, ჩვენთან 2600-ზე მეტი მდინარე, წყალსაცავი, ტბა და ზღვაა. ფაქტებს თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ცურვა არ იცის, რასაც სავალალო შედეგებამდე მივყავართ. რამდენიმე წლის წინ თავად მოვისმინე, სამხედრო აკადემიის კურსანტმა საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს" დირექტორს **ვლადიმერ გოიაშვილს** რომ სთხოვა, ბიჭები სასწავლებელს ვამთავრებთ, ცურვა არ ვიცით და მის შესწავლაში დაგვეხმარეო. ძალიან გაუხარდა, ბატონმა ვლადიმერმა უანგაროდ დახმარება რომ აღუთქვა.

დღეს საქართველოში კერძო ორგანიზაციები აუზებს კი აშენებენ, მაგრამ ისე ძვირი ღირს, რომ ჩვეულებრივ მოკვდავს იქ შესვლა არ შეუძლია. უბრალო ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი იყო და ასეთად რჩება ოაზისი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რომელსაც „ლაგუნა ვერეს" ეძახიან. ზუსტად 30 წლის წინ - 1978 წლის 13 ოქტომბერს ჩადგა იგი ხალხის სამსახურში. ამ ხნის განმავლობაში საწყლოსნო კომპლექსის ცისფერ ბილიკებზე მილიონამდე მოზარდმა ისწავლა ცურვა, მთლიანად კი 10 მილიონზე მეტ ადამიანს მოემსახურა. აუზით სარგებლობისას შეღავათები ეწევათ დევნილებს, სამხედრო აკადემიის კურსანტებს, მრავალშვილიან ოჯახებს, დაავადებულ ყმაწვილებს, რომელთა გამოსაჯანმრთელებლად წყლის პროცედურებია აუცილებელი.

ამჟამად „ლაგუნა ვერეში" 4-დან 15 წლამდე 1250 მოზარდი ეუფლება ცურვის ოსტატობას, 650-მდე ახალგაზრდა კი სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებშია გაერთიანებული. კომპლექსის მესვეურნი სპორტულ შეჯიბრებებსაც სიამოვნებით მასპინძლობენ.

- ჩვენს აუზს ისტორიული წარსული აქვს, - მითხრა კომპლექსის დირექტორმა, წყალბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ გოიაშვილმა, რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ამ ობიექტის მშენებლობის ზედამხედველად, შემდეგ კი საწყლოსნო კომპლექსის ხელმძღვანელად დაინიშნა. - აქ ოლიმპიურ ჩემპიონებსაც უასპარეზიათ. რომ არაფერი ვთქვათ სხვა შეჯიბრებებზე, საქართველოს ჟურნალისტთა პრიზზე წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი თორმეტჯერ გაიმართა. ოთხმოციან წლებში წყალბურთელ გოგონათა გუნდი „ივერია" ჩამოვაყალიბეთ, რომელმაც საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი მოიგო. ორჯერ ვუმასპინძლეთ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წყალმხტომელთა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს. ოკეანისგაღმელთა შემადგენლობაში სახელოვანი გრეგ ლუგანისი გამოდიოდა.



„ლაგუნა ვერეში" აღიზარდნენ სახელოვანი სპორტსმენები: წყალბურთელები - მიხეილ გიორგაძე, ვლადიმერ ისელიძე, რევაზ ჩომახიძე, წყალმხტომელები - ლიანა ცოტაძე, გიორგი ჩოგოვაძე, სერგი შალიბაშვილი, ნანა ყაზარაშვილი; სინქრონულად მოცურავეები - ქრისტინა ფალასანიდი, ნინო მაისურაძე და სხვები.

**- იქნებ, კურიოზიც გაიხსენოთ...**

- როცა საწყლოსნო კომპლექსი გაიხსნა, მაშინ საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის გამწვავებული პოლიტიკური ვითარება იყო, რის გამოც სპარსელებმა ყოფილ საბჭოეთს გაზის მიწოდება შეუწყვიტეს. წყალს ვერ ვათბობდით და ახალგახსნილი აუზი უმოქმედოდ რჩებოდა. სხვა გზა არ იყო - ანსამბლ „ივერიას" კონცერტების გამართვა ვთხოვეთ. მორებისგან სპეციალურად შეკრულ ტივზე ივერიელებს ისეთი ეგზოტიკური საღამოები გამოუვიდათ, რომ ორი კვირის განმავლობაში მაყურებელი არ მოჰკლებიათ. პოლიტიკური ვნებათაღელვის ჩაცხრომის შემდეგ გაზის მოწოდება აღდგა და აუზიც ამუშავდა. თუმცა, ამის მერეც არაერთხელ გამართულა კონცერტი „ლაგუნა ვერეზე".

ასე რომ, ჩვენი კომპლექსი არა მარტო სპორტულ სარბიელს, არამედ გასართობ ცენტრსაც წარმოადგენს. თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები მომავალში აქ ორგანიზმსაც გაიკაჟებენ და მრავალი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენიც იქნებიან. „ლაგუნა ვერეში" კვლავაც გაიზრდებიან სასახელო სპორტსმენები.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

## WBC-ის ვერსია. სუპერმძიმე წონა. სატიტულო ბრძოლა

# პიტერი სუსტი ყოფილა

უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო** ოთხწლიანი შესვენების შემდეგ წარმატებით დაბრუნდა პროფესიულ რინგზე. ნიგერიელი **სამუელ პიტერის** დამარცხებით, მან სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ქამარი დაიბრუნა. ახლა, ძმები კლიჩკოები ოთხი ყველაზე პრესტიჟული ვერსიით სამი ტიტულის მფლობელები არიან.

ბრძოლისწინა პერიპეტიებზე ბევრი დავწერეთ, ამიტომაც თავს არ შეგაწყენთ მოკრივეთა სტატისტიკური მიღწევების გამეორებით და პირდაპირ შეხვედრის მიმოხილვაზე გადავალთ.

თავიდან ბრძოლა დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. უკრაინელმა მალევე აუღო ალღო პიტერის ულიმლამო დარტყმებს და გათამამდა. ვიტალის კარგად გამოსდიოდა მარჯვენათი ზუსტი დარტყმები, რასაც ნიგერიელი ვერაფერს უპირისპირებდა.

მეოთხე რაუნდისთვის კლიჩკოს უპირატესობა უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. სამუელი შეტევაზე არც კი ფიქრობდა და მეტოქის დარტყმების აცილებით იყო დაკავებული.

მეშვიდე რაუნდში პირველი სისხლიც ვიხილეთ - კლიჩკომ აფრიკელს ტუჩი გაუხეთქა. მერვეში პიტერი ფეხზე ძლივს იდგა. მას იმის თავიც კი აღარ ჰქონდა, რომ მოწინააღმდეგის დარტყმები აეცილებინა თავიდან. საბოლოოდ, ამ რაუნდის შემდეგ ნიგერიელის გუნდმა რინგზე პირსახოცი გადმოაგდო და წაგება აღიარა. როგორც მატჩის შემდეგ გაირკვა, მსაჯებმა რვავე რაუნდში უპირატესობა ვიტალის მიანიჭეს.

ნელ-ნელა ძმები კლიჩკოების ოცნება რეალობას უახლოვდება. უკრაინელებს სურთ, პროფესიულ კრივში ყველა საჩემპიონო ქამარი მათი საკუთრება გახდეს. ვიტალი კლიჩკო WBC-ის ვერსიით ითვლება საუკეთესოდ, მისი უმცროსი ძმა **ვლადიმერი** კი IBF-ისა და WBO-ის მსოფლიოს ჩემპიონია. ერთადერთი ორგანიზაცია, რომლის ქამარიც კლიჩკოებს არ აქვს, WBA გახლავთ. ამ ვერსიით მსოფლიოს დროებითი ჩემპიონი რუსი **ნიკოლაი ვალუევია.**

კლიჩკო-პიტერის ბრძოლის შემდეგ, ცნობილმა პრომოუტერმა **დონ კინგმა** განაცხადა, რომ ახლა, პირველ რიგში, ვიტალი კლიჩკოსა და ვალუევის ბრძოლის ორგანიზებაზე იზრუნებს. რამდენად მოახერხებს ამას კინგი, ძნელი სათქმელია, მაგრამ დანამდვილებით არის ცნობილი, რომ 13 დეკემბერს მეორე უკრაინულ-რუსული დაპირისპირება გაიმართება. ვლადიმერ კლიჩკომ თავისი ტიტულები **ალექსანდრ პოვეტკინთან** ბრძოლაში უნდა დაიცვას.



რაგბი

# ექვსი ერი სპონსორს კარგავს

## უილკინსონი მარტამდე ვერ ითამაშებს

ექვსი ერის თასის 2010 წლის გათამაშება, შესაძლოა, მთავარი სპონსორის გარეშე დარჩეს. მსოფლიოს ფინანსური კრიზისის გამო, Royal Bank of Scotland (RBS) ევროპის ექვსი წამყვანი ნაკრების ტურნირის დაფინანსებას არ აპირებს.

ტურნირის ორგანიზატორებსა და RBS-ის შორის მოქმედი ხუთწლიანი კონტრაქტი (ხელშეკრულების საერთო ღირებულება 20 მილიონი ფუნტია) 2009 წლის სეზონის შემდეგ იწურება. RBS იმ ბრიტანული ბანკების რიცხვში შედის, რომელმაც მთავრობისგან 50-მილიარდიანი სესხი ითხოვა, ქვეყნის ფინანსური ბაზრის რეანიმაციისთვის.

*"ბანკთან უკვე განვიხილეთ შექმნილი სიტუაცია, მაგრამ ახლა, მოლაპარაკებებისთვის არც ისე ხელსაყრელი დროა. დღეს რთული სიტუაციაა შექმნილი და სპორტს არანაირი იმუნიტეტი არ გააჩნია. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ კარგ სპონსორს ვიპოვით, რადგან მას კარგ პროდუქტს ვთავაზობთ"*, - ამბობს ექვსი ერის თასის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **დევიდ პიკერინგი.**

■ ■ ■

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, პრაქტიკულად, ყოველდღე ვრცელდებოდა ახალი ცნობები ინგლისის ნაკრების ლიდერის **ჯონი უილკინსონის** ტრავმის შესახებ. ბოლო ინფორმაცია ინგლისელი გულშემატკივრებისთვის მეტად უსიამოვნო აღმოჩნდა. ჯონის მუხლის ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ. შედეგად "ნიუკასლ ფელკონზის" ვეტერანი 2009 წლის მარტამდე ვერ შეძლებს თამაშს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უილკინსონი მონაწილეობას ვერ მიიღებს ექვსი ერის გათამაშებაში. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ 2003 წლის მსოფლიოს თასის გმირი ოთხი თვე ვერ შეძლებდა თამაშს.

*"ეს ყველაზე დასანანი ტრავმაა ჩემს კარიერაში. თუმცა სულაც არ მგონია, რომ ამ დაზიანების გამო კარიერის დასრულება მომიწევს"*, - განუცხადა The Times-ს უილკინსონმა.

ჯონის ნაცვლად ექვსი ერის თასზე ინგლისური რაგბის ამომავალი ვარსკვლავი **დენი სიპრიანი** დაიკავებს.

# კამათი ანტილოპას გამო

სამხრეთ აფრიკის ეროვნული კონგრესი რაგბის ეროვნული ნაკრებისთვის ემბლემის შეცვლას ეწინააღმდეგება. ამ საკითხზე კამათი სამხრეთაფრიკული სპორტის შეფების განცხადების შემდეგ დაიწყო. მათი აზრით, დღევანდელი ემბლემა, რომელზეც აფრიკული ანტილოპაა გამოსახული, "ქვეყანას ორ ნაწილად ყოფს". ანტილოპა სამხრეთ აფრიკის ძველი გერბის (2000 წლამდე) ერთ-ერთი ელემენტი იყო და ის აპარტეიდულ რეჟიმთან ასოცირდებოდა.




*"სანამ სხვადასხვა ორგანიზაციებთან და გულშემატკივრებთან კონსულტაციებს არ გავივლით, კონგრესი ემბლემის შეცვლაზე კატეგორიულ უარს ამბობს. სამხრეთ აფრიკის ნაკრებს წარმატებას ვუსურვებთ. ჩვენი აზრით, გუნდი არ უნდა მოცდეს მომავალ ემბლემაზე კამათისთვის"*, - განაცხადა კონგრესის სპიკერმა **ჯესი დუარტემ.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰეინეკენის თასი. I ტური

### I ჯგუფი

**მუნსტერი (ირლ)-მონტობანი (საფ) 19:17 (10:3)**

**მუნსტერი:** 1 ლელო - მერფი (38); 1 გარდასახვა - ო'გარა (38); 4 საჯარიმო - ო'გარა (33, 53, 65, 78).

**მონტობანი:** 1 ლელო - ჟონე (57); 4 საჯარიმო - მიტუ (6, 46, 59, 75).

**კლერმონი (საფ)-სეილ შარქსი (ინგ) 15:32 (6:13)**

**კლერმონი:** 5 საჯარიმო - ჯეიმსი (31, 35, 49, 58, 73).

**სეილი:** 4 ლელო - დოჰერტი (20), მაკალისტერი (52), კილი (73), კუეტო (76); 3 გარდასახვა - მაკალისტერი (20, 52, 73); 2 საჯარიმო - მაკალისტერი (7, 15).

### II ჯგუფი

**ედინბურგი (შოტ)-ლეინსტერი (ირლ) 16:27 (6:24)**

**ედინბურგი:** 1 ლელო - საჯარიმო (51); 1 გარდასახვა - პატერსონი (51); 3 საჯარიმო - გოდმანი (15), პატერსონი (40, 68).

**ლეინსტერი:** 4 ლელო - ელსომი (18), ო'დრისკოლი (24), კონტეპომი (36), ჰორგანი (38); 2 გარდასახვა - კონტეპომი (18, 24); 1 საჯარიმო - კონტეპომი (70).

**ლონდონ უოსპსი (ინგ)-კასტრი (საფ) 25:11 (20:3)**

**უოსპსი:** 3 ლელო - საკეი (8), ვოისი (22), ლიუსი (59); 2 გარდასახვა - სიპრიანი (8, 22); 2 საჯარიმო - სიპრიანი (14, 34).

**კასტრი:** 1 ლელო - ნალე (76); 2 საჯარიმო - მაკინტაირი (26, 45).

### III ჯგუფი

**პერპინიანი (საფ)-ბენეტონი (იტა) 27:16 (17:13)**

**პერპინიანი:** 3 ლელო - საჯარიმო (20), პორიკალი (39), გრანკლოდი (50); 3 გარდასახვა - მელე (20, 39), პორიკალი (50); 2 არეკნი - მელე (31, 45).

**ბენეტონი:** 1 ლელო - მულიერი (12); 1 გარდასახვა - მარკატო (12); 3 საჯარიმო - მარკატო (5, 27), გოსენი (67).

**ლესტერ ტაიგერსი (ინგ)-ოსპრეისი (უელ) 12:6 (12:3)**

**ლესტერი:** 4 საჯარიმო - ფლუდი (7, 20, 22, 33).

**ოსპრეისი:** 1 საჯარიმო - ჰუკი (58); 1 არეკნი - ს. უილიამსი (38).

### IV ჯგუფი

**ლანელი (უელ)-თვიქნემი (ინგ) 22:29 (19:3)**

**ლანელი:** 2 ლელო - სტოდარტი (1), მ. ჯონსი (9); 4 საჯარიმო - მ. ჯონსი (23, 32, 40, 50).

**თვიქნემი:** 2 ლელო - კეირი (56), მონი (65); 2 გარდასახვა - მელოუნი (56, 65); 5 საჯარიმო - მელოუნი (14, 44, 47, 59, 79).

**ოლსტერი (ირლ)-სტად ფრანსი (საფ) 10:26 (0:16)**

**ოლსტერი:** 1 ლელო - უოლასი (72); 1 გარდასახვა - ო'კონორი (72); 1 საჯარიმო - ო'კონორი (49).

**სტად ფრანსი:** 2 ლელო - ბუსე (23), შარჟევსკი (57); 2 გარდასახვა - ბოქსი (23, 57); 1 საჯარიმო - ბოქსი (14), 3 არეკნი - ერნანდესი (8, 27, 62).

### V ჯგუფი

**ნიუპორტი (უელსი)-გლაზგო (შოტ) 32:22 (14:10)**

**ნიუპორტი:** 3 ლელო - უიატი (38, 57), ჩერვისი (62); 1 გარდასახვა - ოლდრიჯი (62); 3 საჯარიმო - ოლრდიჯი (22, 28, 43); 2 არეკნი - ოლდრიჯი (40, 73).

**გლაზგო:** 3 ლელო - ფაატაუ (5), ევანსი (53), კელოკი (65); 2 გარდასახვა - გრეგორი (5, 53); 1 საჯარიმო - გრეგორი (19).

**ტულუზა (საფ)-ბეთ რაგბი (ინგ) 18:16 (6:3)**

**ტულუზა:** 6 საჯარიმო - სკრელა (17, 37, 44, 60, 69, 80).

**ბეთი:** 2 ლელო - კლაასენსი (48), აბენდანონი (77); 2 საჯარიმო - ბ. ჯეიმსი (11, 39).

### VI ჯგუფი

**კალვიზანო (იტა)-კარდიფი (უელ) 20:56 (13:18)**

**კალვიზანო:** 2 ლელო - პურლი (32), გირალდინი (65); 2 გარდასახვა - ფრეზერი (32), რაინერი (65); 2 საჯარიმო - ფრეზერი (16), გრიფინი (40).

**კარდიფი:** 8 ლელო - მოლიტიკა (9), საჯარიმო (27), სპაისი (43), შენკლინი (47), ბლერი (51), რობინსონი (62), ჰალფპენი (70), გ. ტომასი (73); 5 გარდასახვა - ბლერი (27, 43, 47, 51, 62); 2 საჯარიმო - ბლერი (23, 40).

**გლოჩესტერი (ინგ)-ბიარიტცი (საფ) 22:10 (16:3)**

**გლოჩესტერი:** 1 ლელო - სიმპსონ-დანიელი (39); 1 გარდასახვა - ბარკლი (39); 5 საჯარიმო - ბარკლი (3, 9, 32, 56), ლემბი (78).

**ბიარიტცი:** 1 ლელო - გობელე (43); 1 გარდასახვა - ტრეი (43); 1 არეკნი - პეირელონგი (11).

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 10 ოქტომბერი

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 2:1**

1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 უეიტი-1 (მტრაიტი-1, გერინი-1), 1:1 პარიზე-1 (კლარკსონი-1, მარტინი-1), 2:1 ელიაში-1 (ჯონტა-1, როლსტონი-1).

**რეინჯერსი-ჩიკაგო 4:2**

1:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 რედენი-2 (დრური-1, ნესლუნდი-2), 1:1 კეინი-1 (ბ. კემპბელი-1), 2:1 ვოროსი-1 (დუბინსკი-1, ჟერდიოვი-1), 3:1 დუბინსკი-2, 3:2 კეიტი-1 (ბიფიგრენი-1, შარპი-1), 4:2 ჟერდიოვი-1 (ვოროსი-1, დუბინსკი-2).

**კაროლინა-ფლორიდა 6:4**

2:2, 2:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ბუტი-1 (ბოუმისტერი-1, ალენი-1), 0:2 სტილმანი-1 (უეისი-1, მაკეიბი-1), 1:2 ტ. რუუტუ-1 (საიდენბერგი-1, ფ. კაბურლე-1), 2:2 რეი უიტნი-1 (გლისონი-1, ივსი-1), 3:2 ბრინდამორი-1 (ფ. კაბურლე-2), 3:3 დვორაკი-1 (ბუტი-1, კრეპსი-1), 4:3 პიტკანენი-1 (გლისონი-2), 5:3 ლაკუტური-1 (ვალინი-1, სატერი-1), 5:4 ჰორტონი-1 (სტილმანი-1, ბოინტონი-1), 6:4 კულენი-1 (ბაიდა-1, გლისონი-3).

**ბაფალო-მონრეალი 2:1 (ბ)**

1:1, 0:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ლანგი-1 (კოსტოპულოსი-1, მარკოვი-1), 1:1 ვანეკი-1 (ნუმინენი-1, ლიდმანი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** კოტალიკი (ბაფალო), სტეფორდი (ბაფალო).

**ატლანტა-ვაშინგტონი 7:4**

3:1, 1:3, 3:0

**გოლები:** 1:0 პეინსი-1 (ტ. უაიტი-1, ჯეისონ უილიამსი-1), 2:0 რისონერი-1 (ლიტლი-1, პერენი-1), 3:0 ლიტლი-1 (პაველიდი-1), 3:1 სიომინი-1 (ფიოდოროვი-1, მ. გრინი-1), 3:2 შტეკელი-1 (პოტი-1, სიომინი-1), 4:2 ვიაჩ. კოზლოვი-1 (პაველიდი-2, ენსტრიომი-1), 4:3 მ. გრინი-1 (ნიულანდერი-1, ბექსტრიომი-1), 4:4 მ. გრინი-2 (სიომინი-2, ვიქ. კოზლოვი-1), 5:4 ლიტლი-2 (ვიაჩ. კოზლოვი-1, კრისტენსენი-1), 6:4 კ. არმსტრონგი-1 (პერენი-1, პეინსი-1), 7:4 ტ. უაიტი-1 (კოვალჩუკი-1, პაველიდი-3).

**სენტ ლუისი-ნეშვილი 5:2**

2:1, 3:1, 0:0

**გოლები:** 0:1 სატერი-1 (ნიკოლი-1, ტუტუ-1), 1:1 ტკაჩუკი-1 (კარია-1, ბოიესი-1), 2:1 ჯეკმენი-1 (პერონი-1, პორტერი-1), 3:1 ბოიესი-1 (კარია-2, ე. მაკდონალდი-1), 3:2 ჯოელ ჯორდი-1 (დუმონი-1, არნოტი-1), 4:2 ტკაჩუკი-2 (პერონი-2, ბერგლუნდი-1), 5:2 ბეკსი-1 (სტემპნიაკი-1, ე. მაკდონალდი-2).

**დალასი-კოლამბუსი 4:5 (ო)**

0:1, 2:0, 2:3, 0:1

**გოლები:** 0:1 ვორაჩეკი-1 (ჩიმერა-1), 1:1 მოროუ-1 (რიბეირო-1, რობიდასი-1), 2:1 ნილი-1 (რობიდასი-2), 2:2 ჰუსელიუსი-1 (უმბერგერი-1), 2:3 მიურეი-1 (ნოვოტნი-1, კლესლა-1), 2:4 ბრასარი-1 (ვორაჩეკი-1), 3:4 ბ. რიჩარდსი-1 (რობიდასი-3, ლუნდკვისტი-1), 4:4 დეილი-1 (რიბეირო-2, მოდანო-1), 4:5 ნეში-1 (ჩიმერა-2, ბეკმანი-1).

**ოტავა-დეტროიტი 2:3**

1:1, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 პიკარი-1 (კუბა-4, პიტლი-1), 1:1 ფილპულა-1 (სამუელსონი-1, კლირი-1), 2:1 ფოლინო-1, 2:2 ფრანცენი-1 (ზეტერბერგი-1, ლიდსტრიომი-1), 2:3 ფრანცენი-2 (რაფალსკი-1, ზეტერბერგი-2).

**აილენდერსი-სენტ ლუისი 5:2**

4:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 კომრი-1 (პარკი-1, ოკსოპო-1), 2:0 ჰანტერი-1 (უეიტი-1), 3:0 ბერგენჰაიმი-1 (ჰილბერტი-1, ჟერვე-1), 3:1 ბოიესი-2 (კარია-3, ე. მაკდონალდი-3), 4:1 ჰილბერტი-1 (მტრაიტი-2, ჟერვე-2), 4:2 ტკაჩუკი-3 (კარია-4, ე. მაკდონალდი-4), 5:2 გერინი-1 (უეიტი-2).

**ფილადელფია-რეინჯერსი 3:4**

0:4, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჟერდიოვი-2 (ვოროსი-3, ჟირარდი-2), 0:2 ბეტსი-1 (ჟერდიოვი-2, ჟირარდი-3), 0:3 სიოსტრიომი-1 (ბეტსი-1, ორი-1), 0:4 როჟსივალი-1 (გომესი-3, ნესლუნდი-3), 1:4 პარტნელი-1 (მეტროპოლიტი-1), 2:4 საიმონ განიე-1 (ბრიერი-1), 3:4 მ. რიჩარდსი-1 (ბრიერი-2, ემინგერი-1).

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 4:2**

1:2, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ვერსტეეგი-1 (ტეუვზი-1, პაელატი-1), 0:2 სკილი-1 (ბოლანდი-1, ლედი-1), 1:2 ბრედლი-1 (მტეკელი-1, ბრაშირი-1), 2:2 ოვეჩკინი-1 (პოტი-2), 3:2 ლეიჩი-1 (სიომინი-3), 4:2 ოვეჩკინი-2 (მულტცი-1, ტეოდორი-1).

**ფლორიდა-ატლანტა 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ვიაჩ. კოზლოვი-2 (კოვალჩუკი-2, პაველიდი-4), 1:1 ბუტი-2 (უეისი-2, ზედნიკი-1), 2:1 უეისი-1 (ზედნიკი-, ბალარდი-1), 2:2 ჯეისონ უილიამსი-1 (პეინსი-2, სლეიტერი-1), 3:2 ბუტი-3 (ჰორტონი-1, ბალარდი-2).

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 1:2 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 შატანი-1 (ჯ. სტაალი-2, მალკინი-2), 1:1 ელიაში-2, 1:2 პარიზე-2 (ზაიაცი-1, კ. უაიტი-1).

**ნეშვილი-დალასი 3:1**

2:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 შ. უებერი-1 (არნოტი-2, დუმონი-2), 1:1 დეილი-2 (მოროუ-1, ოტი-1), 2:1 არნოტი-1 (დუმონი-3, ერატი-1), 3:1 არნოტი-2 (დუმონი-4, ერატი-2).

**მინესოტა-ბოსტონი 4:3**

1:1, 3:0, 0:2

**გოლები:** 0:1 კესელი-2 (პ. ბერჟერონი-3, შტურმი-1), 1:1 ბელანჟე-1 (ჟილი-1, კ. იონსონი-1), 2:1 მ-ა. ბერჟერონი-1 (მ. კოივუ-1, ბუშარი-1), 3:1 მიეტინენი-1 (ბრუნეტი-1, მ. კოივუ-2), 4:1 ბელანჟე-2 (ბუშარი-2, ნოლანი-1), 4:2 სავარი-2 (რაიდერი-1, აქსელსონი-2), 4:3 სავარი-3 (რაიდერი-2, აქსელსონი-3).

**კალგარი-ვანკუვერი 4:5 (ო)**

3:1, 1:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-1 (ჰ. სედინი-2), 1:1 რუა-1 (პრიმო-1, პრუსტი-1), 2:1 ბერტუცი-1 (ჯორდანო-1, ლენგკოუ-1), 3:1 რენე ბურკი-1 (კამალერი-1, ფანოფი-1), 3:2 რიპიენი-2 (რ. ჯონსონი-2, სალო-1), 3:3 კესლერი-1 (ჰანსენი-1, ედლერი-1), 4:3 კამალერი-1 (რენე ბურკი-1, ფანოფი-2), 4:4 დ. სედინი-2 (ჰ. სედინი-3, ბერნიე-1), 4:5 დემიტრა-1 (ბაროუზი-1).

**ფინიქსი-კოლამბუსი 3:1**

2:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ო. იოკინენი-1 (ტარისი-1, პორტერი-1), 2:0 მიულერი-1 (ო. იოკინენი-1, ჰანჟალი-1), 2:1 ბრასარი-2 (ბეკმენი-2, ჩიმერა-3), 3:1 იენდლი-1 (რაინპრეხტი-1, პეილი-1).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 3:1**

0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ფროლოვი-1 (ჰანძუში-1, პრისინგი-1), 1:1 სეტოგუჩი-2 (ვლასიჩი-1, ჯ. ტორნტონი-2), 2:1 პლიჰალი-1 (ვლასიჩი-2, ბოილი-2), 3:1 პაველსკი-1 (ჩიჩუ-1, მ. მიხალეკი-3).

### 11 ოქტომბერი

**ტორონტო-მონრეალი 1:6**

0:2, 1:4, 0:0

**გოლები:** 0:1 პამრლიკი-1 (ლატენდრესი-1, ს. კოივუ-1), 0:2 კოვალიოვი-1 (პლეკანეცი-1, ო'ბირნი-), 0:3 ს. კოსტიცინი-1 (ტანგეი-1, ს. კოივუ-2), 0:4 ტანგეი-1 (ლატენდრესი-2, ს. კოსტიცინი-1), 0:5 ს. კოსტიცინი-2 (ტანგეი-2, მარკოვი-2), 1:5 ჯ. ბლეიკი-1 (ვან რინი-1, პონიკაროვსკი-1), 1:6 ლატენდრესი-1 (ს. კოივუ-3, ტანგეი-3).

**ტამპა ბეი-კაროლინა 3:4 (ო)**

2:0, 1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 რეკი-1 (მ. კარლი-1, ი. იოკინენი-1), 2:0 ნისკალა-1 (პროსპალი-1, პიუვარდი-1), 3:0 ლეკავალიე-1 (სენტ ლუისი-1, პიუვარდი-2), 3:1 ბრინდამორი-2 (პიტკანენი-1, რეი უიტნი-1), 3:2 კულენი-2 (ბრინდამორი-1, პიტკანენი-2), 3:3 ე. სტაალი-1 (საიდენბერგი-2, ტ. რუუტუ-1), 3:4 ე. სტაალი-2 (რეი უიტნი-2).

რალი

## მსოფლიოს ჩემპიონატი

### XIII ეტაპი. საფრანგეთის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 3:42.58,0; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - +3.24,7; 3. **ფრანსუა დიუვალი** (ბელგია, "ფორდი") - +3.31,6; 4. **იარი-მატი ლატვალა** - +3.37,5; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ") - +5.35,4; 6. **კრის ატკინსონი** (ბრიტანეთი, "სუბარუ") - +6.10,4; 7. **ურმო აავა** (ესტონეთი, "სიტროენი") - +7.25,2; 8. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +9.02,2.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სებასტიან ლოები** - 106 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** - 92; 3. **დანიელ სორდო** - 59; 4. **კრის ატკინსონი** - 45; 5. **იარი-მატი ლატვალა** - 42; 6. **პეტერ სოლბერგი** - 40; 7-8. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი"), **ფრანსუა დიუვალი** - 22.

**კონსტრუქტორთა ჩათვლა:** 1. **სიტროენი** - 169 ქულა; 2. **ფორდი** - 146 ქულა; 3. **სუბარუ** - 87; 4. **სტობარტ-ფორდი** - 62.

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# სამიდან სამი

## ვინ წავა დოჰაში?



სერბი ელენა იანკოვიჩი ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც სამ კვირაში ზედიზედ სამი ტურნირი მოიგო.

ადრე მსგავსი შედეგი **ნიკოლ ვაიდიშოვამ** დააფიქსირა, მაგრამ მაშინ ჩეხმა მესამე კატეგორიის ტურნირებში იმარჯვა, იანკოვიჩმა კი პეკინსა და შტუტგარტში - მეორე, ხოლო მოსკოვში პირველი კატეგორიის შეჯიბრებები მოიგო.

სეზონის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში შევიდა. კრემლის თასზე ის ერთადერთი სტუმარი იყო, ვინც ადგილობრივ ჩოგბურთელებს ებრძოდა. ნახევარფინალში **ელენა დემენტიევას** განადგურების შემდეგ, იანკოვიჩმა ფინალშიც იოლად მოუგო **ვერა ზვონარევას** და WTA-ის რეიტინგში პოზიციები გაიმყარა.

ელენას პრაქტიკულად გარანტირებული აქვს პირველი ჩოგანის რანგში სეზონის დასრულება. ის თითქმის მოულწეველი გახდა კონკურენტებისთვის. საქმე ისაა, რომ მეორე ჩოგანი **სერენა უილიამსი** წელს მხოლოდ სეზონის შემაჯამებელ ტურნირში აპირებს მონაწილეობას, ხოლო რუსი **დინარა საფინა** (მესამე ჩოგანი) ციურიხსა და დოჰაში ითამაშებს. ასე რომ, იანკოვიჩს ვერც ერთი ჩოგბურთელი ველარ დაეწევა. სეზონის ბოლოს თავისი ბრწყინვალე თამაშით ელენამ ეს ტიტული ნამდვილად დაიმსახურა.

ზვონარევასთან ფინალის პირველ სეტში იანკოვიჩმა ორჯერ აილო მეტოქის მოწოდებაზე გეიმი და 6:2 გაიმარჯვა. რუსმა ჩოგბურთელმა მეორე პარტიაში გაიბრძოლა, მაგრამ 4:4-ზე ელენამ იძალა, ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და მოსკოვის ოლიმპიური კომპლექსის ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრები დაამწუხრა.

*"რთულ მატჩს ველოდი, ამიტომაც თავიდანვე აგრესიულად დავიწყე თამაში, რამაც მეტოქე დააბნია. არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა და პრაქტიკულად, უპრობლემოდ შევძელი გამარჯვება"*, - აღნიშნა მატჩის შემდეგ იანკოვიჩმა, რომელსაც ზვონარევასთვის წინა ორი შეხვედრაც ჰქონდა მოგებული.

■ ■ ■

ჯერჯერობით, ტურნირის ხუთი მონაწილეა ცნობილი. პირველებმა დოჰაში თამაშის უფლება ელენა იანკოვიჩმა და **ანა ივანოვიჩმა** გაინაღდეს. შემდეგ მათ მიჰყვნენ რუსი **დინარა საფინა** და ამერიკელი **სერენა უილიამსი**. ბოლოს კი რუსმა **ელენა დემენტიევამაც** დაიბევა სეზონის მთავარი ტურნირის საგზური.

რჩება სამი ვაკანტური საგზური, რომელზეც ოთხი ჩოგბურთელი აცხადებს პრეტენზიას. სხვებზე უკეთეს მდგომარეობაშია რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა**, რომელსაც ჩემპიონთა რბოლაში 2513 ქულა აქვს. დანარჩენი სამი პრეტენდენტის შანსები თითქმის თანაბარა: ამერიკელ **ვენუს უილიამსს** 2246 ქულა დაუგროვდა, რუს ვერა ზვონარევას - 2135 და პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას** - 2096. ამ ტრიოს ვერავინ დაეწევა, რადგან რადვანსკა ხუთასზე მეტი ქულით უსწრებს შვეიცარიელ **პატი შნიდერს**.

ბევრი რამ ამ კვირას, ციურიხის ტურნირზე გაირკვევა.

მაშ ასე, სეზონი დასასრულს უახლოვდება. რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ნოემბრის ბოლოს კატარის დედაქალაქ დოჰაში შეიკრიბება და იქ წლის შემაჯამებელ ტურნირში ითამაშებს.

### ATP

**Bank Austria-Tennis**

ვენა (ავსტრია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 674 000 ევრო

**1/2 ფინალი**

**გაელ მონფილსი (საფ, 8)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:4, 5:7, 7:6; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 3:6, 6:3, 6:3.

**ფინალი**

**ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-გაელ მონფილსი (საფ, 8) 6:4, 6:4.

**STOCKGOLM OPEN**

სტოკჰოლმი (შვედეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 713 000 ევრო

**1/2 ფინალი**

**რობინ სიოდერლინგი (შვედ, 4)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:1, 6:0; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 3) 6:2, 6:1.

**ფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 4) 6:2, 5:7, 6:3.

**კრემლის თასი**

მეცი (საფრანგეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 049 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**მარატ საფინი (რუს, 7)**-მიშა ზვერევი (გერ) ზვერევის უარი; **იგორ კუნიცინი (რუს)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:4, 6:3.

**ფინალი**

**იგორ კუნიცინი (რუს)**-მარატ საფინი (რუს, 7) 7:6, 6:7, 6:3.

### WTA

**კრემლის თასი**

მოსკოვი (რუსეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)**-ელენა დემენტიევა (რუს, 3) 0:6, 6:1, 6:0; **ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-დინარა საფინა (რუს, 2) 6:2, 7:6.

**ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)**-ვერა ზვონარევა (რუს, 7) 6:2, 6:4.

ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ულმი-სკაილაინერსი | 66:63 |
| ნორდლინგენი-ტრირი | 68:74 |
| პადერბორნი-ბამბერგი | 77:84 |
| ტელეკომი-ერტლანდი | 71:77 |
| ტიუბინგენი-ჰესენი | 78:67 |
| ბრემერჰავენი-ოლდენბურგი | 73:89 |
| კიოლნი-ალბა | 58:79 |
| ლუდვიგსბურგი-ბრაუნშვაიგი | 62:61 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპია-ტრიკალა | 67:66 (ო) |
| ეგალეო-ოლიმპიაკოსი | 65:90 |
| არისი-პანელინიოსი | 70:64 |
| აეკ-კოლოსოსი | 78:59 |
| პანათინაიკოსი-მარუსი | 82:54 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-ვალენსია | 74:58 |
| ესტუდიანტესი-მურსია | 93:66 |
| ბრუესა-რეალი | 78:94 |
| გრანადა-კახასოლი | 79:59 |
| ფუენლაბრადა-გრან კანარია | 75:86 |
| მენორკა-ხუვენტუდი | 73:75 |
| მანრესა-ბილბაო | 75:55 |
| უნიკახა-ტაუგრესი | 69:75 |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-მილანი | 62:67 |
| ბენეტონი-აველინო | 71:68 |
| ვირტუსი-ბიელა | 83:72 |
| რიეტი-მონტეგრანარო | 77:69 |
| სნაიდერო-ფორტიტუდო | 72:90 |
| ტერამო-ფერარა | 84:68 |
| რომა-კაზერტა | 83:81 (ო) |
| კანტუ-მონტეპასკი | 61:96 |
| **საფრანგეთი** | |
| ბეზანსონი-ჰავრი | 80:65 |
| ვიში-სტრასბური | 47:73 |
| დიჟონი-რუანი | 74:65 |
| ლე მანი-შალონი | 82:58 |
| ორლეანი-რუანი | 80:53 |
| ტულონი-ნანსი | 81:73 |
| შოლე-გრაველენი | 78:54 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ტრაქტორი | 2:2 |
| ატლანტი-ლადა | 3:0 |
| დინამო (მ)-ლოკომოტივი | 2:0 |
| დინამო (რ)-სევერსტალი | 1:2 |
| ტორპედო-აკ ბარსი | 0:3 |
| მვდ-ნეფტეხიმიკი | 4:1 |
| ცსკა-ავანგარდი | 4:2 |
| დინამო (მნ)-სკა | 0:3 |
| მეტალურგი (ნ)-ს. იულიაევი | 1:4 |
| სპარტაკი-ბარისი | 4:3 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ოლიმპია | 8:2 |
| ვენა-ინსბრუკი | 9:2 |
| ვილახი-ალბა | 5:1 |
| გრაცი-ლინცი | 3:6 |
| კლაგენფურტი-ზალცბურგი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| იზერლონი-ფრანკფურტი | 4:1 |
| ვოლფსბურგი-აუგსბურგი | 7:4 |
| კასელი-კრეფელდი | 5:2 |
| მანჰაიმი-ჰანოვერი | 2:6 |
| ნიურნბერგი-შტრაუბინგი | 2:3 |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-სტიორნენი | 3:2 |
| ლილეჰამერი-კომეტი | 5:3 |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 5:2 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 2:2 |
| ფურუსეტი-სტორჰამარი | 2:6 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ტრენჩინი | 0:4 |
| ბისტრიცა-სლოვანი | 5:1 |
| მარტინი-კოშიცე | 3:2 |
| მიკულაში-ნიტრა | 2:1 |
| პოპრადი-კეჟმაროკი | 3:1 |
| სკალიცა-ზვოლენი | 0:6 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ილვესი | 4:1 |
| კერპეტი-პელიკანსი | 3:2 |
| ლუკო-ჰიფკ | 0:3 |
| სეი პა-იუვიასკიულა | 1:4 |
| ესეტი-კიეკო | 2:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ზლინი-პლზენი | 4:3 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| სპარტა-ლიტვინოვი | 3:5 |
| ტრშინეცი-ზნოიმო | 5:3 |
| კლადნო-ლიბერეცი | 3:1 |
| ბოლესლავი-ვიტკოვიცე | 3:0 |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 5:3 |
| **შვეიცარია** | |
| ჟენევა-ციურიხი | 1:1 |
| კლოტენი-ლუგანო | 1:6 |
| ლანგნაუ-ამბრი | 0:4 |
| რაპერსვილი-ბილი | 5:2 |
| ცუგი-დავოსი | 6:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-მოდო | 4:2 |
| ბრიუნესი-სიოდერტალე | 1:0 |
| ჰვ71-როგლე | 2:2 |
| იურგორდენი-ფრიოლუნდა | 1:5 |
| ტიმრა-ფერიესტადი | 4:6 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ვენა** | |
| მონფილსი-პეტცშნერი | 4:6, 4:6 |
| **ATP. მოსკოვი** | |
| საფინი-კუნიცინი | 6:7, 7:6, 3:6 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| ნალბანდიანი-სიოდერლინგი | 6:2, 5:7, 6:3 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| იანკოვიჩი-ზვონარევა | 6:2, 6:4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. საჩვენებელი მატჩები

# ღია ცის ქვეშ ძნელია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან და გუშინ, ერთ-ერთი საჩვენებელი შეხვედრა ღია ცის ქვეშ გაიმართა. "დენვერმა" "ფინიქსი" დაამარცხა, თუმცა ეს გუნდები იმ შეხვედრაში მაღალი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნიდნენ.

ძნელი სათქმელია, უჩვეულო გარემოში თამაშმა იქონია გავლენა თუ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ ვერც "ნაგეტსმა" და ვერც "სანზმა" 80-ქულიან ზღვარს ვერ მიაღწიეს. ევრობასკეტშიც კი იშვიათია ასეთი დაბალი შედეგიანობა.

კალათბურთელებს საერთოდ არ მისდიოდათ ტყორცნები, განსაკუთრებით სამქულიანები. ორივე გუნდმა შორიდან 27-ჯერ ისროლა და მხოლოდ სამჯერ (!) ზუსტად.

*"მიზნად არც გვქონია მაღალი შედეგიანობის ჩვენება. უბრალოდ გვაინტერესებდა ახალ გარემოში თამაში"*, - განაცხადა მატჩის საუკეთესო სნაიპერმა, "ფინიქსის" გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა**. მის ანგარიშზე 16 ქულა იყო. "დენვერში" ყველაზე შედეგიანი **ჯერ არ სმიტი** აღმოჩნდა, რომელმაც 12 ქულა დააგროვა.

*"დარწმუნებული ვარ, რომ კალათბურთელებს ქარმა შეუშალა ხელი. მათი ასეთი უშედეგო თამაში სხვაგან არსად მინახავს"*, - აღნიშნა "დენვერის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯორჯ კარლმა**.




კარმელო ენტონისა და ალენ აივერსონის არყოფნის მიუხედავად, "დენვერმა" ხუთი ქულით მოუგო მეტოქეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**ბოსტონი-ჰიუსტონი 90:89**

21:23, 27:23, 24:31, 18:12

ბ: პირსი (15), გ. დევისი (12), გარნეტი (10+7 მოხსნა), პოუ (10).

ჰ: იაო მინი (16), სკოლა (14+9 მოხსნა), არტესტი (13+3 ჩ), ლენდრი (11), მაკგრეიდი (10).

**მილუოკი-დეტროიტი 99:111**

19:30, 25:31, 30:19, 25:31

მ: ვილანუევა (26+8 მოხსნა), რედი (17+8 პასი), ბოგუტი (13), ფრეი (11).

დ: აფლალო (28), სტაკი (15+10 პასი+5 ჩაჭრა), მაქსიელი (14), ჰემილტონი (12).

**ფინიქსი-დენვერი 72:77**

20:18, 21:19, 13:23, 18:17

ფ: ნეში (16), დიაო (6+10 მოხსნა), რ. ლოპესი (8+6 დაფარება).

დ: სმიტი (12), ნენე (10+7 მოხსნა), კლივზი (11).

**გ. სტეიტი-ოკლაჰომა 122:102**

37:28, 33:27, 22:28, 30:19

გ-ს: ბელინელი (22+6 პასი), ნელსონი (18+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ე. ჰარინგტონი (16+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ს. ჯექსონი (11), ჰენდრიქსი (12+13 მოხსნა), ე. რენდოლფი (11).

ო: უილკინსი (23+3 ჩაჭრა), დიურანტი (16+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილკოქსი (15+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), უესტბრუკი (15).

TV სპორტი

**13 ოქტომბერი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
09:20 საფეხბურთო ღამე.
10:15 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. გერმანია-რუსეთი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბულგარეთი-იტალია.
14:10 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ყაზახეთი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-საფრანგეთი.
18:05 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. პოლონეთი-ჩეხეთი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. გერმანია-რუსეთი.
22:05 საფეხბურთო ღამე.
22:35 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ისლანდია.
00:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
00:55 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ყაზახეთი.
02:45 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:15 სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-საფრანგეთი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ისლანდია.
08:45 სპორტის სამყარო.
09:15 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
10:15 ფეხბურთელების ცხოვრება.
10:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი.
11:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა
13:10 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-საფრანგეთი.
14:55 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-ხორვატია.
15:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
15:20 ცურვა. მსოფლიოს თასი. ბრაზილია.
17:25 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ესტონეთი-ესპანეთი.
19:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-კოლორადო.
21:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
02:20 სპორტდოსიე. კალათბურთი.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-მონრეალი (LIVE).
05:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა
06:05 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-საფრანგეთი.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
10:45 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი .
11:15 სნუკერი. შოტლანდიის გრანპრი. II დღე. გლაზგო.
12:30 ველოსპორტი. პროტურის სერია. პარიზი-ტური. საფრანგეთი.
14:00 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
15:00 სნუკერი. შოტლანდიის გრანპრი. II დღე. გლაზგო.
16:30 სნუკერი. შოტლანდიის გრანპრი. III დღე. გლაზგო (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
21:15 სნუკერი. შოტლანდიის გრანპრი. III დღე. გლაზგო.
22:00 სნუკერი. შოტლანდიის გრანპრი. III დღე. გლაზგო (LIVE).
01:00 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სელიე (სლოვენია)-ჰამარბიუ (შვედეთი).
14:30 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზაგრები (ხორვატია)-ვისლა (პოლონეთი).
18:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი სუპერმოტოს კლასში. ბულგარეთი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სელიე (სლოვენია)-ჰამარბიუ (შვედეთი).
20:00 ახალი ამბები.
20:15 მაუნტინბაიკი. შვედეთი.
20:45 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
21:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა, კაცები.
22:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ჟეგედი (უნგრეთი)-რაინ-ნეკარი (გერმანია).
23:00 ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
00:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა. ბრენდს ჰეტჩი.
00:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა. ბრენდს ჰეტჩი.
01:00 მოტოფრისტაილი. კიოლნი. გერმანია.
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

იაპონიის გრანპრი

# დაბალი დონე


ჰემილტონისა და მასას ინციდენტი მესამე წრეზე

მსოფლიოს ჩემპიონატის მე-16 ეტაპი საჩემპიონო ტიტულის ორი მთავარი პრეტენდენტის - **ლუის ჰემილტონისა** ("მაკლარენი") და **ფელიპე მასას** ("ფერარი") მორიგი უხეში შეცდომებით აღინიშნა, იაპონიის გრანპრის ტრიუმფატორი კი **ფერნანდო ალონსო** ("რენო") გახდა, რომელმაც ზედიზედ მეორე ეტაპზე შეძლო გამარჯვება.

პოულის მფლობელი ჩემპიონატის ლიდერი ჰემილტონი იყო, რომელსაც გვერდით **კიმი რაიკონენი** ("ფერარი") ედგა. სტარტის წინ ბევრს ლაპარაკობდნენ "ფერარის" გუნდურ ტაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, ფინელს თავიდანვე უნდა შეეშალა ხელი ლუისისთვის და ამით გზა გაეხსნა თანაგუნდელ მასასთვის, რომელიც სტარტს მეხუთე პოზიციიდან იღებდა. სტარტზე რაღაც მსგავსი მართლაც მოხდა. რაიკონენმა უკან ჩამოიტოვა ბრიტანელი, თანაც ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მაშინვე დაებრუნებინა დაკარგული პოზიცია. საბოლოოდ, ლუისმა კიმი პრაქტიკულად ტრასის მიღმა გადააგდო, მაგრამ ამ მანევრებისთვის ძალიან ბევრი დრო დაკარგა, მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა და თვით ფელიპე მასაც კი გაუშვა წინ.

ჰემილტონის ზედმეტმა სიფიცხემ დაგვანახა, რომ ბრიტანელს ბელგიის "სპაზე" განვითარებულმა მოვლენებმა ჭკუა ვერ ასწავლეს. ლუისს არაფერში სჭირდებოდა რაიკონენთან ბრძოლა, რომელიც აღარ ითვლება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მის კონკურენტად. მაგრამ ჰემილტონმა მაინც გარისკა და არასწორი მანევრირებისთვის, სასჯელის სახით, პიტლეინზე დაუგეგმავი შესვლა მიიღო.

თუმცა, სანამ რბოლის სტიუარდები ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, მესამე წრეზე კიდევ ერთ საგულისხმო მომენტს ჰქონდა ადგილი. მასა ფართოდ შევიდა მოსახვევში და ჰემილტონმა ბრაზილიელის გასწრება გადაწყვიტა. ლუისმა თავისი "მაკლარენი" შიდა ტრაექტორიით წაიყვანა და ოდნავ წინ გავიდა. არც "ფერარის" პილოტი დაფიქრებულა მომავალი სასჯელის შესახებ. მას დამუხრუჭება არც უცდია, რამაც შეჯახება გამოიწვია. ჰემილტონი მოსრიალდა და სანამ მანქანას მოატრიალებდა, რბოლის ყველა მონაწილე წინ გაუშვა. ამას დაემატა ზემოთ ნახსენები ჯარიმა და ჩემპიონატის ლიდერმა ქულების მოპოვების ყველანაირი შანსი დაკარგა.

მასამაც დამსახურებულად მიიღო ჯარიმა. ამან ბრაზილიელი საკმაოდ უკან დახია და ფელიპეს მხოლოდ მერვე ადგილისთვის ბრძოლის შანსი დაუტოვა. ასე რომ, ჩემპიონობის ორივე პრეტენდენტმა სულელური შეცდომები დაუშვა. როცა ბრძოლა გადამწყვეტი ქულებისთვის მიდის, მასა და ჰემილტონი სინქრონულად იღებენ გაუგებარ გადაწყვეტილებებს, რასაც საღ აზრთან არაფერი აქვს საერთო. ლუისმა რაიკონენთან უაზრო და არასაჭირო ბრძოლა წამოიწყო, ფელიპე კი ტიტულისთვის ბრძოლაში ბინძურ ილეთებს იყენებს.

სხვათა შორის, მასამ გუშინდელ რბოლაში კიდევ ერთხელ "გამოიჩინა" თავი: ბრაზილიელი ქულათა ზონაში შესვლას ლამობდა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ბოქსებიდან გამოსული **სებასტიან ბურდესთვის** ("ტორო როსო") გაესწრო. ამ ბრძოლაში ფელიპე მოცურდა, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, რბოლის გაგრძელება მაინც შეძლო.

მოკლედ, ჰემილტონიც და მასაც ჯერჯერობით ვერ ახერხებენ სტაბილურად საჩემპიონო დონეზე გამოსვლას, რაც მაგალითად, **მიხაელ შუმახერს, მიკა ჰაკინენსა** თუ ფერნანდო ალონსოს ახასიათებდათ. ობიექტურად, ბრიტანელი და ბრაზილიელი თანამედროვე ფორმულა 1-ის უსწრაფესი პილოტები არიან, რომლებსაც ბოლიდებიც შესაბამისი დონისა ჰყავთ, მაგრამ ჯერ ვერ იყენებენ 100 პროცენტით თავიანთ პოტენციალს. საბოლოოდ, ჰემილტონი ათეულში ვერ შევიდა, მასამ კი ერთი ქულის მოპოვება რბოლის ბოლოს ბრწყინვალე გამოსვლით შეძლო: "ფერარის" პილოტმა მეთოდურად ჩამოიცილა **ნიკ ჰაიდფელდი** ("BMW-ზაუბერი") და **მარკ უებერი** ("რედ ბული"), რომლებსაც ყოველ წრეზე წამ-ნახევარს უგებდა.

ფელიპესა და ლუისის გაუგებარი შეცდომების წყალობით, ლიდერობა ხელთ იგდო **რობერტ კუბიცამ** ("BMW-ზაუბერი"), მას კვალში ფერნანდო ალონსო ედგა. მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში კიმი რაიკონენი ოპერატიულად გაუსწორდა **იარნო ტრულის** ("ტოიოტა"), ხოლო როცა რბოლას **ჰეიკი კოვალაინენი** ("მაკლარენი") გამოეთიშა, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს პოდიუმისკენ გაეხსნა გზა. მაგრამ ლიდერებთან მიახლოება ვერ შეძლო.

საბოლოოდ, კუბიცა ალონსოზე ადრე შევიდა ბოქსებში. "რენოს" პილოტმა ოსტატურად ისარგებლა ბოძებული შანსით და მეორე პიტსტოპის შემდეგ ტრასაზე ლიდერის რანგში დაბრუნდა. ამით დასრულდა კიდეც ბრძოლა პირველი ადგილისთვის. ფერნანდომ ბრწყინვალედ წარმართა მთელი უიქენდი და ზედიზედ მეორე გამარჯვება მოუტანა ფრანგულ საჯინიბოს.

კუბიცას კი გაუჭირდა მეორე ადგილის შენარჩუნება: რბოლის ბოლო ნაწილში, მას კვალში ჩაუდგა რაიკონენი, მაგრამ რამდენიმე უშედეგო შეტევის შემდეგ, ფინელი სტატუსქვოს შენარჩუნებას დათანხმდა.

როგორც ეს წლევანდელ ჩემპიონატზე ხშირად ხდება ხოლმე, ურთიერთობის გარკვევა რბოლის შემდეგაც გაგრძელდა. იაპონური ეტაპის სტიუარდებმა, ფელიპე მასასთან შეჯახების გამო, 25-წამიანი ჯარიმით დასაჯეს სებასტიან ბურდე. ამან ფრანგი მეცხრე ადგილამდე დააქვეითა, მასამ კი მეშვიდე პოზიციაზე აინაცვლა და ახლა საერთო ჩათვლაში ჰემილტონს არა ექვსი, არამედ ხუთი ქულით ჩამორჩება.

**გია თვალაბეიშვილი**




**იაპონიის გრანპრი. XVI ეტაპი**
**ფუჯი (67 წრე, 305.721 კმ)**

1 (4). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) 1:30.21,892 (2 პიტ-სტოპი)
2 (6). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) +5,200 (2)
3 (2). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) +6,400 (2)
4 (12). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია) +20,500 (2)
5 (7). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) +23,700 (2)
6 (9). სებასტიან ფეტელი (ტორო როსო, გერმანია) +39,200 (2)
7 (5). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) +46,100 (3)
8 (13). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) +50,800 (1)
9 (16). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) +54,100 (1)
10 (10). სებასტიან ბურდე (ტორო როსო, საფრანგეთი) +59,000 (2)
11 (15). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) +1.02,000 (1)
12 (1). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) +1.18,900 (3)
13 (17). რუბენს ბარიკელო (ჰონდა, ბრაზილია) 1 წრე (1)
14 (18). ჯენსონ ბატონი (ჰონდა, ბრიტანეთი) 1 წრე (1)
15 (14). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) 1 წრე (2)
16 (20). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) 46 წრე (1)
17 (3). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) 51 წრე (0)
18 (19). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) 58 წრე (0)
19 (8). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) 60 წრე (2)
20 (11). დევიდ კულტჰარდი (რედ ბული, ბრიტანეთი) 67 წრე (0)

*საუკეთესო წრე: ფელიპე მასა - 1.18,426 (55-ე წრე)*

**კონსტრუქტორთა თასი**: 1. ფერერი - 142 ქულა; 2. მაკლარენი - 135; 3. BMW-ზაუბერი - 128; 4. რენო - 66; 5. ტოიოტა - 50; 6. ტორო როსო - 34; 7. რედ ბული - 29; 8. უილიამსი - 26; 9. ჰონდა - 14.

| | ავს | მალ | ბაჰ | ესპ | თურ | მონ | კან | საფ | ბრი | გერ | უნგ | ევრ | ბელ | იტა | სინ | იაპ | ჩინ 19.10 | ბრა 02.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 10 | 4 | 0 | 6 | 8 | 10 | 0 | 0 | 10 | 10 | 4 | 8 | 6 | 2 | 6 | 0 | -- | -- | 84 |
| **მასა** (ფერარი) | 0 | 0 | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | 0 | 6 | 0 | 10 | 10 | 3 | 0 | 2 | -- | -- | 79 |
| **კუბიცა** (BMW-ზაუბერი) | 0 | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | 0 | 2 | 1 | 6 | 3 | 6 | 0 | 8 | -- | -- | 72 |
| **რაიკონენი** (ფერარი) | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | 0 | 0 | 8 | 5 | 3 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | -- | -- | 63 |
| **ჰაიდფელდი** (BMW-ზაუბერი) | 8 | 3 | 5 | 0 | 4 | 0 | 8 | 0 | 8 | 5 | 0 | 0 | 8 | 4 | 3 | 0 | -- | -- | 56 |
| **კოვალაინენი** (მაკლარენი) | 4 | 6 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 5 | 4 | 4 | 10 | 5 | 0 | 8 | 0 | 0 | -- | -- | 51 |
| **ალონსო** (რენო) | 5 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 3 | 0 | 5 | 0 | 5 | 5 | 10 | 10 | -- | -- | 48 |
| **ტრული** (ტოიოტა) | 0 | 5 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 6 | 2 | 0 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | -- | -- | 30 |
| **ფეტელი** (ტორო როსო) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 | 4 | 10 | 4 | 3 | -- | -- | 30 |
| **უებერი** (რედ ბული) | 0 | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | -- | -- | 21 |
| **გლოკი** (ტოიოტა) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 5 | 0 | -- | -- | 20 |
| **პიკე** (რენო) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 8 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | -- | -- | 18 |
| **როსბერგი** (უილიამსი) | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 8 | 8 | -- | -- | 17 |
| **ბარიკელო** (ჰონდა) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | 11 |
| **ნაკაძიმა** (უილიამსი) | 3 | 0 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -- | -- | 9 |
| **კულტჰარდი** (რედ ბული) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | -- | -- | 8 |
| **ბურდე** (ტორო როსო) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | -- | -- | 4 |
| **ბატონი** (ჰონდა) | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | 3 |